**შალვა შავგულიძე:**



ეს ხელისუფლება აუცილებლად მოსაშორებელია და რაც შეიძლება სწრაფად!

**ლუკა კურტანიძე:**



ბიძინა ივანიშვილის გამო სიცოცხლესაც გავწირავ, რადგან მის უკან ჩემი სამშობლოა!

**ვიქტორ დოლიძე:**



დარწმუნებული ვარ, სააკაშვილს თავისივე ხალხი გამოუტანს განაჩენს...

# საერთო გაზეთი

№36 (220) ● 22-28.VIII.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

**ბიძინა ივანიშვილი:**



## axla erTaderTi sworisvla saakaSvilis gadadgoma iqneba!



„იყო არაბეთს როსტევან, საქართველოში — მიხეილ...“

ვანო მერაბიშვილის



მოცილება უკვე გადაწყვეტილია და ამ გეგმის განხორციელება სექტემბერში მოხდება?

**ლაშა გვასალია:**



მინდია გულუა ქართულ ოპოზიციაში რუსულმა და ქართულმა სპეცსამსახურებმა ჩანერგეს...

**benduqiZis kidev erTi kvali rusul specsamsaxurebTan, sisxliani garCevebi da Crdilouri ekonomika**



## rogor aRmoCnda erT dros biZina ivaniSvilis maqebari guram petriaSvili biZina ivaniSvilis maZagebel Salva naTelaSvilTan?



**მამა ელიზბარი (დიაკონიძე):**

„ვინც ბაგრატის ტაძრის ახლანდელ მკრეხელურ გუმბათზე ასულ და იქ ფეხმორთხმულ ჯალალედინს თაყვანი სცა, დიდი ცოდვა ჩაიდინა...“

ISSN 2233-3983

## ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა „ოცნების“ გარშემო განვითარებულ მოვლენებზე შეშფოთებას გამოთქვამს



ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) თანამომხსენებლებმა შეშფოთება გამოხატეს ოპოზიციურ კოალიცია ,,ქართული ოცნებაში“ შემავალი პოლიტიკური პარტიების საბანკო ანგარიშების დაყადაღების გამო და განაცხადეს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაკისრებული ,,არაპროპორციული ჯარიმები, ფაქტობრივად, ძირს უთხრის ოპოზიციური პარტიის ნორმალურ პოლიტიკურ საქმიანობას“.

მომხსენებლების განცხადებით, ,,ქართული ოცნების“ საბანკო ანგარიშების დაყადაღება აფერხებს ოპოზიციური კოალიციის მონაწილეობას საარჩევნო კამპანიაში.

,,ეს შეშფოთებას იწვევს, განსაკუთრებით კი იმ ფონზე, რომ არსებობს არაერთი ბრალდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიკერძოების შესახებ და ასევე სანდო ორგანიზაციების, როგორიცაა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ცნობები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ამ საკითხებზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლიანობას“, – აცხადებენ თანამომხსენებლები.

## ივანიშვილი: ახლა ერთადერთი სწორი სვლა სააკაშვილის გადადგომა იქნება

,,ახლა ერთადერთი სწორი სვლა სააკაშვილის გადადგომა იქნება,“- განაცხადა კოალიცია ,,ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა.



,,ძალიან გაჭირვებულები არიან. ოღონდ როგორმე რამით დაგვაზიანონ, ყველაფერს აკეთებენ. ეს ნომრის მონიჭებაც სასაცილო იყო და ამას კანონთან კავშირი არა აქვს. ისინი შედეგს მაინც ვერ მიიღებენ, რადგან სწორი სვლები არ აქვთ. ერთადერთი სწორი სვლა სააკაშვილის გადადგომა იქნება. მან ბოდიში უნდა მოიხადოს ამდენ კანონდარღვევაზე და საშუალება მისცეს ქვეყანას, ჩატარდეს სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები. თუ არ გადადგება, მოახერხოს და დაბრუნდეს კანონიერების ჩარჩოში“, — განაცხადა ივანიშვილმა.

## „ქართული ოცნება“ 29 სექტემბერს თბილისში ფართომასშტაბიანი მანიფესტაციის ჩატარებას გეგმავს



ბლოკმა ,,ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“ თბილისის მერიაში განცხადება შეიტანა,- ამის შესახებ კოალიციიდან, აცნობეს.

,,საარჩევნო ბლოკმა ,,ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“ თბილისის მერიას მიმართა გაფრთხილებით და აცნობა, რომ ,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, 2012 წლის 29 სექტემბერს 02.00 საათიდან 23.00 საათამდე თბილისში, რამდენიმე ადგილიდან გეგმავს მანიფესტაციას თავისუფლების მოედნის მიმართულებით და შეკრებას თავისუფლების მოედანზე,“- ნათქვამია განცხადებაში.

## ივანიშვილი: 41 ნომრითაც მივიღებთ ისეთივე შედეგს, რაც უნდა მიგვეღო




,,41 ნომრითაც მივიღებთ ისეთივე შედეგს, რაც უნდა მიგვეღო“,“- განაცხადა კოალიცია ,,ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი თქმით, ბლოკ “ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნებისთვის” საარჩევნო ნომრად 7-ის გამოყენებაზე უარი ხელისუფლების აგონიაზე მიუთითებს.

მისივე თქმით, საარჩევნო ნომერი ბევრს არაფერს შეცვლის და “ქართულმა ოცნებამ” რა ნომრითაც არ უნდა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, შედეგი მაინც იგივე იქნება.

“მათ კრილოვის “კვარტეტი”, ალბათ, არ წაუკითხავთ. ეს არაფერს შეცვლის, რადგან ჩვენ შედეგს აუცილებლად მივიღებთ. რაც შეეხება ფინანსურ ზარალს, ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენს ანგარიშებზე განხორციელებულია ინკასო და გვაქვს ფინანსური პრობლემა. დაბეჭდილი გვქონდა უკვე ფლაერები და ბევრი სარეკლამო საშუალება ყველაფერი გადასაყრელი იქნება, თუმცა მოსახლეობას მინდა მივმართო, რომ არა უშავს, ამასაც გადავიტანთ და 41 ნომრითაც მივიღებთ ისეთივე შედეგს, რაც უნდა მიგვეღო”, - აღნიშნა ივანიშვილმა.

## ივანიშვილი: ჩემი 80 მილიონით „ნაცმოძრაობა“ რეგიონებში ამომრჩეველს მოისყიდის



,,ჩემი 80 მილიონით ,,ნაცმოძრაობა“ რეგიონებში ამომრჩეველს მოისყიდის,“- განაცხადა კოალიცია “ქართული ოცნების” ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა დიპლომატებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ.

“ზოგმა მილიონი, ზოგმა მილიონნახევარი ლარი მიიღო. ფულს სუნი არ აქვსო - ნათქვამია, მაგრამ ჩანს, რომ ბიუჯეტს ძალიან უჭირს. მათ უამრავი თანხა გაფლანგეს, ჩემს მიერ გადარიცხული ფულის დიდი ნაწილით კი “ნაციონალურმა მოძრაობამ” რეგიონებში საარჩევნო მოსყიდვების განხორციელება დაიწყო”, - განაცხადა ივანიშვილმა.

## ივანიშვილი: თუ მერაბიშვილს სიის პირველ ნომრად დაასახელებენ, დებატებში დავუჯდები



,,თუ მერაბიშვილს სიის პირველ ნომრად დაასახელებენ, დებატებში დავუჯდები,“- განაცხადა “ქართული ოცნების” ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა.

,,თუ ისინი პრემიერობის კანდიდატს დაასახელებენ, რასაც სააკაშვილი დღემდე ვერ ბედავს და თუ იტყვიან, რომ ეს იქნება მერაბიშვილი, აუცილებლად დავუჯდები მას ტელედებატებში. რაც შეეხება დავით ბაქრაძეს, ვერ გამირკვევია, მას რეალურად რა ევალება, ყველა კითხვაზე ერთსა და იმავე პასუხს სცემს და მასთან დებატები მოსახლეობისთვის საინტერესო არ იქნება”, - აღნიშნა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, არსებობს კიდევ ერთი გზა - ბიძინა ივანიშვილის პირისპირ დებატებში დაჯდეს ხელისუფლების არანაკლებ შვიდი და არაუმეტეს 12 წარმომადგენელი.

## რაგბისტმა გია რაფავამ ივანიშვილს ქართველი რაგბისტების სახელით მადლობა გადაუხადა



რაგბისტი გია რაფავა ივანიშვილს შეხვდა და ქართველი რაგბისტების სახელით მადლობა გადაუხადა,- ამის შესახებ ინფორმაციას ,,ქართული ოცნების“ პრესსამსახური ავრცელებს.

,,მე მინდა პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილს დიდი მადლობა გადავუხადო ქართველი რაგბისტების სახელით. ყველა ქართველი რაგბისტი მიჩვეული ვართ მხარდაჭერის გამოხატვას და ახლა მინდა ძმობა და მეგობრობა გავუწიო ,,ქართულ ოცნებას.“ მინდა, რომ ქვეყნის აღმშენებლობაში გვერდში დაგიდგეთ,”- განაცხადა რაფავამ.

## ბიძინა ივანიშვილი: ყველას სჯერა, რომ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს



,,ქართული ოცნების“ წარმომადგენლების შეხვედრა დიპლომატებთან დასრულდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა კომენტარი გააკეთა.

,,ხელისუფლების უბადრუკი საძაგლობების მიუხედავად, “ქართული ოცნება” აუცილებლად გაიმარჯვებს. შეხვედრაზე დიპლომატებს მკვეთრ ფერებში ვუჩვენეთ ყველაფერი, რაც ბოლო პერიოდის განმავლობაში კოალიციის გარშემო ხდება.

“ვუთხარით დიპლომატებს, რომ ჩვენი კოალიცია კარგად განვითარდა. ძალიან დიდია მოსახლეობის ნდობა და კარგი განწყობა. ყველას სჯერა, რომ მიუხედავად იმ უბადრუკი საძაგლობებისა, რასაც ხელისუფლება ჩვენს მიმართ ახორციელებს, ძალიან მაგრად ვართ და აუცილებლად გავიმარჯვებთ. ელჩებთან იმ უკანონობებზეც გვქონდა საუბარი, რასაც ბოლო პერიოდის განმავლობაში კოალიციის მისამართით აქვს ადგილი. მათ ძალიან დაძაბულად ვუჩვენე ეს ვითარება და ვკითხე — რას ელოდებიან და ხმას რატომ არ იღებენ. ბევრი ფაქტი მოვყევი, მაგრამ განსხვავებული აქცენტები გავაკეთე”, - აღნიშნა ივანიშვილმა.

## მაია ფანჯიკიძე: ეუთოს ასამბლეის წარმომადგენლები დაინტერესდნენ ყველაფრით, რაც აქ ხდება



ბლოკ ,,ივანიშვილი - ქართული ოცნების“ ლიდერები დღეს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის წევრებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას წინასაარჩევნო პერიოდში კოალიციისთვის შექმნილი პრობლემები გააცნო.

,,ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა იყო ,,ქართული ოცნების“ ოფისში. მათი ვიზიტი იყო იმისთვის, რომ გაცნობოდნენ შექმნილ სიტუაციას და მოესმინათ მთავარი ოპოზიციური ძალის აზრი იმის შესახებ თუ რა ხდება ეს. ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო. ჩვენი სტუმრები დაინტერესდნენ ყველაფრით, რაც მოხდა ბიძინა ივანიშვილის გარშემო, მისი პოლიტიკურ სცენაზე გამოსვლიდან დღემდე. ჩვენ მათ მივაწოდეთ დაწვრილებითი ინფორმაცია, არა მხოლოდ ზეპირად, არამედ გავატანეთ დოკუმენტაციაც,“- განაცხადა ,,ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ.



**რედაქცია ბოდიშს უხდის ქალბატონ მარინე ჩიტაშვილს ,,საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოთქმული მოსაზრებების გამო.**

**გამოვხატავთ რა ჩვენს ღრმა პატივისცემას ქალბატონი მარინეს მისამართით, იმედს ვიტოვებთ, რომ მომხდარი ფაქტი ხელს არ შეუშლის ჩვენს შემდგომ თანამშრომლობას.**

**,,საერთო გაზეთის“ რედაქცია**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# Tu ginda jvars ecvi...


1995 წ.


2012 წ.

ვიღაც-ვიღაცებს ხშირად ავიწყდებათ ხოლმე, რომ მიხეილ სააკაშვილი 2004 წლიდან კი არა 1995 წლიდან არის ხელისუფლებაში, 1995 წლიდან დღემდე კი 17 წელია.

17 წელი და არა 8 წელი, როგორც ამას თავად სააკაშვილი ამბობს.

სააკაშვილის გუნდის წევრთა მნიშვნელოვან ნაწილსაც იმდენივე სტაჟი აქვთ, რაც მათ ბელადს.

**მიხეილ სააკაშვილი 1995 წელს საქართველოს პარლამენტის წევრი რომ გახდა, იმის შემდეგ სულ ხელისუფლებაშია, 1995 წლიდან კი, როგორც გითხარით, 17 წელია და არა რვა, თუმცა სააკაშვილს ეს 17 წელიც ეცოტავება და კიდევ ოთხიხუთი წელი დამიმატეთო, ამბობს.**

მუბარაქობა და კადაფობა უნდა ამ დალოცვილს, თუმცა ის ავიწყდება, როგორ დაამთავრეს მოღვაწეობა მუბარაქებმა და კადაფებმა.

კაცმა რომ თქვას, სააკაშვილის გაგებაც შეიძლება — რა ქნას, მიეჩვია ძალაუფლებას, მიეჩვია და გაუტკბა...

პატარა ამბავი ხომ არ არის, წამოგივლის და ვიღაცას პანჩურს რომ ამოარტყამ, კიდევ წამოგივლის და საფერფლეს ჩაათხლიშავ თავში, ნულოვანი ტოლერანტობაო — იტყვი და ნახევარ საქართველოს ციხეში ჩაყრი, ქუჩაში უდანაშაულო ადამიანებს დაახოცვინებ, როცა გინდა, გაფრინდები, როცა გინდა, მოფრინდები, მილიარდებს მობოჭავ, გალატაკებულ ქვეყანაში სრა-სასახლეებს აიშენებ, მომიტინგეებს დაარბევ, გაზით დაწამლავ, ხან ნამდვილი, ხან რეზინის ტყვიებით დაცხრილავ და ყველაფერი ეს ხახვივით რომ შეგრჩება, მაგრად ასწორებს.


2008 წ.

ესეც რომ არ იყოს, ხელისუფლებიდან რომ წახვალ, ხომ შეიძლება ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი დანაშაულებებისთვის პასუხი მოგთხოვონ, ამიტომ სულ ხელისუფლებაში უნდა იყო — 17 წელს კიდევ 17 წელი უნდა მიუმატო, მერე კიდევ ჩვიდმეტი და ა.შ. თუმცა გამოსავალი არც ეს არის, რადგან

**ერთ მწუხარე დღეს მიქელ-გაბრიელი მოგაკითხავს და თავისთან წაგიყვანს, იქ კი ისეთი მკაცრი საერთაშორისო ტრიბუნალია, ჰააგისა მიმიქარავს. აქეთიქით მუგუზლებით რომ ამოგიდგებიან „მოსამართლეები“ და თუ გამტყუნდი, ცეცხლსა და გეენაში რომ გიკრავენ თავს...**

ასე, რომ, თუ გინდა ჯვარს ეცვი, თუ გინდა სამჯერ 17 წელი იყავი ხელისუფლებაში, საშველი მაინც არ არის...

# gipsokardoni



როგორც შალვა რამიშვილის გამოკვლევით დადგინდა, აღმაშენებლის გამზირზე რესტავრირებული შენობების ფასადი გიპსოკარდონითაა გაკეთებული.

გამოკვლევაო, კი ვამბობთ, მაგრამ არაფერი გამოკვლევა და ექსპერტიზა არ სჭირდება ამის დადგენას რამდენჯერმე მიუკაკუნებ კედელს და კედელი ეგრევე გეუბნება — გიპსოკარდონი ვარო.

ძალიან გაოცებული ჩანდა ექსპერტი შალვა ამ ამბით — მიუკაკუნებდა — გიპსოკარდონი! კიდევ მიუკაკუნებდა, ისევ გიპსოკარდონი!

რამ გაგაოცათ, ბატონო შალვა, სხვას რას ელოდით ამათგან? თვითონ ეს ხელისუფლებაც გიპსოკარდონის არ არის — მიუკაკუნებ — ,,გიპსოკარდონი“! კიდევ მიუკაკუნებ — კიდევ გიპსოკარდონი!

ჰოდა, გიპსოკარდონელებს გიპსოკარდონი ეყვარებათ, მარმარილო ხომ არა?!

ჩინელებმა დაითვალეს, რამდენიც არიან, ინდოელებმაც დაითვალეს, არაბებმაც დაითვალეს, ჩვენ, ქართველებმა, ვერა და ვერ დავთვალეთ, რამდენი ვართ.

არადა, ჩინელებთან, ინდოელებთან, არაბებთან შედარებით, ჩვენს დათვლას რა უნდა, მაგრამ საქმე წინ ვერა და ვერ წავწიეთ და ვერაფრით დავადგინეთ, რამდენია საქართველოს მოსახლეობა და ამ მოსახლეობიდან რამდენია ამომრჩეველი?

ყველაზე კურიოზული ამ ამბავში ის არის, რომ, მართალია, დანამდვილებით არ ვიცით, რამდენი ვართ, მაგრამ არჩევნებს მაინც ვატარებთ და კიდევ უფრო დიდი საოცრება — არჩევნების შედეგებს მთელი სერიოზულობით ვითვლით, რაშიც უცხოელებიც გვეხმარებიან (აბა, ჩვენ მარტო რას დავთვლით?) მერე ამ შედეგების მიხედვით ვადგენთ, რომელმა პარტიამ რამდენი პროცენტი მიიღო და ა.შ.

# vin daTva l os zRvaSi qviSa...



რამდენი ვიყავით X-XI-XII საუკუნეში, ვიცით, მაგრამ რამდენი ვიყავით XXI საუკუნის ათიან წლებში, ამ კითხვაზე მეისტორიე პასუხს ვერ გასცემს მომავალ თაობებს.

,,ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები“ — სწორედ ჩვენზეა ნათქვამი.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# biZina ivaniSvilis

## gamosvlis teqsti 19 agvistos aqciaze, rusTavSi



მოგესალმებით რუსთაველებო!

მივესალმები მთელ საქართველოს!

ფერისცვალებას გილოცავთ, ხალხო!

რუსთავს, ისე, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანას, დიდი ისტორია აქვს, მაგრამ მე-20 საუკუნის შუა წლებიდან რუსთავმა ახალი სიცოცხლე შეიძინა და საქართველოს უდიდესი სამრეწველო ცენტრი გახდა.

ამ ქალაქში განსაკუთრებულად იგრძნობოდა ქართველი კაცის მუყაითი შრომა. თავის დროზე მთელი საქართველოდან რუსთავში მოიყარეს თავი ქართველმა ინჟინრებმა და უდიდესი საინჟინრო-სამეცნიერო პოტენციალი შექმნეს.

აქ, რუსთავში, ქართველებთან ერთად მრავალი ეროვნების ხალხი ცხოვრობდა, - ეს ქალაქი იყო ყველასი, ვისაც შრომა და გარჯა უყვარდა.

ერთ დროს ამ ქალაქში კულტურული ცხოვრება ჩქეფდა. რუსთავის დრამატული თეატრი საუკეთესო აკადემიურ თეატრებს ტოლს არ უდებდა და მისი სპექტაკლები დღემდე ახსოვს მაყურებელს.

ანსამბლ „რუსთავის“ საშემსრულებლო ოსტატობამ კი ქართული სიმღერითა და ცეკვით მთელი მსოფლიო აღაფრთოვანა.

აი, ასეთი ქალაქი და ერთ დროს ქართული ინდუსტრიის ბურჯი, დღეს თითქმის უფუნქციოდაა დარჩენილი.

90-იანი წლები უმძიმესი აღმოჩნდა მთელი ქვეყნისთვის. რუსთავს ეს განსაკუთრებით შეეხო. ქალაქი, რომელშიც 90-მდე დიდი და საშუალო საწარმო მუშაობდა, მათ შორის, გიგანტური მეტალურგიული კომბინატი, აზოტის, ქიმიური ბოჭკოს და ცემენტის ქარხნები და მრავალი სხვა, დღეს თითქმის გაცალმტვერებულია.

კვალიფიციური მეტალურგები, ინჟინრები და ქიმიკოსები უფუნქციოდ დარჩნენ, ხოლო ათეულ ათასობით მუშა-მოსამსახურე ბედის ანაბარაა მიტოვებული.

ამდენი წელი გავიდა და 5 ათასი მეტალურგი ახლაც ელოდება სახელფასო დავალიანების მიღებას. ამ თანხის გადახდას მათ სააკაშვილიც დაჰპირდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ესეც დაპირებად დარჩა.

მე სიტყვას ვაძლევ ჩვენს მეტალურგებს, რომ აუცილებლად აღვადგენთ სამართლიანობას და თქვენ მიიღებთ თქვენს კუთვნილ ხელფასებს!

კარგად ვიცი, რომ დღეს ეს გამრჯე ხალხი სიღარიბის ისეთ ზღვარზეა, რომ ლამის შიმშილობს. უდიდესი უმრავლესობა სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილი დახმარების მოლოდინშია - ამ დახმარების მისაღებად ჩინოვნიკებისთვის იმის მტკიცება უწევთ, რომ სიღატაკეში ცხოვრობენ. ეს დამამცირებელი ყოფა უნდა დამთავრდეს!

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, რუსთავის მოსახლეობის ერთი ნაწილი ითხოვს, რომ ქალაქს „სოციალური კატასტროფის“ საგანგებო ზონის სტატუსი მიენიჭოს. აი, რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ხალხი!

დღეს გაპარტახებული და ხრიოკია რუსთავი, არადა, იყო დრო, შორეულ წარსულში, როცა რუსთავს ბოსტან-ქალაქი ერქვა, რაც ბაღნარ-ქალაქს ნიშნავდა. რუსთავი ისევ გაიმართება წელში, ისევ დადგება ფეხზე!

დიახ, ჩვენ სასწრაფოდ უნდა გავიმართოთ წელში, გაჭირვება უნდა დავძლიოთ. ჩვენ სწორედ დღეს უნდა ამოვიდეთ ამ სიდუხჭირიდან!

ყველამ ამოვიგდოთ თავიდან ის, რომ ჩვენი დრო წასულია, რომ ჩვენთვის კი არ გვინდა წელგამართული ცხოვრება, არამედ მხოლოდ შვილებისთვის ვზრუნავთ, რომ, იქნებ, მათ მაინც ეშველოთ რამე.

დადგა დრო, როცა ჩვენს ცხოვრებაზეც უნდა ვიზრუნოთ, და თუ ამას შევძლებთ, მაშინ ჩვენი შვილების მომავალსაც ეშველება!

მათი მომავალი დღეს უკვე დაწყებულია.

ხალხო, ჩვენს შვილებს ისეთი მშობლები სჭირდებათ, რომლებსაც დაეყრდნობიან, რომლებითაც იამაყებენ! შვილებზე ზრუნვა საკუთარ ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევას სულაც არ ნიშნავს.

ჩვენი ცხოვრება ფოლადივით უნდა გამოვჭედოთ ჩვენივე ხელით. და თქვენზე უკეთ, რუსთაველებო, ვინ იცის ეს საქმე!

ჩვენ აუცილებლად უნდა ავაშენოთ განვითარებული, დემოკრატიული ქვეყანა და არა - თავგასული თანამდებობის პირების გასართობად მოწყობილი ბუტაფორია.

წინა შეხვედრა ბათუმელებთან მქონდა. ბათუმში განსაკუთრებით იგრძნობა ეს საფრთხე, რომელიც მალე აქაურობასაც დაემუქრება, თუ დროზე არ შევაჩერეთ ეს ხელისუფლება. ამის უფლებას ჩვენ მას არ მივცემთ, ამას გპირდებით!

ჩვენს გასაკეთებელს სხვა ვერავინ გააკეთებს, ჩვენი ქვეყანა ჩვენვე უნდა დავალაგოთ და ეს პასუხისმგებლობა ჩვენ თავზე უნდა ავიღოთ და ყველამ გავინაწილოთ.

სასწრაფოდ უნდა დამყარდეს წონასწორობა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის.

ახლა ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა კომედია და ფარსია, საშინაო პოლიტიკა კი - ტრაგიკული. ორივე უნდა გამოსწორდეს და ერთმანეთის შესაბამისი გახდეს: საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს რეალისტური, პრინციპული და, ამავე დროს, მოქნილი, რათა საშინაო პოლიტიკა ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას თავისუფლად ემსახურებოდეს, და პირიქით, საგარეო პოლიტიკას საიმედოდ გაუმაგრებს ზურგს ადამიანის თავისუფლების პრინციპულად დამცველი და ხელშემწყობი, სამართლიანი და დემოკრატიული საშინაო პოლიტიკა.

ჩვენ შევძლებთ და ამას მივაღწევთ! ამას მე შევძლებ, თქვენ შეძლებთ, მე და თქვენ ერთად შევძლებთ, და წინ ვერაფერი დაგვიდგება!

ჩვენს ქვეყანაში ზედაპირულობა და არაპროფესიონალიზმი საამაყოა და შემოსავლიანიც. მოჩვენებითის ბატონობა უნდა დამთავრდეს და ეს დამთავრდება! თვითმარქვიები ველარ აღზევდებიან, და თავზე ველარ დააჯდებიან პატიოსან ხალხს!

მინდა დღეს ამ ქალაქიდან, რუსთავიდან, მივმართო ჩვენს ძმებს და დებს, მათ, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა იმ გამოგონებული საფრთხისა, რომ ნაციონალური მოძრაობა თუ არ იქნება ხელისუფლებაში, აღარც სახელმწიფო იარსებებს.

არ შეიძლება ხელისუფლების ცვლილება ქვეყნისთვის ტრაგედიად წარმოაჩინო, დააშინო ყველა, მუდმივად ნგრევასა და არასტაბილურობაზე ილაპარაკო.

სინამდვილეში სწორედ ასეთი რიტორიკა ემუქრება ქვეყნის სტაბილურობას და სახელმწიფოებრიობას, აშინებს ბიზნესს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არყევს ადამიანების ფსიქიკას.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ქართველ ბიზნესმენთა საყურადღებოდ.

ბიზნესთან დამოკიდებულებაში ყველაზე კარგად ჩანს, როგორ უყურებს ხელისუფლება დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას.

სამუშაო ადგილებს არ ქმნის მთავრობა და მით უფრო არ ქმნის დასაქმების სამინისტრო. სამუშაო ადგილებს სწორედ ბიზნესი ქმნის.

მთავრობა კი ხელს უნდა უწყობდეს ბიზნესის განვითარებას, შესაბამისი გარემოს შექმნას. ამის გარეშე წარმოუდგენელია უმუშევრობის პრობლემის დაძლევა და ეკონომიკის ზრდა.

ჩვენთან ბიზნესი განიხილება როგორც დაფინანსების წყარო ხელისუფლების მიზნების მისაღწევად, ბიზნესმენი კი „გასაწეწ ობიექტად“ არის მიჩნეული.

ამ ხელისუფლებისათვის ბიზნესმენი კლასობრივი მტერია, რომელიც ან უნდა დაჰყვეს მათ ნებას, ან უნდა განადგურდეს. ვინც ნაცმოძრაობის მხარდამჭერი არ არის და ხელისუფლების მითითებებს არ ასრულებს, ის აუცილებლად გაკოტრდება, თუ საერთოდ დაჭერას გადაურჩა.

ასეთი არანორმალური ვითარება მოგვიტანა სააკაშვილის პოლიტიკამ. როდესაც თავისუფალი ბიზნესის მხარდაჭერის ნაცვლად სახელმწიფო სრულად აკონტროლებს ბიზნესს და ქმნის მონოპოლიებს - ეს არის სწორედ თავი და თავი იმისა, რომ ქვეყანაში რეალურად ბიზნესი არ ვითარდება და სამუშაო ადგილები არ იქმნება.

მე ძალიან კარგად ვიცი, რა სჭირდება ბიზნესმენს და ბიზნესის განვითარებას. ბიზნესისათვის მთავარია სტაბილური გარემო, ჩამოყალიბებული და მკაფიოდ განსაზღვრული თამაშის წესები.

პოლიტიკური რყევები და თამაშის წესების ხშირი ცვლა არასტაბილურობის განცდას აჩენს და ეს საფრთხეს უქმნის მათ საქმეს. ასეთი არასტაბილური ხელისუფლების ხელში, ვერც ბიზნესი იქნება უსაფრთხო.

ქართველმა ბიზნესმენებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს, რას ნიშნავს კანონიერი ქურდების მიერ დამყარებული წესრიგი! საბედნიეროდ, ეს დრო დამთავრდა მთელ ქვეყანაში და აღარასოდეს გამეორდება!



ქურდული წესრიგი ხელისუფლებამ კი არ მოსპო, არამედ ჩაანაცვლა და ერთი მოძალადე მეორეთი შეიცვალა.

ამიტომ, ვპირდები ჩვენს ბიზნესმენებს: ჩვენ დავამყარებით წესრიგს, რომელიც შექმნის სტაბილურ, კანონზე დაფუძნებულ გარემოს.

დადგინდება თამაშის წესები და მისი შეცვლა ხელისუფლის ნებასურვილზე აღარ იქნება დამოკიდებული. ამის პირობას მე გაძლევთ!

ასევე, ჩვენ აღვადგენთ დამოუკიდებელ არბიტრაჟს, რომელიც გადაწყვეტს დავებს სახელმწიფოსა და ბიზნესმენს შორის. არბიტრაჟი ძალიან ცოტა ხანს ფუნქციონირებდა საქართველოში და ის იყო სერიოზული ინსტიტუციური ბერკეტი ხელისუფლების განუკითხაობისგან ბიზნესის დასაცავად.

სწორედ ამიტომ გააუქმა იგი ხელისუფლებამ. ჩვენ ამ ინსტიტუტს აუცილებლად აღვადგენთ და გავაძლიერებთ.

დიახ, ჩვენ მოვალთ და დავამყარებთ წესრიგს, მაგრამ ეს წესრიგი დემოკრატიაზე, სამართლის უზენაესობასა და ადამიანის ღირსების პატივისცემაზე დამყარებული წესრიგი იქნება.

ეს ხელისუფლება ხალხს იმითაც აშინებს, თითქოს ჩვენ, მისი ოპონენტები, პატიმრებს გავათავისუფლებთ და ყველა დამნაშავეს გარეთ გამოვუშვებთ.

ამას სინამდვილეში თვითონ აკეთებენ. ნამდვილი კრიმინალები გარეთ გამოუშვეს და ზონდერბრიგადებში განაწესეს, ხოლო არა ერთი უდანაშაულო ადამიანი ციხეში ჰყავთ გამომწყვდეული.

როგორ მოხდა, რომ საქართველოს, ალბათ, ერთ-ერთ ყველაზე მშრომელ ქალაქს დღეს ყველაზე მეტი პატიმარი ჰყავს?!

იქნებ, ეს იმის ბრალია, რომ ერთ დროს წელგამართულ ქალაქს გაუგონარი უმუშევრობა და სიღატაკე დაატყდა თავს?! იქნებ შიმშილმა და გაჭირვებამ მიიყვანა ადამიანები დანაშაულამდე? აწუხებს ეს კითხვები ვინმეს ხელისუფლებაში?!

მშიერი კაცი პურს რომ მოიპარავს, მითხარით ერთი, როგორ შეიძლება, წლობით ციხეში რომ იჯდეს?!

ყველა პატიმარი ჩვენი მოქალაქეა და მათი დროებითი იზოლაცია სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ უარი უნდა თქვას თავის მოქალაქეზე და არაფრად ჩააგდოს თითოეული პატიმრის ბედი.

დღეს სასჯელის შეკრებითობის პრინციპმა მოიტანა ის, რომ მცირე დანაშაულის გამო ადამიანები სრულიად შეუსაბამო სასჯელს იხდიან, ჩვენი საპატიმროები გადაჭედილია.

ალარაფერს ვამბობ იმ ყოვლად აუტანელ პირობებზე და პატიმართა სიკვდილიანობის ზრდაზე, რაც ასე გამოარჩევს ჩვენს ქვეყანას ცივილიზებული სამყაროსგან.

პირობას გაძლევთ, რომ ამ საქმეშიც დავამყარებთ წესრიგს, ჩვენ გადავხედავთ კანონმდებლობას, გავაუქმებთ სასჯელის შეკრებითობას და ყველა პატიმარი დანაშაულის შესაფერის სასჯელს მოიხდის.

ამ ხელისუფლებამ მრავალი უდანაშაულო ადამიანი პრობაციონერად აქცია. გარდა იმისა, რომ ეს დღეს ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყარო გახდა, ხელისუფლება მათ და მათი ოჯახის წევრებს შანტაჟითა და დაშინებით აიძულებს ნაციონალების სასარგებლოდ მუშაობას და არჩევნებში მხარდაჭერას.

ჩვენ გპირდებით, რომ დამოუკიდებელი სასამართლო გადახედვას ყველა უკანონო პატიმრისა და პრობაციონერის საქმეს!

ჩვენ არ ვაპირებთ პატიმრებთან ანგარიშსწორებას, ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან. ჩვენ ვიზრუნებთ იმისათვის, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა რაც შეიძლება სწრაფად მოახერხონ ადაპტაცია და სრულფასოვან ადამიანებად დაუბრუნდნენ საზოგადოებას. ჩვენ არც ერთი ადამიანი არ გვყავს დასაკარგი!

ჩვენ გპირდებით, რომ ადამიანი ჩვენი ხელისუფლებისთვის მთავარი ღირებულება იქნება, ჩვენ ვიქნებით ყველას ქომაგი, ყველა ადამიანის, ვისაც სახელმწიფოს დახმარება დასჭირდება!

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ჩვენ გპირდებით, რომ რუსთავს დავუბრუნებთ ღირსებას და ძლიერებას! სრულად შევაფასებთ ამ ქალაქის პოტენციალს, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მაქსიმალურად ამუშავდეს აზოტისა და მეტალურგიულ ქარხნებში არსებული საწარმოები.

დავაინტერესებთ როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ინვესტორებს, რათა მათი შემოსვლით ქალაქში რეალური სამუშაო ადგილები გაჩნდეს.

ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რომ რუსთაველი მეტალურგების, ინჟინრების, ქიმიკოსების მონაწილეობით დავიწყოთ ქართული სოფლისთვის მანქანა-დანადგარების, შხამ-ქიმიკატების, სარწყავი მილების და სხვა საჭირო ინვენტარის წარმოება.



რუსთავს ისეთი მდებარეობა აქვს, რომ ქვემო ქართლსა და კახეთში მოწეული მოსავლის დაბინავება, დაფასოება და გადამუშავება ამ ქალაქმა შეიძლება თავის თავზე იტვირთოს და ამით ხელი შეეწყოს კვების მრეწველობის განვითარებას.

თანამედროვე მაღალტექნოლოგიური საწარმოს ამუშავება დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის და მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი დასაქმდება.

რუსთავში თავმოყრილია პროფესიული ტრადიციები და ცოდნა, თაობათა გამოცდილება, რომლებიც ახალი კადრების, ახალი თაობის მომზადებასა და აღზრდაში დაგვეხმარება.

რუსთავი შესაძლოა გახდეს პროფესიული განათლების ცენტრი, სადაც ახალგაზრდები არა მარტო თეორიულ ცოდნას მიიღებენ, არამედ შესაბამის პრაქტიკასაც გაივლიან სხვადასხვა ტიპის საწარმოებში.

ახალგაზრდობა, სტუდენტობა, სასაწავლო ცენტრები, სახელოსნოები, სტუდიები, - ეს გამოაცოცხლებს რუსთავს და ახალ ფუნქციას მიანიჭებს ამ ქალაქს.

გზა ხსნილი ექნება ყველას, რადგან განათლების რეფორმა, რომელსაც ჩვენ ვგეგმავთ, ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად სახავს სწავლა-განათლებას მთელი ცხოვრების განმავლობაში, რაც ხელს შეუწყობს ახალი პროფესიების დაუფლებას.

თქვენი ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, „ქართული ოცნებისთვის". ჯანდაცვის საქმე 20 წელზე მეტია სულ უკან-უკან მიდის.

ამ ხელისუფლებამ ვითომ ახალი საავადმყოფოები ააშენა, მაგრამ იქ მისვლა და მკურნალობა ისე ძვირი ღირს, რომ ხალხისთვის მიუწვდომელია.

ამიტომ ავადმყოფობა ჩვენი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი პენსიონერებისა და გაჭირვებული ადამიანებისთვის, ხშირად, სასიკვდილო განაჩენია. ეს უნდა შეწყდეს!

„ქართული ოცნება" ბოლოს მოუღებს ამ უსულგულობას! ყველას – ყოველ თქვენგანს - ექნება სამედიცინო დაზღვევა, გპირდებით ამას!

ჩვენ ჯანსაღი, განათლებული, მშრომელი, ღირსებით სავსე და ამაყი ხალხის ხელისუფლება უნდა ვიყოთ. ჩვენ მივაღწევთ ამას, ჩვენ - ყველანი ერთად!

ჩვენს ხელისუფლებას ეცოდინება, რომ ყოველ თქვენგანს, თითოეულ ადამიანს თვალის ჩინივით უნდა გაუფრხილდეს!

ჩვენ დავადგენთ საარსებო მინიმუმის ახალ, რეალურ ზღვარს. ცხადია, ეს ზღვარი აღარ იქნება დამამცირებელი. პენსია არ იქნება იმაზე ნაკლები, ვიდრე რეალური საარსებო მინიმუმია.

ჩვენ გავაორმაგებთ სოციალურ დახმარებას, ამ დახმარებას მიიღებს ყველა, ვისაც იგი ნამდვილად სჭირდება. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დახმარების მიღება აღარასდროს მოხდება ადამიანის ღირსების შელახვის ხარჯზე.

ჩვენ დავიცავთ დასაქმებულთა ინტერესებსაც. ერთხელ და სამუდამოდ მოვაწესრიგებთ შრომის კოდექსს და მას ევროპულ სტანდარტებს მივუახლოებთ.

ამას დიდი ხანია ამ ხელისუფლებისგან ითხოვენ ევროპის საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგრამ ხელისუფლება ჯიუტად არ ასრულებს მათ მოთხოვნას, რადგან სწორედ ამ კაბალური შრომის კოდექსით მოახერხა მან თავხედური რეფორმების განხორციელება, რომელმაც ასეულობით ათასი ჩვენი მოქალაქე ულუკმაპუროდ დატოვა.

სააკაშვილს ჰგონია, რომ აუცილებლად უნდა ჩამასწროს და ჩემზე ადრე მივიდეს ყველგან, სადაც მე ვაპირებ მისვლას. ასე მოიქცა რუსთავშიც, ჩამოვიდა და ტყუილები დაახვავა.

ვის მიმართავდა, ნეტავ, ამ ტყუილებით? თქვენ რომ არ მოგმართავდათ, ნამდვილ რუსთაველებს, გაჭირვებასთან მებრძოლ ადამიანებს, ცხადია. ის მიმართავდა თავის წარმოსახვაში არსებულ ვირტუალურ პუბლიკას, რომელმაც აღარ იცის სად წაიღოს თავისი წარმოსახვითი კეთილდღეობა.



სააკაშვილი ყოველ გამოსვლაში თავს იწონებს საქართველოში ჯერ არნახული მშენებლობებით. თითქმის მთელი საქართველო ხარაჩოებშია ჩასმული, დაწყებულია და შუა გზაშია მიტოვებული გზებისა და სხვადასხვა ობიექტების მშენებლობა. იმის მაგივრად, რომ დაწყებული მშენებლობები ბოლომდე მიიყვანონ, ახალ-ახალი პროექტებია წამოწყებული.

ამ სურათის შექმნა სააკაშვილს იმ ილუზიის შესაქმნელად სჭირდება, რომ თითქოს ქვეყანა აღმშენებლობის გზას ადგას, რომ საქართველოს ისტორიაში პირველადაა მშენებლობის ასეთი მასშტაბი.

სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ეს ეგრეთ წოდებული სამშენებლო ბუმი იმ კრედიტებით წამოიწყო, რომელიც ჩვენმა პარტნიორმა ქვეყნებმა გამოგვიყვეს ომისშემდგომი რეაბილიტაციისთვის.

ამ თანხების, ამ ვალების გადახდა სამომავლოდ ჩვენს გაჭირვებულ ხალხს მოუწევს, ხოლო ზოგი იმდენწლიანი ვალია, რომ ჩვენს შვილთაშვილებსაც მოუწევთ მისი გადახდა.

აი, ამას გვაყვედრის სააკაშვილი, ამით მოაქვს თავი, მაშინ როცა მთელ მსოფლიოშია მშენებლობის ბუმი. ჩვენ მეზობელ ქვეყნებში გაცილებით მეტი შენდება, მაგრამ ამით არავინ ტრაბახობს.

ახლა ამ მშენებლობებს სააკაშვილმა სრულიად სხვა დატვირთვა მიანიჭა. მშენებლობები არჩევნების წინ ხალხის მოსატყუებლად, მათი დასაქმების ილუზიის შესაქმნელად სჭირდება.

გაჭირვებულ ხალხს მოკლევადიან სამუშაოს აძლევს, თან აშინებს და აშანტაჟებს, რომ თუ ხელისუფლება შეიცვლება, ისინი კვლავ უსამსახუროდ დარჩებიან.

წინასაარჩევნო ტყუილის ნათელი მაგალითია ის, თუ როგორ „დაასაქმა" ხელისუფლებამ ადამიანები ბათუმის დელფინარიუმში, ურეკის კულტურის სახლსა და გასართობ ცენტრ „ციცინათელაში".

იმის მაგივრად, რომ ბიუჯეტის თანხები სარემონტო სამუშაოებში დაეხარჯა, ხელისუფლებამ არჩევნების წინ დროებით გააორმაგა თანამშრომელთა რაოდენობა და არად ჩააგდო ის, რომ ამ ობიექტებზე აუცილებელი სამუშაოების ჩატარების გარეშე ადამიანის უსაფრთხოება დაცული არ არის!

აი, ეს პრაქტიკა დანერგა სააკაშვილმა, ასე ასაქმებს იგი ხალხს! ასე ატყუებს მათ, რადგან ხალხი მას ცხვრის ფარა ჰგონია!

ჩვენ ვპირდებით ჩვენს ხალხს, რომ მშენებლობა საქართველოში არათუ გაჩერდება, არამედ უფრო მასშტაბური გახდება და გაცილებით მეტი ადამიანი დასაქმდება.

მაგრამ ეს არ იქნება ისეთი სამუშაო ადგილები, რომლებიც არჩევნების წინ იქმნება და არჩევნების დამთავრებისთანავე უქმდება.

ეს იქნება ისეთი მშენებლობა, რომელსაც, ყველა ნორმისა და სტანდარტის შესაბამისად, კვალიფიციური სპეციალისტები დაგეგმავენ, სადაც დაცული იქნება როგორც მშენებლობის, ისე მშენებლობაზე მომუშავე ყველა ადამიანის უსაფრთხოება.

სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ისე იქცევა, თითქოს 9 წელი ხელისუფლებაში კი არა, ოპოზიციაში იყო, თითქოს, მათ ხელში არ იყო ამდენ ხანს ყველაფერი. ახლა გაახსენდათ ადამიანი, ახლა გაახსენდათ სოფელი და დასაქმება, თითქოს იმაზე ფიქრით ათენებენ და აღამებენ, როგორ მოუტანონ მეტი სარგებელი ხალხს.

ჩვენი პროგრამა რომ მიითვისეს, ჩვენი ციფრები რომ აიღეს და ოთხზე გაამრავლეს და 4 წელიწადში 40-მილიარდიან ბიუჯეტს რომ დაჰპირდნენ ხალხს, საიდან მოიტანენ ამ თანხებს, გვითხრან! რის ხარჯზე ფიქრობენ ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის დაფინანსების გაზრდას, საიდან მოაქვთ ეს ფული?!

კეთილი ინებონ და გვაჩვენონ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი, სადაც უკვე გაწერილი უნდა ჰქონდეთ ყველაფერი!

ეს ციფრები მხოლოდ ამომრჩეველთა გულის მოსაგებად არის ნათქვამი.

ამ ბოლო თვეების განმავლობაში თქვენმა სამოქალაქო აქტივობამ და ღირსებამ აჩვენა ყველას, რომ ჩვენი ხალხი აღარ ტყუვდება და საკუთარი ქვეყნისთვის, საკუთარი მომავლისთვის ბოლომდე იბრძოლებს!

ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფოს შენება და განვითარება ქვეყნის ყველა მოქალაქის პასუხისმგებლობაა. ეს პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, არჩევნებზე უნდა ვიტვირთოთ და დაფიქრებული და სწორი არჩევანი გავაკეთოთ.

ხელისუფლებამ კარგად იცის არჩევნებში ყოველი ადამიანის გადაწყვეტილების მნიშვნელობა, მაგრამ ხან შეპარვით და ხან პირდაპირ იმ აზრს გვინერგავს, რომ ჩვენს ხმებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომ ყველაფერი მაინც სხვაგან და წინასწარ წყდება. ამ ტყუილმა ისე ღრმად გაიდგა ფესვები, რომ ძნელია მისი ამოძირკვა. მაგრამ, მე ჩვენი ხალხის იმედი მაქვს!

ჩემო მეგობრებო, ჩემო თანამებრძოლებო, თქვენ გატყუებენ. დაფიქრდით კარგად - ყოველი მოქალაქის არჩევნებია დემოკრატიის მთავარი საყრდენი, და, როგორც ამბობენ, კაცობრიობას დემოკრატიაზე უკეთესი სისტემა ქვეყნის მართვისათვის ჯერ არ მოუგონია.

ამიტომ აქვს უდიდესი მნიშვნელობა სამართლიან არჩევნებს. ამიტომ აქვს უდიდესი მნიშვნელობა არჩევნებში ყოველი თქვენგანის მონაწილეობას.

არჩევნების დღე ის დღეა, როდესაც ხელისუფლება ხალხის ხელშია, ეს გადამწყვეტი დღეა და თუ ამ დღეს არ გამოვიყენებთ, მეორე დღეს უკვე ყველაფერი დაგვიანებული შეიძლება აღმოჩნდეს.

სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებამ ჩამოაყალიბა მანკიერი, მაგრამ კარგად განვითარებული სისტემა, რომელიც ტყუილისა და სიყალბის იდეოლოგიას ემსახურება.

გაყალბებისა და ხელისუფლების შენარჩუნებისათვის იყენებენ ჩვენს მოქალაქეებს. ამ ადამიანებს შეიძლება არც კი ჰქონდეთ გააზრებული, რომ ტოტალიტარულ მანქანას ამუშავებენ, მანქანას, რომელიც ჩვენ, ჩვენს შვილებს და ჩვენს სამშობლოს მომავალს ჰპარავს!

ამ ხელისუფლებამ სიყალბე, ხალხო, სიყალბე დაადგინა ქვეყნის მართვის მთავარ პრინციპად.

ამ სიყალბესა და დანაშაულში მარტო ხელისუფლების წევრები კი არ მონაწილეობენ, არამედ სამსახურის დაკარგვის შიშით, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან ჩათრეული.



არჩევნებში მონაწილეობა და ხმის მიცემა არაფერს რომ არ ნიშნავდეს, რატომ დაიწყებდა ეს ხელისუფლება ასეთ გააფთრებულ ბრძოლას ჩვენთან. რატომ აიღებდა თავზე ხელს და მოჩვენებით დემოკრატიულობასაც შეელეოდა, რომ როგორმე თქვენამდე მართალმა სიტყვამ არ მოაღწიოს.

ხალხის არჩევანს ფასი რომ არ ჰქონდეს, ეს ხელისუფლება ყოველი არჩევნების წინ არ დაარიგებდა ხან ტომარა ფქვილს, ხან შაქარს, ხან 10 და ხან 20-ლარიან დახმარებას.

უნდათ ჩაგვინერგონ, რომ ჩვენი ხმა არაფერს ნიშნავს, არაფერი ღირს. ჩვენ თაღლითურად გვართმევენ თავისუფლებას!

ახლა მაინც, როცა ჩვენი სამშობლოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება, აღარავის მივცეთ იმის უფლება, რომ ყველაზე მთავარი - ჩვენი თავისუფლება - ფეხქვეშ გათელოს და მერე სასაცილოდ აგვიგდოს!

ქვეყნის მომავალზე უნდა ვიფიქროთ და არა იმაზე, ვინ უფრო გვაწყობს ამ წუთას და ვის ხელში უკეთ შევინარჩუნებთ მცირეოდენ პირად კეთილდღეობას.

ჩვენს საზოგადოებას გამუდმებით უნდა ახსოვდეს ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ადამიანი ერთხელ ცხოვრობს ამ ქვეყანაზე და ამიტომ, მისი ცხოვრება რაც შეიძლება თავისუფალი, ღირსეული და ბედნიერი უნდა იყოს.

სახელმწიფოს მთავარი დანიშნულება ის არის, რომ საიმედო და საამაყო სამშობლო ჰქონდეს ყველა მის მოქალაქეს. სახელმწიფო უნდა ეკუთვნოდეს ყოველ მოქალაქეს!

ჩვენ კი რა გვაქვს ხელში - ქვეყანა, რომელიც მისივე ხელისუფლების მიერაა დაპყრობილი. აი, ეს დამპყრობელი უნდა გავისტუმროთ ახლა არჩევნებით.

სამსახურის დაკარგვის შიში, ამ შემთხვევაში, ნამდვილად არ გამოდგება გამართლებად.

ყველა სახელმწიფოში უმძიმეს დანაშაულად ითვლება ფულის გაყალბება, როგორც სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით სახიფათო საქმიანობა. ხოლო დემოკრატიულ სახელმწიფოში არანაკლები სიმძიმის დანაშაულია დემოკრატიული არჩევნების გაყალბება.

დემოკრატიულ ქვეყანაში სახელმწიფოსა და საზოგადოების გამართულად ფუნქციონირებისთვის საჭიროა ნამდვილი ფული და ნამდვილი არჩევნები.

ამიტომ ნურავის გაუკვირდება, თუ სამართლიან და დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონი არჩევნების გამყალბებელს ისევე მოექცევა, როგორც ფულის გამყალბებელს.

განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ამ გაყალბების მთავარ მონაწილეებად და შემსრულებლებად ხელისუფლებამ მასწავლებლები გაიხადა.

ხალხო, როგორ უნდა გაბედონ ჩვენი შვილების აღზრდა იმ ადამიანებმა, რომლებმაც ბავშვებს გაუყალბეს მომავალი. საბედნიეროდ, ეს ყველას არ ეხება, რა თქმა უნდა.

მასწავლებლებო, შეასრულეთ თქვენი მთავარი მოვალეობა და ნუღარ ჩაუდგებით ხელისუფლებას დამამცირებელ სამსახურში, ნუ მისცემთ არჩევნების გაყალბებაში თქვენი გამოყენების საშუალებას, ნუ მისცემთ უფლებას თქვენზე იბატონოს!

მასწავლებლებო, გათავისუფლდით! დაშინებული მასწავლებელი თავისუფალ მოქალაქეს ვერ აღზრდის!

მივმართავ ყველას, ვისაც თავის სამსახურში ჩათრევას უპირებს ხე-

6 gv.

# biZina ivaniSvilis

## gamosvlis teqsti 19 agvistos aqciaze, rusTavSi

5 gv.

ლისუფლება, არ მიიღოთ არჩევნების გაყალბებაში არანაირი მონაწილეობა, რადგან ეს დანაშაულია!

საგანგებოდ აღსანიშნავია კოორდინატორების, მამასახლისების და ნაციონალური მოძრაობის სხვა ადგილობრივი სტრუქტურებისა და მათი აქტივისტების საქმიანობა. მათი მეშვეობით ხდება წვრილმანი კრიმინალის, დაშინების, შანტაჟის ათასობით ფაქტი, რაც, რეალურად, ქვეყნის წინააღმდეგ, სამშობლოს წინააღმდეგ, ჩვენი შვილების მომავლის წინააღმდეგაა მიმართული!

ამიტომ, ყველა უბანზე, ყველა სოფელში, ყველა ქალაქში უნდა შევაჩეროთ გამყალბებლები და არ ჩავადენინოთ ეს დანაშაული.

ამ ბრძოლაში ჩვენი მთავარი იარაღია სიმართლე, ჩვენ სიმართლით დავუპირისპირდებით ყველას. ჩვენ შემუშავებული გვაქვს მექანიზმები, როგორ უნდა აღვუდგეთ წინ ამ გაყალბების მანქანას.

ჩვენ ვიცით ყველა ის ადამიანი, ვინც ამ გაყალბებაში ჰყავთ ჩათრეული, ზოგი ნებით, ზოგი - იძულებით.

გაყალბება, ისევე როგორც ქურდობა, სისხლის სამართლის დანაშაულია, და ამ დანაშაულის ჩამდენი ყველა დაისჯება. ჩვენ ვიქნებით პირველი, ვინც ამას დაამკვიდრებს ამ ქვეყანაში და ამით ერთხელ და სამუდამოდ დავამთავრებთ არჩევნების გაყალბების სამარცხვინო ტრადიაციას, რომელიც 20 წელია ვერა და ვერ დავძლიეთ.

ის, ვინც ხმების ქურდობას, ხმების გაყალბებას და ამით ჩვენი სამშობლოსთვის მომავლის წართმევას გაბედავს, პასუხს აგებს კანონის წინაშე! პასუხს აგებს კანონის მთელი სიმკაცრით!

როგორც ვაჟა ამბობს: „თავისუფლების ქურდები, ბოლო ჟამს მუდამ დასჯილან“.

მინდა მივმართო ყველას: კანონის გეშინოდეთ და კანონის იმედი გქონდეთ!



ბრძოლა ქვეყნისა და ხალხისთვის ჩვენი გამარჯვებით დასრულდება! თავისუფლებისთვის ბრძოლას ველარაფერი შეაჩერებს!

ქვეყნის ბედს თქვენ წყვეტთ, ქვეყნის ბედს 1-ელ ოქტომბერს თქვენ და თქვენი ოჯახის წევრები გადაწყვეტთ! 1-ელ ოქტომბერს თქვენ სამშობლოს არჩევნებზე სჭირდებით!

ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს!!! ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ საკუთარი მომავლისთვის, ჩვენი შვილების მომავლისთვის!!! ჩვენი სამშობლოსთვის!!! ჩვენი საქართველოსთვის!!!

ჩვენ ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც ველარავინ წაართმევს ხალხს თავის არჩევანს!

ჩვენ ღირსებას დავუბრუნებთ ჩვენს ქვეყანას!

ჩვენ ღირსებას დავუბრუნებთ ჩვენს ხალხს!

ჩვენ გავაერთიანებთ ჩვენს ხალხს!

ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას!

ჩვენ ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც აღარავის დასჭირდება ლუკმაპურის საშოვნელად სამშობლოდან გადახვეწა.

საქართველოში დაცული იქნება ადამიანის ყველა უფლება, აზრისა და სიტყვის თავისუფლება; სასამართლო იქნება სამართლიანი, მედია - დამოუკიდებელი, ბიზნესი - ხელშეუხებელი!

ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც ჩვენს საამაყო ჯარისკაცებსა და პოლიციელებს მიეცემათ იმის შესაძლებლობა, რომ ღირსეულად ემსახურონ სახელმწიფოს და არა რომელიმე ხელისუფალს!

თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ხალხი იცხოვრებს, რომელსაც აღარ ექნება პოლიტიკური დევნის შიში! მე ამას გპირდებით!

ქართველები, ოსები, აფხაზები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ბერძნები და სხვები ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, რომელიც სამშობლო იქნება ყველასთვის!

საქართველო გახდება თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყანა, ევროპული თანამეგობრობის ღირსეული წევრი!

ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით! მხოლოდ ერთად დგომით მოვიგებთ ამ ბრძოლას!

კიდევ ერთხელ გილოცავთ ფერისცვალებას, და მჯერა, რომ, სულ მალე, პოლიტიკურ ფერისცვალებას მივულოცავთ ერთმანეთს!

**ჩვენ გვწამს და მტკიცედ გვჯერა, რომ გავიმარჯვებთ არჩევნებში, ქართველი ხალხი გაიმარჯვებს, საქართველო გაიმარჯვებს, ჩვენ ერთად შევქმნით უკეთეს მომავალს და ერთად ავისრულებთ ქართულ ოცნებას!**

# „იყო არაბეთს როსტევან, საქართველოში — მიხეილ...“

მთელმა საქართველომ იცის „ვეფხისტყაოსნის“ ეს სტრიქონები: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი“.

**მთელმა საქართველომ იცის ეს სტრიქონები, მაგრამ ამ ქვეყანაში მაინც აღმოჩნდა ერთი კაცი, რომელმაც არ იცის ეს საყოველთაოდ ცნობილი ორი სტრიქონი და ეს ერთი კაცი მაინცდამაინც საქართველოს პრეზიდენტი აღმოჩნდა.**

ივანე მერაბიშვილის მიერ აშენებული რაბათის ციხე-სიმაგრის გახსნაზე მიხეილ სააკაშვილმა დიდი რიხით და შემართებით დაიწყო: „იყო არაბეთს როსტევან...“, დაიწყო და მეორე სტრიქონზევე გაიჭედა, მაგრამ არ დაიბნა და მყისვე „შპარგალკას“ ეცა, თუმცა ამაოდ — ველაშქარმრავალი, სხვა ვინ შეიძლება იყოს თუ არა მე? — იფიქრა მან და ამ აღმოჩენამ ისე დააბნია, რომ ასოების გარჩევაც კი ვერ შეძლო.

— ეს ციხე ივანე მერაბიშვილმა ააშენა... გმირია ვანო... აქ გამოჩენაც კი არ უნდოდა, ძლივს გამოვიყვანე... ვანო, შენ აქაური ხარ, მაგრამ



არ დაგვავიწყდეს, როგორ გადაარქვა სახელი საქართველოს ხელისუფლებამ კოდორის ხეობას და როგორ დაარქვა ზემო აფხაზეთი, როგორ განაიარაღეს და როგორ გამორეკეს იქიდან ხეობის დამცველი გმირი სვანები, რის შემდეგაც, ფაქტობრივად,

რაფრთ რომ ვერ ამოიკითხა სიტყვა ლაშქარმრავალი, რაღაც უაზრო ბგერების გროვა ამოისროლა და თავმომწონედ დაასკვნა: — აი, ხომ ხედავთ, ყველამ ზეპირად ვიცითო.

კი, ყველამ ზეპირად ვიცით, თქვენ გარდა, პატივცემულო...

**ამ საცოდაობის შემყურეს ერთი თავზარდამცემი კითხვა გამიჩნდა: — „იცის თუ არა ამ კაცმა წერა-კითხვა საერთოდ, თუ ისე, ზეპირად მართავს ამ სახელმწიფოს?**

ისმის მეორე კითხვაც: საერთოდ სკოლაში სწავლობდა ეს ადამიანი, თუ „ექსტერნად“ აქვს დამთავრებული სკოლაც, ინსტიტუტიც, უცხოური უნივერსიტეტებიც?

უცხოურ უნივერსიტეტში რომ შერბენით და გამორბენით იღებდა „სწავლა-განათლებას“, ვიცით, მაგრამ სკოლაშიც ასე შერბოდა და გამორბოდა, რომ რუსთაველი ორბელიანში ერევა და გალაკტიონ ტაბიძე ანა კალანდაძეში?



იალღიში, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთნახსენები ორი სტრიქონის წაკითხვისას სააკაშვილს მოუვიდა, შეიძლება, ერთი ფსიქოლოგიური ხასიათის ნიუანსით აიხსნას: სტრიქონების კითხვისას სააკაშვილს უცებ მოეჩვენა, რომ როსტევანის „ფსევდონიმით“ რუსთაველი სწორედ მას, მიხეილ სააკაშვილს, გულისხმობდა — მეფე ღმრთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი,

ბაბუაჩემი მიხეილ სააკაშვილი გორელი იყო... გორშიც მინდა ასეთი ციხე... ჰა, ვანო და ჰა, გორის ციხე... მივესიოთ ერთად და გორელებსაც ავუშენოთ ასეთი ციხე, — გასცა ბრძანება „როსტევან მეფემ“, ანუ იგივე სააკაშვილმა.

**— ვიღაც-ვიღაცებმა თქვეს, თითქოს ჩვენ დავიწყეთ ომი... შემოგვხედეთ მე და ვანოს... ჩვენ შეიძლება ომი გვინდოდეს? ჩვენ აღმშენებლობა გვინდა და იმიტომ გვეომებიან,**

— განაცხადა „როსტევან“ სააკაშვილმა. ვანოსი არ ვიცით, მაგრამ თქვენ რა შემოხედვა გინდათ — ზედ არ გეტყობათ, სულ ომისკენ რომ მიგიწევთ გული.

ახლაც ამ საარჩევნო კამპანიის დროსაც ვიღაცას დიდგორს ჰპირდებით, ვიღაცას ომით ემუქრებით და გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ თქვენი რისხვის საგანი ქართველი ხალხის ის ნაწილია, რომელიც კარგად ხედავს, რომ ბუტაფორიული მშენებლობების უკან როგორ ინგრევა და ილეწება ქართული სახელმწიფოებრიობა.

რაც შეეხება ომის დაწყებას, ქართულმა მხარემ კერძოდ კი სააკაშვილმა, რუსულ მხარესთან ერთად ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს ომი დაწყებულიყო.

არც ის დაგვავიწყდეს, რა უძღოდა წინ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს.

უომრად როგორ დაიპყრო იგი მტერმა.

ისიც გავიხსენოთ, ყოველგვარი ბრჭყალების და ეგრეთწოდებულის გარეშე როგორ ამკვიდრებდა პრეზიდენტი სააკაშვილი ტერმინს სამხრეთ ოსეთი, ამკვიდრებდა, როგორც დამოუკიდებელი იურიდიულ-სამართლებრივი სუბიექტის სახელწოდებას, სადაც მოგვიანებით არჩევანებიც ჩაატარა და „პრეზიდენტად“ ვინმე სანაკოევი აირჩიეს.

**ფაქტი ერთია: მრავალწლიანი ომახიანი მოწოდებები, რომ საქართველო აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას, იმით დამთავრდა, რომ საქართველოს ნაცვლად აფხაზეთმა და „სამხრეთ ოსეთმა“ აღიდგინეს ტერიტორიული მთლიანობა თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში, რის შემდეგაც მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღიარება რუსეთს არ გასჭირვებია.**

რა არის ეს ყველაფერი, უბრალო დამთხვევა, უნებლიე შეცდომები თუ კარგად ორგანიზებული ქმედებები მოწინააღმდეგისთვის ამ ტერიტორიების გადასაცემად?

მთავარი ეს კითხვებია და არა ის, ვინ გამოჰკრა პირველმა ჩახმახს თითი?

ისედაც ბუტაფორიად ქცეულ ქვეყანას ბუტაფორიული ციხეების შენება ვერ უშველის, რადგან ასეთი „ციხეები“ მტრისგან თავდასაცავად ვერ გამოდგება...

— რა დროს ომია, ლაზიკა მაქვს ასაშენებელი... სხვათა შორის, ბანა არ არსებობს და ბანა ჩავდგათ შიგ, — გასცა ბრძანება სააკაშვილმა.

კი, ბატონო, ჩადგით, მაგრამ თურქი და ჩინელი „კირითხუროების“ (ქართველებს ამ მშენებლობას ვინ მიაკარებს?) მიერ მოთითხნილი ის ნაგებობა რამდენად იქნება ბანა, ამაზე გიფიქრიათ?

**გიორგი გამეზარდაშვილი**

## rogor aRmoCnda erT dros biZina ivaniSvilis maqebari guram petriaSvili biZina ivaniSvilis maZagebel Salva naTelaSviliTan?

# „ნაცები“ თავიანთ ხალხს „ლეიბორისტების“ კვოტით სვამენ საარჩევნო კომისიებში?

ოცი წელია ვერაფერი მოვუხერხეთ ვერც ხელისუფლებას და ვერც მის მიერვე დანიშნულ ოპოზიციას და ისინიც, დაუსჯელობის სინდრომით გაკაჟებულნი – როცა გაეხარდებათ ხელისუფლებასთანაც კეკლუცობენ და ხანაც საკუთარი სტომაქის ამოსავსებად ათას სიბინძურეს სჩადიან, ოღონდაც ჩვენი, ხალხისა და სამშობლოს სახელით!

საქართველოში გამოცემული ყველა გაზეთის ტირაჟი არ ეყოფა იმ ფარულ გარიგებით და შეგნებული შეცდომების ნუსხას, რაც ფსევდოოპოზიციასა და შევარდნაძე-სააკაშვილის ერთობლივი მმართველობის დროს მოხდა საქართველოში! ის, რაც საზოგადოებას იგივე მედიასაშუალებებით ემცნო, ზღვაში წვეთია, სინამდვილეში კი დღემდე გრძელდება მათი დანაშაულებრივი, კულუარული ურთიერთობები და რატომ გვიკვირს, ქვეყანა თავზე რომ გვემხობა ყოველდღე და ჩვენ კი ნელ-ნელა „ახალ ადამიანებად“ გვძერწავს ვიღაც?

არადა, როგორც ეტყობა, უკვე კარგა ხანია ახალი ადამიანის აზროვნებით ვმოქმედებთ, რადგან პროტესტი, თუ გნებავთ, მძლავრი წინააღმდეგობა აღარ შეგვიძლია, რითაც ხელისუფლება ხომ ლაღობს და ლაღობს, ახლა „ოპოზიციას“ არ იკითხავთ, რა სიამტკბილობაშია?

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ 1 ოქტომბრის არჩევნები სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, ანუ, ან „ისინი“ და ან „ჩვენ“, მაშინ ხალხმა უკვე დღეს, დაუყოვნებლივ უნდა ამხილოს ის პოლიტიკოსები, ვინც ხელისუფლებასთან არშიყს არ იშლის და მათი ლანძღვა-გინებით სურს გადაფაროს ის გარიგება, რომელიც ახალ პარლამენტში 2-3 ადგილის მიღების გარანტიით არის ნაკარნახევი, რადგან რეალურად ამგვარი პოლიტიკოსების რეიტინგი უკვე საგრძნობლად არის დაცემული და მშივრებს ხომ არ დატოვებენ „მოქალაქეთა კავშირის“ ნაშიერნი ერთმანეთს?

ქართველ საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ ერთი და იგივე პოლიტიკური „სახეების“ კარუსელი ჩვენი ქვეყნისათვის ისეთივე კატასტროფული აღმოჩნდა, როგორიც 90-იან წლებისა და 2008 წლის „დამაგვირგვინებელი“ ავანტიურა, მაგრამ აბა, გაიხსენეთ – ყველა ეს უბედურება ვისი ხელშეწყობით „გათეთრდა“? ვინ უკმია გუნდრუკი ან მაშინ და ანდა უფრო მოგვიანებით, „მორატორუმული“ ჰანგებით სააკაშვილს და მის მოღალატე ხელისუფლებას? ვინ შეარგო გაყალბებული არჩევნები სააკაშვილს და ვინ დაძვრებოდა „ნაც. ხვრელებში“ დღისით თუ ღამით?

აბა, მაშ ისევ იმავე „სახეებისთვის“ და მათი დაბრუნებისთვის, რატომ ვირჯებით და რატომ გვავიწყდება „კუ და მორიელის“ იგავი, სადაც მორიელი, მიუხედავად მისთვის გაწეული დახმარებისა, ავ ზნეს არ იცვლის და დასაკბენად მუდამ მზად არის?

პირადად მე არაერთი პოლიტიკოსისგან თუ პოლიტიკაში მოსასვლელად გამზადებული პირისგან მომისმენია, რომ: „პოლიტიკა ერთია და პიროვნული ურთიერთობები კიდევ სხვაო“, მაგრამ განა მათი „პიროვნული ურთიერთობები“ არ არის, რომ ყოველ ჯერზე დანას გვისვამს ყელში და ყოველდღიურად საკუთარი სამშობლოდან გაქცევისკენ გვიბიძგებს? ანდა განა რა გახდა 50-100 წესიერი კაცის მოძებნა საქართველოში, სულ ერთი და იგივე, ხელისუფლებების „ნახმარ როჟებს“ რომ არ ვუყურებდეთ ყოველდღიურად?

საარჩევნო ციებ-ცხელების დროს საზოგადოებისგან ფარულად იმდენი სიბინძურე ხდება – „ყურო ნუ გაიგონებო“, ინატრებ! ასე იყო ადრეც და ასეა ახლაც, მაგრამ იცით, რა არის აქ საინტერესო? ის, ვინც ყველაზე მაგრად იგინება, იყიდება და ამავდროულად არანაირი ნება არ გააჩნია გინების აღსრულებაში მოსაყვანად, სწორედ ის პოლიტიკოსები „ათამაშებენ ერთ ადგილს“ ხელისუფლებასთან და მათი ყალბი აღსარებები –„ჩვენ ხომ ვიძახდით“, „ჩვენ ხომ გაფრთხილებდით“ ისეთივე ყავლგასულია, როგორც ის, რომ, თურმე ნუ იტყვით და, ასეთების გარეშე ქართული სახელმწიფო დღეს უკვე აღარ იარსებებდა!



გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, – დღეს საქართველოში რეგისტრირებულ პარტიათაგან დამოუკიდებლად ვის აქვს შანსი გადალახოს საარჩევნო ბარიერი? „მემარჯვენეებს“ – არა! „რესპუბლიკელებს“ – არა! „ფორუმს“ – არა! „ლეიბორისტებს“ – არა! ბურჯანაძის, დავითაშვილის, ძიძიგურის და მრავალი სხვა ე.წ. ლიდერების „შპს პარტიებსაც“ – არა! ვერც „ქრისტიან-ჟურნალისტები“ გადალახავენ ბარიერს წესიერად ჩატარებულ არჩევნებში და რა გამოდის? იმიტომ, რომ „ქართული პოლიტიკური სპექტრი“ არ დაირღვეს, – ესენი ყველა ერთმანეთს ეხმარებიან, იმისთვის რომ მართლაც პატრიოტი ადამიანები არ მოხვდნენ ხელისუფლებაში, ხომ?

თავში „პოლიტიკოსების“ პირად ურთიერთობებზე შემთხვევით არ ჩავაგდე სიტყვა და რადგან, მე, ჟურნალისტ ირინე გოგოსაშვილს, არავისთან პიროვნული ვალდებულებები არ გამაჩნია, დღეს ღიად ვწერ, რომ მთელ რიგ საარჩევნო უბნებში, ხელისუფლებას სწორედ ზემოთხსენებული პარტიების, კერძოდ კი ამ პარტიების კვოტით შერჩეული საარჩევნო კომისიის წევრების იმედი აქვს და სავარაუდო გამარჯვებასაც სწორედ ამდაგვარი ურთიერთობების წყალობით იზეიმებს!

შესაძლოა, ბევრს გაახსენდეს, რომ „საერთო გაზეთის“ გასული წლის ერთ-ერთ გამოცემაში, მე ღიად დავასახელე ერთ-ერთი მაჟორიტარის კერძოდ კი რამაზ თედორაძის სახელი და გვარი, რომელიც „ლეიბორისტული“ პარტიიდან გახდა ახალციხის დეპუტატი, მაგრამ, ალბათ, ისიც გაგახსენდათ, რომ ბატონი რამაზი ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის ალალი დეიდაშვილი გახლავთ და როგორც მე, ისე თქვენ, საფუძვლიანად დაფიქრდით: კი, მაგრამ, ასეთი რამ შალვა ნათელაშვილს როგორ შეეშალაო?

არადა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, შალვას და მის „ლეიბორისტებს“ ამდაგვარი „შეცდომები“ მრავალი წლის განმავლობაში ჩვევად ექცათ და „კუდი“-ს უფროსი სოსო თოფურიძის ალალი დეიდაშვილი, მომღერალი ნუგზარ ერგემლიძე, ავადსახსენებელი ზაზა ბეგაშვილი, ექიმი ლადო კახაძე და კიდევ რამდენიმე ადამიანი ისე ჩაწერეს „გამსვლელ სიაში“, არ მოუკითხავთ ამ ადამიანების შინაგანი პოლიტიკური პლატფორმა, პოლიტიკური გემოვნება ვის მხარეს იწონებოდა – ხელისუფლების თუ ოპოზიციის მხარეს?

შალვა კი ამბობს: „მე არ ვიცი, ვინ ვისი დეიდაშვილ-ბიძაშვილიაო“, მაგრამ მე თუ ვიცი, ბევრმა თუ იცის, შენ რამ დაგაბრმავა, ჩემო შალვა, ყოველ ჯერზე ხელისუფლების ნათესავ-მეგობრებით რომ აკომპლექტებთ პირველ ხუთეულს და შემდეგ შენი „ლეიბორისტების“ სიით გასული ხალხი ხელისუფლების რიგებს რომ ავსებენ ხოლმე პარლამენტში?

ანდა ის რა უბედურებაა, პარლამენტის სხდომებს რომ არ ესწრებით და ხელფასს ყოველგვარი დაქვითვების გარეშე რომ იღებთ?

ბევრჯერ უთქვამს ნათელაშვილს –„ჩემს წინააღმდეგ ტერორისტული აქტი განახორციელა სააკაშვილის ხელისუფლებამო“, მაგრამ იმას არასდროს ამბობს, მისი შეგნებული შეცდომები ჩვენს ქვეყანას ათასი ტერორისტული აქტის ტოლფასად რომ უჯდება! ამის დასტურია „საკრებულოს“ ავანტიურაც და შემდგომში სააკაშვილის გაპრეზიდენტების პერსპექტივაც!



ყველაზე საოცარი ის არის, რომ შალვას „შეცდომებს“ საზღვარი არ აქვს, თორემ გონიერი კაცი სახლს დააგირავებდა ბანკში და მანქანას იყიდდა? ანდა, თავის აგარაკზე, რა თავში იხლიდა „გოლფის“ მოედანზე გადასაადგილებელ მანქანას და ისიც ჟურნალისტების დასანახად?

ახლა? ახლაც ისეთი „შეცდომა“ დაუშვა, მიკვირს როგორ მოუვიდა, კერძოდ, – თავის დროზე, „სახალხო ფრონტის“ წევრი ზვიად გამსახურდიას მაგინებელი კაცი, შემდეგ კი ზვიად გამსახურდიას მაქებარი გურამ პეტრიაშვილი ისე დაიყენა გვერდით, თითქოს „რუსთავი 2“-მა დიდი სიყვარულით მე მომიწვია სამშობლოში დაბრუნებისთანავე და არა ბატონი გურამი, მაია ასათიანის „პროფილში“! ისე, „რუსთავი 2“-ის ასეთი ყურადღება არ გიკვირს ჩემო შალვა, ისიც მაშინ, როცა პატრიოტებისთვის მათ მხოლოდ ნეკროლოგების გაკეთება უყვართ და არა საათნახევრიანი გადაცემები?

ბატონო შალვა! ნუთუ არც ის გსმენიათ, რომ „ნაცები“ თავიანთ ხალხს „ლეიბორისტების“ კვოტით სვამენ საარჩევნო კომისიებში, რათა უფრო დამშვიდებულები იყვნენ, არჩევნების დღეს?

არ გსმენიათ? კი ბატონო დაგისახელებთ რამდენიმე რეგიონს – აჭარა, კახეთი, შიდა ქართლი! ანუ, ის რეგიონები, სადაც ამომრჩეველთა რიცხობრივი რაოდენობა ბევრია და ნეტავ რაშია საქმე, თქვენი, „ლეიბორისტული“ ნიღაბი რომ დასჭირდათ სააკაშვილებს?

სხვათა შორის, მინდა ისიც გითხრათ, რომ ამდაგვარი შემთხვევები არც ადრე ყოფილა იშვიათი და როგორც „ნაცებზე“ განაწყენებული ბევრი ადამიანისგან მსმენია, – „ყველაზე კარგად არჩევნების დროს „ლეიბორისტი“ კომისიის წევრები იყიდებიანო!

ზუსტად ვიცი, ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ თავის მართლებას დაიწყებენ „ლეიბორისტები“, რადგან ნიღაბქვეშ აპირებენ არჩევნების გაყალბებას!

ასე, რომ, ძვირფასო „ლეიბორისტებო“, გააკონტროლეთ საკუთარი კომისიის წევრების ვინაობა და შემდეგ თუკი ჩემი და თქვენი ინფორმაციები ერთმანეთს დაემთხვევა, ერთად ვამხილოთ „ნაც.მოძრაობა“ არა მხოლოდ ამ ქვეყნის ნგრევაში, არამედ პარტიულ პლაგიატშიც!

იქამდე კი, ნება იბოძეთ, და ის აუხსენით საზოგადოებას, ვისი რეკომენდაციებით კომპლექტდებოდა თქვენი საარჩევნო სიები მაშინ, როცა ვანო მერაბიშვილისა და სოსო თოფურიძის ალალ დეიდაშვილებს „დიდ პოლიტიკაში“ მოსასვლელად ამზადებდით?

ისე, ჩემო შალვა, ხვალ რომ გურამ პეტრიაშვილმა გიგანოს, ნეტავ, რას იტყვი? არადა, ჩემი გუმანით ასე უნდა მოხდეს, რადგან ბატონი გურამი ვიდრე საქართველოში ჩამოვიდოდა, ბიძინა ივანიშვილს აქებდა და ადიდებდა, მასთან შეხვედრას მწყურვალივით ელტვოდა და იმიტომ, რომ შუშის სასახლის კარი არ გაუღეს, შენს კარებს მოადგა, ანუ ბიძინას მაგინებლის კარს და აბა, მითხარი, „სახალხო ფრონტს“ თუ უღალატა, თავის „ოცნებებს“ თუ უღალატა, შენ არ გიღალატებს და შერცხვება?

მაგრამ, როგორც იტყვიან, პოლიტიკასა და სინდის-ნამუსს შორის დიდი ზღვარია და სრულებითაც არ მიკვირს ამდაგვარი „რამეები“ რომ ხდება ჩვენში!

**ირინე გოგოსაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

***„საერთო გაზეთის" სტუმრები არიან პარტია „განახლებული საქართველოსთვის" ყოფილი გენერალური მდივანი ლაშა გვასალია და ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი გოჩა ბიჭაშვილი.***

# laSa gvasalia: mindia gulua qarTul opoziciaSi rusulma da qarTulma specsamsaxurebma Canerges...

**ლაშა გვასალია**: — მინდია გულუა „ახალი თაობისთვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობს: შესაძლებელია ლაშა გვასალია და მისი თანამოაზრეები შეაგზავნა ხელისუფლებამ კოალიცია „ქართულ ოცნებაში", იქედან ინფორმაციები რომ მიიღონო, ამით იგი უარყოფს თავის სიტყვებს და წინააღმდეგობაში მოდის მის მიერ არაერთგზის ნათქვამთან — ბიძინა ივანიშვილი და ხელისუფლება ერთი და იგივე თამაშს თამაშობენ, ინაწილებენ პოზიციებსო და ა.შ. თუ ივანიშვილი და სააკაშვილი ერთ თამაშს თამაშობს, რა ინფორმაციები სჭირდება ხელისუფლებას ჩემგან?!

რასაც აცხადებს მინდია გულუა ჩემს შესახებ, ეს არაა კაცის საკადრისი საქციელი, ეს არ უნდა ეკადრებინა ჩემთვის. მისგან ამას ნამდვილად არ ვიმსახურებდი. რაც მართლა სათქმელი იყო მინდია გულუაზე, ის არ მითქვამს არასდროს და მე ის კაცი არ ვარ ნაციონალებს ენა მივუტანო. ის მე შეურაცხყოფას მაყენებს. მთელი ცხოვრება კაცურ-კაცობას, ადამიანობას, საქართველოს და ქართულ მწერლობას მივუძღვენი, მაგრამ, ეტყობა, ეს ღირებულებები არ არსებობს მინდია გულუასთვის. როგორც ჩანს, მისთვის მთავარია, იყიდე-გაყიდე, ბიზნესი, ფული და ა.შ.

მე საზღვარგარეთ შევხვდი ბატონ მინდიას და დავინახე




ზოგადქართული ცნობიერებით მოაზროვნე ადამიანი. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი მოჩვენებითი აღმოჩნდა.

**— ზოგადქართული ცნობიერება რაში გამოიხატა, ან შემდეგ რითი დარწმუნდით, რომ ის ის არ იყო, ვინც გეგონათ?**

— ჩვენ ვისაუბრეთ აფხაზეთის, ცხინვალის, საქართველოს პრობლემებზე, ქართულ კულტურაზე. გულუა დიდი ყურადღებით გვისმენდა. გვეგონა: აი, ვნახეთ კაცი, აფხაზეთში ნაბრძოლი, ქვეყნის მოყვარული, აქვს ეკონომიკური შესაძლებლობა და სურს მოეხმაროს ქვეყანას. აღფრთოვანებული ვიყავით. ჩამოვიტანეთ ერთობლივად შედგენილი 12-პუნქტიანი გეგმა, რომელთაგან ერთიც კი არ შესრულებულა აქამდე, თუმცა ყველაფერი ეს შესრულებადი იყო. ჩემი მეგობრები, თანამოაზრეები, მოძრაობა „31 მარტის" წევრები, შემოვიკრიბე და განვაცხადე — შევდივარ პარტიაში „განახლებული საქართველოსთვის" და რასაც ჩვენ ვერ ვახერხებდით წლების განმავლობაში, ახლა შევძლებთ განვახორციელოთ მ ინდია გულუას დახმარებით-მეთქი. ჩამოვაყალიბეთ „ეროვნული თანხმობის დარბაზი", შევქმენით „აფხაზურ-ქართული თანხმობის სათათბირო", მოვიწვიეთ ქვეყნის გამოჩენილი პირები, ექსპერტები, მაგრამ ყველაფერი შუა გზაში ფერხდებოდა... მე ახლა არ მინდა კიდევ ყველაფერი ვილაპარაკო. იქნებ დაფიქრდეს ეს ადამიანი და მიხვდეს, რაც დააშავა.

ერთი სიტყვით, ჩემმა მეგობრებმა რომ შეხედეს ამ კაცს, დაინახეს, რომ იყო დაპირებები და არც ერთი საქმე ადგილიდან არ იძვროდა, მითხრეს: ეს კაცი არის მოგზავნილი სხვა დანიშნულებით და ჩვენ გვიყენებს თავისი ბნელი ზრახვებისთვისო.

**— მაინც რა დანიშნულებისთვისო, რაზე ეჭვობდნენ?**

— ჩემი აზრით, მინდია გულუა ქართულმა და რუსულმა სპეცსამსახურებმა ოპოზიციაში ჩანერგეს ნამდვილი ოპოზიციური ძალის საწინააღმდეგოდ. ვინ იქნებოდა ეს ოპოზიცია, თავიდან არ იყო გაცხადებული, მაგრამ მერე გამოიკვეთა და გულუაც უფრო საჭირო გახდა.

ყველაზე მეტად იცით, რაზე მწყდება გული? აფხაზეთიდან გადმოვიყვანეთ აფხაზი მწერლები არქა ემხვარის ხელმძღვანელობით, დავიწყეთ სერიოზული ნაბიჯების გადადგმა. წარმოიდგინეთ, ახლო ურთიერთობები დავიწყეთ აფხაზეთის კულტურის მნიშვნელოვან წარმომადგენლებთან, მაგრამ გულუა იწყებდა და მერე შეგნებულად აფერხებდა ყველაფერს. დიახ, შეგნებულად აკეთებდა ამას. ხალხს იმედს და განწყობას უკარგავდა...

მოკლედ, მე და ჩემი თანამოაზრეები წამოვედით. ახლა რომ ვუფიქრდები, ვიხსენებ, რომ ჩვენს ერთობლივ საუბრებში მინდია გულუასთან, არასდროს ყოფილა ლაპარაკი იმაზე, როგორ დავამარცხოთ და გავუშვათ ეს ხელისუფლება. გადაჰქონდა ჩვენი ყურადღება უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან რამეებზე და მუდმივად გვამყოფებდა ილუზორულ გეგმებსა და პერსპექტივებში. უფრო მეტიც, ერთ დღეს გამოაცხადებდა: მე ვიცი, დაიჭერენ ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს დაგიჭერენ შენ, ამიტომ წინასწარ გააკეთეთ ვიდეოჩანაწერები, რომ, როცა დაგიჭერენ, არ თქვათ ჩემს წინააღმდეგ ერთი სიტყვაც. ერთხელ მეუბნება ყველას თანდასწრებით: ნამდვილად ვიცი, ლაშა, რომ შენ დაგიჭერენ, მაგრამ მე შემიძლია არ დავაჭერინო. გინდა არ დავაჭერინო? — მეკითხებოდა. ალბათ, ეგონა, რომ შიშისგან გული წამივიდოდა. ლაშა გვასალია ფეხებით ჩამოჰკიდა „მხედრიონმა", ფრჩხილები დამაძვრეს




გაზით, თავის ქალა და ნეკნები ჩამიმტვრიეს, სიკვდილს ძლივს გადავურჩი, მაგრამ ზედმეტი და არასაჭირო სიტყვა არ წამომცდენია არასდროს. მე ვამაყობ ჩემი წარსულით. სტუდენტობიდან მოყოლებული ეროვნულ მოძრაობაში ვარ და ქართულ სიტყვას ვემსახურები.

არაა, მინდია, ლაშა გვასალია ის კაცი, შიშისგან რომ ფერფური წაუვიდეს.

**— თქვენ გულისტკივილს რომ ეუბნებოდით, რას გპასუხობდათ?**

— ჯერ ერთი, ეს ადამიანი არის თავისნათქვამა კაცი, რასაც დაიჟინებს, იმას არასდროს უარყოფს. მინდა გითხრათ, მინდია გულუა საქართველოსთვის სასიკეთო საქმეს არასდროს გააკეთებს.

**— ხობის მაჟორიტარად თქვენს წარდგენაზეც იყო საუბარი?**

— თუ ასეთ რამეებს გააკეთებდა, ეგონა, დიდი რამე იყო ეს. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ამ დაქსაქსვით საფრთხეს ვუქმნიდით ოპოზიციას და ვეხმარებოდით ხელისუფლებას. მე ხობში კარგი ავტორიტეტი მაქვს, მაგრამ, ვიცი, ეს არ იქნებოდა საკმარისი ჩემი გამარჯვებისთვის. ეს იყო დროის გაყვანა და თამაში.

**— თქვენ სერიოზული ბრალდება წაუყენეთ გულუას — რუსულ და ქართულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებთ. რის საფუძველზე ამბობთ ამას?**

— როცა ის ჩემზე ლაპარაკობდა: ხვალ ლაშას დაიჭერენო, არაინფორმირებული ადამიანი ამას ვერ იტყვის. ხან იტყოდა, კრემლში ვარ, შევხვდი პუტინს, რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნებს... მას ხელშეუხებელი ბიზნესი აქვს რუსეთში. ასე ადვილად არ ხდება არაფერი. ბოლოს და ბოლოს, გურამ აბსანძესაც ჰქონდა რუსეთში ბიზნესი, მაგრამ არასდროს არ უთამაშია რუსული თამაშები. მე მეგონა, მინდიაც ასეთი კაცი იქნებოდა, სამწუხაროდ...

ახლა ამბობს, ლაშა გვასალიამ პატრიარქთან დადო ფიციო. მე, მინდიას და ნანა გულუა, მინდიას დედა ქალბატონი ნელი და ვალერი გაბელია პატრიარქმა გვაკურთხა იმ საქმიანობაში, რასაც ვაპირებდით. ეს ფიცი არ ყოფილა და არც მე დამირღვევია არავითარ ფიცი.

ეს ადამიანი არის ელემენტარული მატყუარა და მე მატყუარასთან ურთიერთობა, უბრალოდ, არ შემიძლია.

**— ანაზღაურებას თუ გაძლევდათ პარტიაში?**

— გითხარით, არ მინდა ფულზე ლაპარაკი, ერთს გეტყვით მხოლოდ, რა თქმა უნდა, მას არაფერი არ მოუცია.

**— გამოდის, რომ მისი მისია იყო დაეკონსერვებინა ის ძალები, ვინც არც ხელისუფლებაში იქნებოდა და არც ოპოზიციაში.**

— სხვათა შორის ეს ეჭვი გაუჩნდა ჩემს მეგობარ ექსპერტებსა და ანალიტიკოსებსაც. ყველა მიხვდა, რომ ეს კაცი მთავარ გეზს აშორებდა ყველას, ვინც იმ პარტიაში იყო.

თქვენ, ალბათ, არ იცით, რომ მე დაჯარიმებული ვარ 87 000 ლარით, იმის გამო, რომ ფულადი შენატანი შევიტანე პარტიაში. ამის გამო ვერ წავედი თურქეთში ლიტერატურული ღონისძიებაზე, ვერც ჩემი პოეზიის საღამოზე გერმანიაში. დაბლოკილი ვარ ყველანაირად.

**— მახსოვს, გულუა ამბობდა: ახალაიები მემტერებიან საქართველოშიო. თქვენ მას ხელისუფლებასთან ალიანსში ადანაშაულებთ? ეს როგორ გავიგოთ?**

— როგორც კი ახალაიები ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები გახდნენ, მან შეცვალა თავისი დამოკიდებულება და ამ ხალხის ქებაზე გადავიდა. ჩემთან საუბარში მათზე ბევრი კარგი რამ უთქვამს —ვაჟკაცები არიან, კარგი ბიჭები, მერაბიშვილი რა შეცდომებსაც უშვებდა, ესენი იმას არ გაიმეორებენო.

**— აფხაზეთის საკითხი არ იყო მისთვის ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, როგორც აცხადებდა?**

— ის მანიპულირებდა აფხაზეთის საკითხით. მან მიზანმიმართულად ჩაშალა აფხაზურ-ქართული სათათბიროს მუშაობა. ეს კაცი არაფრის გამკეთე-

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ბელი არაა და ვწუხვარ, რომ ზოგიერთებს კიდევ ჰგონიათ, რომ ის რაიმეს გააკეთებს.

ყველგან რომ ამბობს, აფხაზეთში ვიბრძოდიო. მოდის ამბები, რომ ასე არაა საქმე.

მინდია გულუა ინტერვიუში ამბობს, სამეგრელოში ვერაფერს ვერ შეცვლის ლაშა გვასალიაო. მინდა გითხრათ, თუ ჩვენს გეგმებს მიიღებს ბატონი ბიძინა ივანიშვილი, ყველა დაინახავს, ორ კვირაში ლაშა გვასალია და მისი მეგობრები, მოძრაობა „31 მარტი" რასაც შეცვლის სამეგრელოში. დამერწმუნეთ, სულ სხვა სიტუაცია იქნება. სოფელი არ არის სამეგრელოში, სადაც ჩემი პოეზიის საღამო არ გამართულიყოს. არ მიცნობს კარგად მინდია გულუა. მას აინტერესებს ქართული პოლიტიკიდან „ტორტის" მოზრდილი ნაჭერი შეხვდეს. ფინანსური ინტერესის გარდა მას სხვა ინტერესი არ აქვს.

**— შეხვდით ბატონ ბიძინას?**

— დიახ, სულ რაღაც ორიოდე დღის წინ შევხვდით. დარწმუნებული ვართ, სერიოზული ადამიანია და საქმის მკეთებელი. ის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანია. ჩვენ ვაპირებთ შეძლებისდაგვარად თანამშრომლობას „ქართულ ოცნებასთან".

**გოჩა ბიჭაშვილი, მოძრაობა „31 მარტის" თავმჯდომარის მოადგილე, ეროვნული ხელისუფლების პრეფექტი:** არაერთხელ შევხვედრივარ ბატონ ბიძინას, არის ძალიან პრაგმატული. აქვს კონკრეტული გეგმები. იგი ძალიან ცოტას საუბრობს, მაგრამ აკეთებს ბევრს. საქართველოს ისტორიაში არაა ისეთი ადამიანი, ვისაც ამდენი ქველმოქმედება გაეწიოს: სარაჯიშვილი, ნიკოლაძე, სხვები, იყვნენ, მაგრამ ივანიშვილს მატერიალურად ყველაზე მეტი აქვს გაღებული.

რუსეთის და საქართველოს სპეცსამსახურებზე საუბრობდა წეღან ლაშა და არ შევაწყვეტინე. ჩვენი თანამებრძოლი ვალერი გაბელია, მოგეხსენებათ, რომ არის დაპატიმრებული. მისი დაპატიმრება არის რუსეთის და საქართველოს სპეცსამსახურების ერთობლივი გეგმის ნაწილი. რამდენიმე დღის წინ ვალერი დამიკავშირდა და მითხრა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, მეორე დღეს პრესკონფერენცია ჩაეტარებინა და ემხილა მინდია გულუა სააკაშვილთან, ბოკერიასთან, მერაბიშვილთან ალიანსში. დავშლი ამ ორგანიზაციას და შევუერთდები „ქართულ ოცნებასო", — ამბობდა. მეორე დღეს, სანამ შევხვდებოდით, მირეკავს ლაშა და მეუბნება, რომ ვალერი გაბელია გაიტაცეს. რამდენიმე ხნის შემდეგ დამირეკეს კორპორატიული ტელეფონიდან და მითხრეს, რომ არ ჩამეტარებინა პრესკონფერენცია — მოწმის სტატუსით წავიყვანეთ ვალერი გაბელია და ორ საათში გამოვუშვებთო. ჩვენ მაინც გავახმაურეთ ეს ამბავი. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ცოტა ხნის წინ ლაშამ და ვალერიმ 10000-კაციანი მიტინგი რომ ჩაატარეს სამეგრელოში, მაშინ არ აუყვანიათ და როცა განაცხადა „ქართულ ოცნებაში" გადავდივარო, მაშინვე დაიჭირა სოდმა. გვაქვს თუ არა უფლება გვქონდეს ეჭვი გულუას თანამშრომლობაზე სპეცსამსახურებთან?

2008-ში ბენდუქიძის ტანკები თავს დაესხა საქართველოს და ივანიშვილის სახსრებით ჩაცმულ-დახურულ ქართულ ჯარს. ბენდუქიძე იყო და არის მილიონერი და აქვს წილები რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში, არ დავივიწყდეთ. ეს უშუალოდ კგბ-ს ქვემდებარე ორგანიზაციაა, დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროს მართავს რუსეთის სპეცსამსახურის ჩინოსანი ვაშაძე და კიდევ ესენი ლაპარაკობენ სხვის რუსეთის აგენობაზე?

**— თქვენ ზვიად გამსახურდიას იცნობდით, ბატონო გოჩა? ბევრი იბრალებს ზვიადთან ახლო ურთიერთობას.**

— *(ეღიმება.)* ჩვენ მეგობრები ვიყავით. მე ზვიადის „ლუბიმჩიკს" მეძახდნენ, იმიტომ, რომ ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი მის პრეფექტებს შორის. ჩემთან სახლში, რაჭაში ისვენებდნენ ყოველ ზაფხულს მერაბი და ზვიადი...



გოჩა ბიჭაშვილი

**— ბიძინა ივანიშვილის გვერდით დგომით, ზვიად გამსახურდიას ზოგიერთი მომხრის ლოგიკით, ღალატობთ კანონიერებას და ზვიად გამსახურდიას სახელს. ახლანდელ არჩევნებში მონაწილეობა პირდაპირი ღალატიაო, ზვიადისტები აცხადებენ.**

— რაც შეეხება ლეგიტიმაციას, 1992 წლიდან საქართველოში არ ჩატარებულა ლეგიტიმური არჩევნები, რაშიც ჩვენ დავრწმუნდებით, როცა სიებს წარადგენენ, რადგან საქართველოში არ არსებობს იმდენი ამომრჩეველი, რამდენსაც აცხადებენ. ხელისუფლება მიტაცებული რომ არის, ამაზე ლაპარაკი აღარაა, მაგრამ ის კანონიერება და სამართალმემკვიდრეობა რომ აღსდგეს, ნაბიჯებია საჭირო. ვერც ამერიკიდან და ვერც ფინეთიდან ამას ვერავინ მოახერხებს. ბატონ ბიძინას ამაზე აბსოლუტურად მართალი ხედვა აქვს. იგი არის ჩვენი თანამოაზრე. ზვიადის გზის გამგრძელებელია ბიძინა ივანიშვილი.

ხელისუფლებაში ყველანი ვიყავით. 1992 წლიდან ხან ციხეში გახლდით დახვრეტის მუხლით და სამუდამო პატიმრობის მუხლით, გადამცვალეს შსს ხელმძღვანელ პირებზე, ვიყავი დევნილი, იმის შემდეგ თუ რაიმე წინააღმდეგობა იყო სამეგრელოში, ყველაში ვმონაწილეობდი და ხშირად ხელმძღვანელიც ვიყავი. იცის ეს ზვიადის მომხრეებმა. ჩემი ძმა დათო ბიჭაშვილი, რომელიც რაჭის გვარდიას ხელმძღვანელობდა, იყო პოლიტპატიმარი, 130 დღე იშიმშილა, რასაც მოჰყვა პოლიტპატიმრების გათავისუფლება. გაგულა ბიჭაშვილი იყო ჩემი ბებია, გურამ აბსანძე და ლოთი ქობალია რომ გაიქცნენ, 84 წლის მოხუცი რომ დაიჭირეს ამაზე და მოკლეს, ის მამაჩემის დედა იყო. ასე, რომ, ჩემი ოჯახი ზვიად გამსახურდიას გვერდით იყო ყოველთვის და არც ახლა ვღალატობთ მის სახელს და ხსოვნას. ზვიადიზვიადის ძახილი არაა მარტო საკმარისი. გაკეთებული საქმეებით უნდა განისაზღვროს ყველაფერი. გაქცევა იოლია. საზღვარგარეთ ვიყავი, გროზნოში ვცხოვრობდი, მაგრამ ყოველ დღე სიკვდილის რისკზე ყოფნა იოლი არაა. აბსოლუტურ სიცრუეს ამბობს ყველა, ვინც ლაპარაკობს, რომ საქართველოში არ უშვებენ. ესაა აბსოლუტური სიცრუე.

გუგუშვილი იკრებს თურმე ფინეთში ხალხს. ეს კაცი გაგიჟდა და რა ვქნათ ახლა ჩვენ? ჰკითხონ ტარიელ გელანტიას, რომელიც ჩემთან იჯდა ციხეში, რომ მე ვიყავი ძებნილი, როგორც შევარდნაძეზე თავდასხმის ერთ-ერთი ორგანიზატორი, „ელიავას აჯანყებას" პირდაპირ ვხელმძღვანელობდი. ახლაც ჩემი ქვეყნის სადარაჯოზე ვდგავარ და კიდევ მე არ ვარ ზვიადის მომხრე? მეღიმება მწარედ ასეთ რამეზე.

ერთ რამესაც დავძენ, მე გახლდით „ეროვნული თანხმობის კომისიის" თანათავმჯდომარე. ცნობილი 22 აპრილის დადგენილებით, ყველას შეუძლია საქართველოში ჩამოსვლა. ბესარიონ გუგუშვილის თამადობით, ყველას მონაცემები გადაცემული იყო პროკურატურისთვის. გუგუშვილს და ყველას, ვინც ზვიადის თანამებრძოლად მიიჩნევს თავს, აქ ჩამოსვლის უფლება აქვთ. თვითონ ბატონმა ბესომ კი პასუხი უნდა გასცეს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საკითხს. ამას ვერ სცემს პასუხს და ესაა მისი ტრაგიზმი, მაგრამ არაა ახლა ამაზე ლაპარაკი. დღეს ყველა უნდა დადგეს ბიძინა ივანიშვილის გვერდით.

**ანა ვადაჭკორია**

# ღია წერილი კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერს ბიძინა ივანიშვილს

## თუ 1 ოქტომბერს არჩევნები გაყალბდა, ეს იქნება არა პარლამენტის არჩევის, არამედ დიქტატურის ოფიციალურად დამყარების დღე

არჩევნები არ ყალბდება მხოლოდ არჩევნების დღეს, არჩევნები ყალბდება არჩევნებამდე.

ფაქტია, იმ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი კომპონენტების საშუალებით, რომლებსაც ხელისუფლება მიზანმიმართულად იყენებს თავისი კონკურენტების, განსაკუთრებით და გამორჩეულად „ქართული ოცნების" წინააღმდეგ, ის უკვე აყალბებს არჩევნებს, უფრო ზუსტად, მას უკვე გაყალბებული აქვს არჩევნები.



აქედან გამომდინარე, გამყალბებლის მხილება, ხმების დაცვა და შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, როგორც საქართველოს მოსახლეობისთვის, ასევე საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის, საჭიროა დღესვე, დაუყოვნებლივ და არა ერთი თვის შემდეგ, უკან მიდევნებული ლამპრის პრინციპით.

ვფიქრობთ, აუცილებელია, „ქართულმა ოცნებამ" უახლოეს ხანებში გამართოს საინფორმაციო, გამაფრთხილებელი ხასიათის მიტინგი, რომელსაც, დარწმუნებული ვართ, ასიათასობით ადამიანი დაესწრება. **სწორედ ამ მიტინგზე მთელი პრინციპულობით, მთელი მსოფლიოს გასაგონად უნდა ითქვას, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი ძალადობის, რეპრესიების, ტერორის გზას ადგას და მცირეოდენ შანსსაც კი არ უტოვებს საქართველოს მოსახლეობას დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად.**

საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის, აშშ-ს ადმინისტრაციის, ევროპარლამენტის, გაეროს, ეუთოს წაყრუებისა და დუმილის ფონზე, თუ სააკაშვილს და მის რეჟიმს საშუალება მიეცემა კვლავ ძალადობის და რეპრესიების გზით იაროს, 1 ოქტომბერი იქნება არა დემოკრატიული არჩევნების, არამედ საქართველოში სააკაშვილის დიქტატურის ოფიციალურად დამყარების დღე.

**არა 1 ოქტომბრის შემდეგ, არამედ 1 ოქტომბრამდე უნდა იქნას ნაჩვენები თუ ხალხის რა უზარმაზარი მასა უჭერს მხარს კოალიცია „ქართულ ოცნებას" და მის ლიდერს.**

ცხადია, მიტინგზე მოწვეული იქნება ევროპარლამენტის, ეუთოს, გაეროს, საქართველოში აკრედიტებული საელჩოების, უცხოური პრესის წარმომადგენლები.

**თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, „ქართული ოცნების" მხარდამჭერთა მრავალრიცხოვნობაში, დაითვალოს ახლა, წინასწარ და არა 1 ოქტომბრის შემდეგ.**

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" კატეგორიულად უნდა მოითხოვოს, რომ ხელისუფლებამ ხელი აიღოს რეპრესიულ მეთოდებზე და უზრუნველყოს ნორმალური საარჩევნო პირობების შექმნა როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე არჩევნების დღეს.

თუ ეს მოთხოვნები არ შესრულდება, „ქართულმა ოცნებამ" უნდა დააფიქსიროს, რომ ბოიკოტს გამოუცხადებს ფალსიფიცირებულ არჩევნებს.

ხელისუფლებას თუ რაიმესი ეშინია, ეშინია სწორედ მოვლენათა ამგვარი განვითარებისა. ამიტომ, დარწმუნებული ვართ, ის აუცილებლად წავა დათმობებზე.

მიხეილ სააკაშვილის უკან მისი დანაშაულებრივი კლანი და სხვადასხვა პიარ-მაქინაციებით შეცდომაში შეყვანილი ადამიანები დგანან.

**ბიძინა ივანიშვილის უკან საქართველო დგას,** რომლის ყოფნა-არყოფნის საკითხი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარდება თუ არა 1 ოქტომბრის არჩევნები.

**ზურაბ გელაშვილი**

**თბილისი**

**რედაქციისგან:** ვფიქრობთ, ბატონი ზურაბ გელაშვილის ეს საინტერესო წერილი კოალიცია „ქართული ოცნების" ყურადღების მიღმა არ დარჩება.



# biZina ivaniSvilis gamo sicocxlesac gavwirav, radgan mis ukan Cemi samSobloa

*„საერთო გაზეთის" სტუმარია კოალიცია „ქართული ოცნების" ლაგოდეხის რაიონის მაჟორიტარი კანდიდატი* ***ლუკა კურტანიძე:***

**— ბატონო ლუკა, თქვენ ლაგოდეხის რაიონის მაჟორიტარი კანდიდატი ხართ. რა პრობლემები დაგხვდათ ადგილზე ჩასვლისას და როგორ ფიქრობთ, რა არის ის ნომერ პირველი პრობლემა, რაც დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებს?**

— პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ პატრიარქის ლოცვა-კურთხევას ვასრულებ. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ვიცი ჩემი რეგიონის სხვა მაჟორიტარებს ძლიერ, ღირსეულ კონკურენციას გავუწევ. ქართულ პოლიტიკაში ახალი რეალობა უნდა შეიქმნას — სხვისი ლანძღვა-გინებით, მიწასთან გასწორებით გამარჯვების მოპოვებას არ ვაპირებ. მინდა ხალხს დავანახო, რომ კონკრეტული პროექტები, რომელიც ბიძინა ივანიშვილს ლაგოდეხის რაიონის მიმართულებით გააჩნია, ძალიან საინტერესო და ძლიერია, კერძოდ, სოფლის მეურნეობის დარგში. ჩვენ კონკრეტული პროექტების განხორციელებას ვაპირებთ. ხალხს სამუშაო ადგილებს დავუბრუნებთ. ლაგოდეხში დაგეგმილი გვაქვს საკონსერვო ქარხნის აშენება, რათა ჭარბი ხილ-ბოსტნეული არ დაიკარგოს, რაც იქ მრავლადაა. პროდუქტს ისეთი ფასები ექნება, რაც, პირველ რიგში მათ შრომას აანაზღაურებს და შემდეგ მოსავალს. მოსახლეობის დასაქმების კუთხით, სიტუაცია კატასტროფულია. ლაგოდეხს ჭარბი პროდუქტის გასაღების ბაზარი არ გააჩნია და ღვთისგან ბოძებული მდიდარი მიწა, შემოსავალი უკიდეგანოდ იკარგება. ჩვენი პროექტები სოფლის მეურნეობის დარგში ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებას იძლევა. ჭარბი მოსავალი ჩაბარდება და მოხდება მისი რეალიზაცია. ასევე, დაგეგმილია სასათბურე მეურნეობის განვითარება, შემნახველი მაცივრების შეძენა, რომელიც ჭარბ მოსავალს შეინახავს. მთავარი ისაა, რომ ივანიშვილი და მისი გუნდი რუსეთის ბაზრის აღდგენას ვაპირებთ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ჭარბ საქონელს, ამ დიდ ბაზარზე გაასაღებს, რომლისთვისაც მთელი მსოფლიო იბრძვის. ჩვენ ეს ბაზარი გვქონდა და ხელისუფლების უგუნური ქმედების წყალობით დავკარგეთ. პრობლემები სხვაც უამრავია. ლაგოდეხის რაიონს წყალი არ აქვს, ამ დროს ეს რეგიონი მდიდარია წყლით და მოსახლეობას სასმელი და სარწყავი წყალი უჭირს.

ასევე, მთავარი ყურადღება გამახვილდება განათლებაზე, ჯანდაცვაზე. ხალხი სოციალურად განადგურებული, დაჩაჩანაკებული, ღირსებაართმეულია. ისინი თვეობით, წლობით ითმენენ ავადმყოფობას და ისე იღუპებიან საავადმყოფოში მისვლასაც ვერ ახერხებენ.

**— პრეზიდენტმა ხომ აუშენა ლაგოდეხის რაიონს ახალი, სტანდარტული საავადმყოფო?**

— ჯერ ერთი, ეს საავადმყოფო არ არის, ესაა სწრაფი ტემპით აშენებული ამბულატორია. ყოველი რყევის დროს თავად ექიმები გამორბიან იქედან. აღნიშნულ ამბულატორიაში ადგილი არაა, რათა ექიმები გადანაწილდნენ. მას არ გააჩნია ის ტექნიკა, რომელიც ტელევიზიით აჩვენეს. ეს ტექნიკა შემდეგ სხვა საავადმყოფოში გადაარბენიეს, რათა ტელევიზიით ეჩვენებინათ. ანუ ტელევიზიით რაც ვიხილეთ, ის თანამედროვე ტექნიკა სხვა საავადმყოფოში წაიღეს, რათა იქ გაეპიარებინათ. აქ კი რეალურად ძველი ტექნიკა დგას.

**— რაც შეეხება სტიქიით დაზარალებულებს, რა ვითარებაა ამ კუთხით?**

— ჩვენ სტიქიით დაზარალებულები აღვრიცხეთ. 80 მილიონი, რაც ბატონმა ბიძინამ ბიუჯეტში გადარიცხა, სტიქიით დაზარალებულებს სრულად უნდა აუნაზღაურდეთ. ვთქვათ, თუ მოსახლემ 10 ტონა ყურძენი დაკარგა, მან ერთ კილოგრამზე 1ლარი, ანუ ჯამში მთავრობამ 10 ათასი ლარი უნდა მისცეს. თუ სტიქიამ სახლს სახურავი გადააძრო, უნდა ანაზღაურდეს არამარტო ჭერის გადახურვა, ასევე ისიც, რაც ამ სახურავის ქვემოთ იყო და დაზიანდა. ხელისუფლებამ მოახერხა და ამ გადარიცხული 80 მილიონიდან პრემიები დაირიგა. დაზარალებულებს კი სამათხოვროდ 300-500 ლარს ურიგებენ. პირველ ჯგუფში ვინც ხვდება მაქსიმუმ 1000 ლარს აძლევენ, რაც არარეალურია.

**— რა ბერკეტები არსებობს იმის გაკონტროლების, რომ აღნიშნული თანხა მოსახლეობამდე მივა?**

— სანამ თბილისისკენ წამოვიდოდი, საკრებულოსთან უამრავი ადამიანი შეიკრიბა, რომლებიც თანხის სრულად ანაზღაურებას ითხოვდა, რაც ბატონმა ბიძინამ მათ დასახმარებლად გადარიცხა. ხალხი ინფორმირებულია. ივანიშვილმა თავად მოინახულა ლაგოდეხის თითოეული სოფელი და მათ დახმარება აღუთქვა. მაგრამ მთავრობა ამ თანხით პრემიებს იწერს. ივანიშვილი მზადაა დანაკლისის შემთხვევაში კიდევ მილიონები გადარიცხოს ხალხის დასახმარებლად. ადგილობრივი გამგეობები ხალხს ატყუებენ, რომ ივანიშვილს თანხა არ გადაურიცხია.

**— ალბათ, იმას გულისხმობენ, რომ ეს 80 მილიონი ჯარიმის თანხაა.**



— ჯერ ერთი, ეს ჯარიმა ყველამ ვიცით, რომ უკანონო იყო. მეორეც, ეს ხელისუფლება მთელი ცხოვრება თავადაა დასაჯარიმებელი და საერთოდ როგორც ხელისუფალი საჯარიმოს გარეთ უნდა იყოს. დავუპირისპირდი ლაგოდეხის რაიონის დეპუტატსაც, საკრებულოს თავმჯდომარეს და გამგებელს, რომელიც ტანდემში ყველა თანამდებობას ითავსებს, ეს საკითხიც გასარკვევია. სამართლებრივად, ეს არ შეიძლება. პრევენციულ ზომებსაც მივიღებთ, რათა სტიქიამ რეგიონს ნაკლები ზარალი მიაყენოს. კომუნისტების დროს არსებობდა სპეციალური დანადგარები, რომლებიც სეტყვის ღრუბლებს შლიდა. ადრე ამერიკულ პეპლებს, რომელიც საქართველოშია ვერტმფრენით წამლავდნენ, ეს ხელისუფლება 10-20 მეტრიან ხეებს ხელით წამლავს და ადამიანის ჯანმრთელობაზე არც ფიქრობს — ადამიანი უფრო იწამლება, ვიდრე პეპელა. მათ უნდათ ადამიანის ჯანმრთელობა დააზიანონ და თვითონ ამაზე მილიარდები აკეთონ.

**— ის, რომ მოსახლეობას ამ უხმოსავლიან მიწაზე მოსავალი ულპება, ნიშნავს თუ არა რომ ხელისუფლება თავისი არსით ანტიქართულია და ამიტომაც არ ზრუნავს მასზე?**

— დიახ. ერთ მაგალითს გეტყვით, **32 კილოგრამიანი ბადრიჯანის ტომარა, რომელიც ქალაქში საკმაოდ ძვირი ღირს, აქ ლარნახევრად იყიდება და თუ რამდენიმე ტომარას აიღებ, ადგილობრივი მცხოვრებლები უფრო ნაკლებადაც ჰყიდიან. ეს მოსახლეობის დაცინვაა, მათი შრომის შეფასება დამცინავია. როგორ შეიძლება ამხელა დოვლათი ლარნახევრად იყიდებოდეს. ბევრია ისეთი შემთხვევებიც, როცა ჭარბი მოსავალი საერთოდ იყრება. ეს მოახერხა ამ ხელისუფლებამ, რეგიონი დააჩაჩანაკა.**

ახლა, ხელისუფლება იბრალებს გზა გავაკეთეთ ყვარელიდან ლაგოდეხამდეო. უნდა გითხრათ, რომ ამ გზის გაკეთებისას, მათ მილიონობით თანხა მოიპარეს. ეს გზა იმდენად არაპროფესიონალურადაა გაკეთებული, ცოტა ხანში ხელახლა გასაკეთებელი იქნება. ამიტომ, იმ თანხის გადახდა, რომელიც მსოფლიო ბანკმა კრედიტით მოგვცა, ისევ ჩვენს ტყავზე გადაივლს. ასე რომ, ხელისუფლებამ გზა კი არ გააკეთა, არამედ ფული მოიპარა, რაც საბოლოოდ ისედაც გატყავებული მოსახლეობის გადასახდელი იქნება. 2013 წლიდან ამ ვალების გადახდა დაიწყება და თუ მოსახლეობა არჩევანს არ გააკეთებს, ცოცხლად გაატყავებენ. მათ სიცოცხლის ფასად არ მივცემ იმის უფლებას, რომ ამ ადამიანებს დასცინონ და სული ამოხადონ.

**— ლაგოდეხის რეგიონის ერთ-ერთი სპეციფიკა ისიცაა, რომ იგი ქართული საზღვრის დამცველია. დღეს აზერბაიჯანის გავლენა ჩვენს ტერიტორიაზე საკმაოდ დიდია. ქართველი მოსახლეობის ინტერესები, ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან, ამ რეგიონში, რომელიც საზღვრისპირაა, აბსოლუტურად დაუცველია.**

— საერთოდ კომუნისტური წყობის შეცვლის შემდეგ ამ რაიონში ხელშესახები არაფერი გაკეთებულა. ინფრასტრუქტურა მოშლილი და განადგურებულია. ახლა გაზი გაჰყავთ, მაგრამ იგი 10-ჯერ ნაკლები უნდა ღირდეს და 10-ჯერ მეტს გვახდევინებენ. დენი, საწვავი, მინერალები ასტრონომიული ფასებია. 1 ტომარა გვარჯილა 50 ლარი ღირს. საიდან მოიტანოს ამ ხალხმა 50 ლარი, როცა 32 კგ. ბადრიჯანში ლარნახევარს იღებენ.

**ჩვენ ამ ყველაფრის შეცვლას კონკრეტული პროექტებით ვაპირებთ. სარწყავი ტექნიკა ავტობანის ტრასაზე სანახვენებლად დგას, ფოლადისგან დამზადებული სარწყავი მილები, რომელიც ლაგოდეხში იყო, ამ ხელისუფლებამ ჯართში ჩააბარა და ამით მილიონები გააკეთა. პირდაპირ მიდის ხალხის დაყაჩაღება. რა აქვს ამ ხელისუფლებას სათქმელი, ყველაფერი დაანგრიეს. ამ პრობლემიდან ერთი გამოსავალია — ესაა კონკრეტული პროექტები, რაშიც თითოეულ ადამიანს ჩავრთავთ და რის განხორციელებასაც ივანიშვილი აპირებს.**

**— მახსოვს, ჩემთან საუბრისას თქვენ ყოველთვის აღნიშნავდით არჩევნები არჩევნებამდე უნდა მოვიგოთო. რა სიტუაცია გვაქვს ამ კუთხით?**

— **ზუსტად ერთ თვეში სულ სხვა რეალობა გვექნება, რასაც ხელისუფლება ზონდერ-ჯგუფებით, რეზერვისტებით ებრძვის, მაგრამ ხალხის ტალღა ამ სიბინძურეს წალეკავს. საერთოდ თევზი თავიდან ყარს. ეს თავი კი უკვე დალპა, გაიხრწნა და დროზე უნდა მოვიშოროთ, რათა ორგანიზმს მთლიანად არ მოედოს და მთელი საქართველო არ გადაიყოლოს.**

**ჩვენ დავიწყებთ ქვეყნის ეკონომიურ გაძლიერებას, რითაც დავაინტერესებთ სამაჩაბლოსაც, აფხაზეთსაც, მაგრამ პირველ რიგში ჩვენ, ქართველებმა უნდა ვიპოვოთ ერთმანეთში საერთო ენა და შემდეგ ველაპარაკოთ სამაჩაბლოში ოს მოსახლეობას და აფხაზეთში — აფხაზებს. მათ უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ქართველები მათ ერთი ენით ველაპარაკებით და არა ისე, რომ ჯერ მშვიდობაზე ვსაუბრობთ და მერე ხიშტებით მივსდევთ. ამას შეძლებს ბიძინა ივანიშვილი. მის გამო სიცოცხლეს დავთმობ იმიტომ, რომ მის უკან ჩემი სამშობლოა.**

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

რას ემსახურებოდა რეალურად ვანო მერაბიშვილის გაპრემიერება, კვლავაც ბურუსითაა მოცული. ისიც გაურკვეველია, იგი მართლაც დააწინაურა პრეზიდენტად წოდებულმა სააკაშვილმა, თუ „სპილოების სასაფლაოზე“ მოისროლა. ალბათ ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო შეეფერება სიმართლეს, მითუმეტეს თუ იმასაც გავითვალისწინებთ, როგორ დაერია ბაჩო ახალაია მისი წინამორბედის კადრებს. სააკაშვილი მისივე შექმნილი „გმირის“ დისკრედიტაციას რომ ეწევა, ამის ნიშნები უკვე აშკარად იკვეთება. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მერაბიშვილი დიდი მჭევრმეტყველებით არასდროს გამოირჩეოდა, თუმცა შს მინისტრის პოსტს თავშეფარებული ვანოს ნაკლი ნაკლებად ჩანდა. „ქვეყნის ხერხემალი“ ქართველ ჟურნალისტებს, თუ არ ჩავთვლით ნაციონალურ მაუწყებლებს, არასდროს სწყალობდა და ხშირად მოკლე კომენტარის ღირსადაც არ თვლიდა. ახლა ის იძულებულია ხშირად გამოჩნდეს ტელეკამერების წინ და მითი მისი კარგი მენეჯერობისა და მძლეთამძლეობის შესახებ გულუბრყვილო ხალხის თვალშიც კი, თანდათან ფერმკრთალდება. ყველაფერ ამის მიუხედავად მერაბიშვილის მთლიანად იგნორირება არც ისე მარტივია, რადგან ის ძალზე ბევრ ინფორმაციას ფლობს მმართველი გუნდის და პირადად სააკაშვილის მიერ ნაკეთები შავი საქმეების შესახებ.

**როგორც „საერთო გაზეთს“ კარგად ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, მერაბიშვილის მოცილება უკვე დაგეგმილია და მისი განხორციელება სექტემბერში იგეგმება.** დიდი ალბათობაა, რომ ეს ყველაფერი მერაბიშვილის ფიზიკური განადგურებით დასრულდესო. ეს არც იქნება გასაკვირი, რადგან სააკაშვილის რეჟიმის ჩვეული სტილია, არასასურველი მოწმეების ყველა ხერხის გამოყენებით თავიდან მოშორება.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ცრუ-გმირის შექმნა. ვანო მერაბიშვილს უპირველეს მიღწევა-დამსახურებად საპატრულო პოლიციის შექმნას უთვლიან, მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ, რომ ვანო აქ არაფერ შუაშია. ეს სამსახური ირაკლი ოქრუაშვილის შს მინისტრობისას, მისივე დიდი ძალისხმევით შეიქმნა. თავის დროზე ოქრუაშვილი არაფერს მორიდებია ამ ვითომდა წარმატებული სამსახურის შესაქმნელად. მან ერთი ხელის მოსმით ქუჩაში გაყარა საგზაო პოლიციის მთელი შემადგენლობა და ეს სამსახური, რომლის უშუალო მოვალეობაც მოძრაობის უსაფრთხოების დაცვა იყო, საერთოდ გააუქმა. რა შედეგი მოყვა ამ „ნოვაციას“, ეს ცალკე საუბრის თემაა. მხოლოდ ერთს ვიტყვით, მკვეთრად იმატა მსხვერპლიანმა ავტოავარიებმა. სამაგიეროდ ეს ფუნქცია შემთხვევით კადრებს, ქუჩაში მოკრეფილ და ორკვირიან სწავლებაგავლილ ადამიანებს დააკისრეს.

შევარდნაძის დროინდელ პოლიციას ხშირად უკიჟინებდნენ ე.წ. რეფორმატორები, ანუ ჟვანია-სააკაშვილის მოქკავშირული ფრთა, კორუმპირებულები არიანო. ამ მიზეზით მოისროლეს ქუჩაში მაშინდელი შსს-ს მრავალათასიანი კონტიგენტი, რომელთა შორისაც უამრავი პროფესიონალი იყო. საქმე იმაშია, რომ არც კორუფციფიქრეს, მისი ამ უწყებაში დასაქმება უფრო უპრიანი იქნებაო. გათავისუფლების შესახებ განცხადება დაუწერია საქართველოს №1 პატრულ გოგა გრიგალაშვილსაც, თუმცა მისი განცხადება ამ ეტაპზე არ დაუკმაყოფილებიათ. სამაგიეროდ, გაათავისუფლეს თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მხარის საპატრულო პოლიციის უფროსი და „შეთავსებით“ გრიგალაშვილის დეიდაშვილი ზურაბ ვახტანგაშვილი. მისი პოსტი მაიზერ ლიპარტელიანმა დაიკავა, რომელიც მანამდე შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის უფროსის პოსტს იკავებდა. ლიპარტელიანი საპატრულო პოლიციაში მისი ჩამოყალიბების დღიდან მუშაობს, თუმცა როგორც ამ უწყების თანამშრომელთა უმეტესობის?



ლოს? ხელისუფლებამ შეუქმნა პატრულს იმიჯი, განდიდების მანია შეჰყარა და დაუსჯელობის სინდრომიც ამოქმედდა. ხელისუფლებამ და პირადად ვანო მერაბიშვილმა გაუჩინა პატრულებს იმის განცდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში დაუსჯელები დარჩებოდნენ და მათაც თავში აუვარდათ. ერთადერთი, შეიძლებოდა მხოლოდ გაეთავისუფლებინათ. ქუთაისში უდანაშაულო ახალგაზრდა ვალერი ფხაკაძე მოკლეს. პატრულებმა ის უმიზეზოდ გააჩერეს და დაკავება დაუპირეს, ამ გაწევ-გამოწევაში ტაბელური იარაღით დაჭრეს და დროულად საავადმყოფოშიც კი არ წაიყვანეს, კაცი სისხლისგან დაიცალა. ამ პატრულებს თავი რომ ემართლებინათ, დაჭრილ კაცს სარდაფში მიათრევდნენ, ვითომ იქ უნდა ექურდა და დავიჭირეთო. გიორგი გამცემლიძეც პატრულმა მოკლა, „რედბულის“ დირექტორი მათნაძეც მათ უპასუხისმგებლობასა და არაპროფესიონალიზმს შეეწირა. ვინმე საკადრისად დასაჯეს? დაუსჯელობის გარანტია რომ ჰქონდათ, იმიტომაც სჩადიოდნენ პატრულები უამრავ დანაშაულს და დღესაც სჩადიან.

ისინი პირველ ეტაპზე ვითომ ჰუმანურები და ლიბერალები იყვნენ, ამასაც სახელისუფლებო ტელევიზიები გაჰყვიროდნენ, თორემ რეალურად რაც ხდებოდა, ყველამ კარგად იცის, ვისაც კი მათთან შეხება ჰქონია. ამხელა დაუსაბუთებელ ჯარიმას რომ დაგაკისრებს და უდანაშაულობას ვერ დაამტკიცებ, რომელ წარმატებულობაზეა საუბარი. ეს არის პოლიტიზირებული ძალოვანი დანაყოფი, რომელსაც ხელისუფლება თავისი ბინძური მიზნებისთვის იყენებს. არასამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც კანონს კი არა ერთი კაცის ნება-სურვილს ემორჩილება ყველაფერი, ვერცერთი სამსახური ვერ იქნება წარმატებული. „გაიშნიკებს“ რომ დასცინიან ქრთამს იღებდნენო, ჯერ ერთი იქ ვინც არაკეთილსინდისიერად მუშაობდა, იმას სჯიდნენ. თანაც მაშინ თუ ავტოინსპექტორი ორ ლარს იღებდა, ახლა პატრული ათმაგად კი არა ასმაგად გაჯარიმებს, თანაც უკანონოდ, რომ პრემია მიიღოს. ეს უფრო მეტი კორუფციაა. ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს ფულს უკანონოდ ვინ წამგლეჯს.

**- შს სისტემა მერაბიშვილის წასვლის შემდეგ 5.000 თანამშრომელს დაუტოვებია. თქვენი აზრით, ეს რატომ მოხდა?**

- ზუსტ რაოდენობას ვერ გეტყვით, მაგრამ პოლიცია რომ ძალზე ცუდ დღეშია, ამის შესახებ მეც მაქვს ინფორმაცია. იქ ძალზე ბევრი წესიერი, პატიოსანი ადამიანი მუშაობს, მაგრამ ისეთი წნეხის ქვეშ არიან, რომ აღარ უნდათ იქ გაჩერება. არ იფიქროთ, რომ ეს ვითარება ბაჩო ახალაიას გამინისტრების შემდეგ შეიქმნა. მერაბიშვილის დროსაც ასე იყო. პოლიციელებს უკიდურესად შეზღუდული აქვთ თავისუფლება, 24-საათიან გასამხედროებულ რეჟიმში ამყოფებენ, ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად სუფრასთან ვერ დამსხდარან. იმაზეც კი უნდა დაწერონ სად მიდიან სტუმრად, ვინ იქნება ამ სუფრაზე, ნებისმიერ დროს შეუძლიათ იქიდან გაიყვანონ. ერთი სიტყვით, დასვენების უფლებასაც კი არ აძლევენ. მათ არც ისეთი დიდი ხელფასები აქვთ, რიგით თანამშრომლებს ვგულისხმობ, რომ ასეთი ზეწოლის ქვეშ ყოფნა ულირდეთ, მითუმეტეს, რომ დამატებით უამრავი სიბინძურის კეთებას ავალებენ, იქნება ეს იარაღისა და ნარკოტიკის ჩადება თუ სხვა. დაიღალა ეს ხალხი, ბევრს აღარ სურს პოლიციაში მუშაობა, მაგრამ ოჯახები ჰყავთ სარჩენი, სამუშაოს პოვნა კი მოგეხსენებათ, არც ისე ადვილია, თუმცა ბევრი მაინც მიდის. სწორედ ამ დაბალი ხელფასის გამოა, რომ პოლიციელები დამატებითი შემოსავლის წყაროს ეძებენ. გორში უკვე გაჟღერდა რამდენიმე პოლიციელის ვინაობა, რომლებიც ავტომანქანების იმპორტსა და მეზობელ ქვეყნებში რეექსპორტს ეწევიან, რაც პოლიციელს, როგორც საჯარო მოხელეს ეკრძალება. ამას დაემატა ბოლოდროინდელი გაძლიერებული ზეწოლები და წნეხი, ასე რომ, ბევრ პოლიციელს აქვს განზრახული სამსახურიდან წასვლა.

# vano merabiSvilis mocileba ukve gadawyvetilia da am gegmis ganxorcieleba seqtemberSi moxdeba...

ასთან „მებრძოლ“ „ვარდოსნებს“ მიუღიათ სამსახურში იგივე პატრულები ანგარების გარეშე. „სტავკები“ თურმე თავიდან 500 აშშ დოლარით იწყებოდა, მაგრამ ეტყობა კანდიდატთა რაოდენობამ საგრძნობლად რომ იმატა, „სტავკებიც“ გაზარდეს და თურმე 5.000 დოლარს უტოლდებოდა. ამ კომისიის წევრთა ნაწილი დღესაც შსს-ში მუშაობს მაღალ თანამდებობებზე.

„ჩაშვების“ ინსტიტუტიც პირველად პოლიციელებზე გამოსცადეს. ასე იყო ოქრუაშვილის დროს და ეს პროცესი ვანო მერაბიშვილის მინისტრობის დროს უფრო „წარმატებით“ გაგრძელდა.

ახლა რაც შეეხება შსს-ში მიმდინარე მოვლენებს - კულუარული ინფორმაციით, ეს უწყება უკვე დატოვა 5000-მდე თანამშრომელმა, ზოგმა თავისი ნებით, დანარჩენებს კი ახალი მინისტრი „დაეხმარა“. მერაბიშვილის ე.წ. დაწინაურებისთანავე, პოსტი დატოვა მისმა მოადგილე ამირან მესხელმა. ყოფილმა „ვალუტჩიკმა“ მესხელმა თავის დროზე ესოდენ საპასუხისმგებლო პოსტი მხოლოდ იმიტომ დაიკავა, რომ იგი „ქვეყნის ხერხემლის“ თანასოფლელია. გენიინსპექციის შეფის პოსტი დატოვა (თუ დაატოვებინეს) გიორგი გეგეჭკორმა, რომელიც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში გადაუმისამართებიათ ანალოგიურ თანამდებობაზე. გეგეჭკორიც აფხაზეთიდანაა და ალბათ ბა, ისიც შემთხვევითი კადრი იყო. მანამდე ვიღაცის დაცვის წევრი ყოფილა და უცებ ოცმეთაურად დანიშნეს. ლიპარტელიანს ერთ-ერთ მოადგილედ კოტე დიღმელაშვილი დაუნიშნეს, რომელსაც შეფის ანალოგიური „კარიერა“ აქვს გავლილი და არასამთარობო სექტორის წარმომადგენლებში არცთუ სახარბიელო რეპუტაციით სარგებლობს. დიღმელაშვილი დაწინაურებამდე მთაწმინდის საპატრულო პოლიციის ასმეთაური გახლდათ და აქციების დარბევაში დიდი წვლილი მიუძღვის.

როგორი წარმატებული შს მინისტრი იყო ვანო მერაბიშვილი და რა წარმატებული სამსახურები შექმნა, ამას ალბათ ყველაზე კარგად ადვოკატები შეაფასებენ.



**მამუკა ნოზაძე:** „პატრული ნამდვილად არ მიმაჩნია წარმატებულ სამსახურად და მიკვირს, ხელისუფლებას რატომ უთვლიან მის შექმნას ერთ-ერთ მიღწევად. ამ სამსახურმა შექმნიდან 2-3 თვეში საშინელი ტრაგედია დაატრიალა წერეთლის გამზირზე ეკლესიის წინ, თანაც გიორგობა დღეს. უდანაშაულო ახალგაზრდა ბუტა რობაქიძე მოკლეს და კონკრეტულ დამნაშავეებს დღემდე პასუხი არ უგიათ. ახლადშექმნილი სამსახური, რომელიც სისხლით მოდის, რანაირად შეიძლება წარმატებულად ჩაითვა-

**მანანა სუხიშვილი**

# darwmunebuli var, saakaSvils Tavisive xalxi gamoutans ganaCens...



***„საერთო გაზეთის“ სტუმარია კოალიცია „ქართული ოცნების“ ჩუღურეთის რაიონის კანდიდატი ვიქტორ დოლიძე:***

**— ბატონო ვიქტორ, ბიძინა ივანიშვილმა ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარ კანდიდატად წარგადგინათ. მოსახლეობასთან უკვე არაერთი შეხვედრა გამართეთ, რა პრობლემები აწუხებთ მათ?**

— ამ უბანში დავიბადე და გავიზარდე, ამიტომ აქ მაცხოვრებლების პრობლემები, სატკივარი ჩემთვის ახალი არაა, პირიქით ახლოსაა, ამიტომაც დავსახელდი ამ რაიონში კანდიდატად. უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ რთული რაიონია, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ძველი თბილისია. უკვე 50-ზე მეტი შეხვედრა გავმართე. ზოგადი პრობლემები ყველას აწუხებს — ჯანდაცვა, დასაქმება და ა.შ. მაგრამ არის სპეციფიური პრობლემაც კერძოდ, აქ უამრავი ავარიული სახლია. შეიძლება ითქვას, რომ ჩუღურეთი ავარიული უბანია, ხალხს ჭერი თავზე ენგრევა. სირცხვილია, 21-ე საუკუნეში დედაქალაქში ამგვარი ვითარება და ეს იმ ფონზე, როცა პრეზიდენტი ახალ, წარმოსახვით ქალაქებს აშენებს (ვგულისხმობ ლაზიკას) და რეგიონში ნომერ პირველ რეფორმატორად მიიჩნევს თავს. ავარიულ სახლებთან ერთად სპეციფიურ პრობლემებში მიწისძვრით დაზარალებულებსაც ვგულისხმობ. მათთვის, ვინც 2002 წელს მიწისძვრის შედეგად დაზარალდა, ხელისუფლებას ღირებული დღემდე არაფერი გაუკეთებია. ვფიქრობ, ჩუღურეთის რაიონის ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცია ძალიან მნიშვნელოვანია, რაც მიწისქვეშეთიდან უნდა დავიწყოთ — უნდა გამოიცვალოს კომუნიკაციები — წყლის მილები, კანალიზაციის მილები და შემდეგ გაკეთდეს გზის საფარი. საწყის ეტაპზე, ჩემი გათვლებით, ამგვარი უბნების მშენებლობასა და გაშენიანებაზე 200 მილიონ ლარზე ნაკლები არ უნდა დაიხარჯოს. თუ დეპუტატი გავხდი, პირველ რიგში ავარიულ სახლებზე ვიზრუნებ. უგულავამ მშვენიერი სახელწოდება შეარჩია — ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე, მაგრამ სახელის უკან რაც დგას რომ გავიგოთ, ჩუღურეთში ფიროსმანის, გოგოლის, ნინოშვილის, გოგი დოლიძის და ა.შ. ქუჩები უნდა დავიაროთ. ამ რაიონის პრობლემას ე.წ. „ატსტუპნიკებიც“ წარმოადგენს. ხალხი გაუგებრობაშია, არ იციან, როდის გაყრიან მათ სახლიდან. სახელმწიფომ ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს. გარდა ამისა, ჩემს რაიონში უამრავი პრობაციონერია. სწორედ, ისინი გამოიყენება საარჩევნო მასალად და სხვა არაფრად. რაც შეეხება დასაქმებას, წარმოიდგინეთ, სამ კაცში ყოველი მეორე დაუსაქმებელია. უამრავ ადამიანს ვხვდები და ძალზედ მცირე ნაწილია მათგან დასაქმებული და ისინიც პოლიტიზირებულნი არიან. საზოგადოების ამგვარი დანაწევრება, გახლეჩვა ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს. შეხვედრებზე ძალიან ბევრი ხალხი მოდის და პირველი რასაც ამბობენ ისაა, რომ დაიღალნენ შიშისგანაც, ტყუილებისგანაც და დასაკარგიც აღარაფერი აქვთ. შეხვედრების დროს შორიახლოს ყოველთვის დგას ერთი-ორი ადამიანი, კოორდინატორი, რომელიც გამგეობაში ტელეფონით რეკავს და პრობლემებით შეწუხებული მოსახლეობის გვარებს აწერინებს. შედეგად ამ ადამიანებს სხვადასხვა დახმარებებს უხსნიან. მსგავსი მდაბიო, იაფფასიანი მიდგომა არსად მინახავს. ეს არ არის პოლიტიკური პროცესი, ოპონირება. ეს არის ძალადობა, რასაც „ნაც. მოძრაობა“ ახორციელებს. ნიჰილიზმი, რომელიც ბოლო წლებია არჩევნებთან დაკავშირებით გაჩნდა, გადასატეხია. ბუნებრივია, არ მაქვს ილუზია, რომ იდეალური არჩევნები ჩატარდება, სააკაშვილი ყოველგვარ მაქინაციაზეა წამსვლელი, მაგრამ ამან არჩევნების შედეგზე გავლენა არ უნდა იქონიოს.

**თუ ხელისუფლება რადიკალურად გააყალბებს ყველაფერს, საზოგადოებისგან ანალოგიურ, რადიკალურ პასუხს მიიღებს. მეორე მხრივ, გვინდა მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ ჩვენ ცივილური ერი ვართ და შეგვიძლია არჩევნებით ხელისუფლების შეცვლა.**

თუკი სააკაშვილი საზოგადოებას, ქვეყანას ამის შანსს მისცემს, ეს იქნება დიდი ნახტომი, როგორც ევროკავშირისკენ. ისე ნატოსკენ.

**— თუმცა, ამდენი ძალადობის, უკანონობის ფონზე რა გაძლევთ ოპტიმიზმის საფუძველს. რა გარანტიაა, რომ არჩევნებით მივაღწევთ სამართალს?**

— მნიშვნელოვანია ის, რომ მანამდე არასოდეს ყოფილა იმის საშუალება, რომ ოპოზიციას საარჩევნო უბანზე ამდენი წარმომადგენელი ჰყოლოდა, ანუ ხუთი კაცი. ყრუ, მუნჯი, ან მოსყიდული უნდა იყო, რომ ვერ დაინახო და დააფიქსირო დარღვევები. ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ მათ ზურგი აქვთ. ასევე, საარჩევნო



ყუთების ტრანსპორტირებისას მოხდება, მათი გაცილება საარჩევნო უბნიდან ოლქამდე და ცსკომდე. როგორც იცით, სიების შემუშავების პროცესში მივიღეთ მონაწილეობა, „კარდაკარის“ პროგრამა ჩავატარეთ.

**— რა გარანტიაა, რომ აღმოჩენილი დარღვევები გასწორდება? როგორ ვატარებთ არჩევნებს, მაშინ როცა ზუსტად ისიც კი არ ვიცით რამდენი ამომრჩეველი გვყავს, მკვდარი სულებით თუ საზღვარგარეთ წასული პირებით სავსეა სიები — ვინ იქნება გარანტორი, რომ ეს სიები გასუფთავდება?**

— არ ვამბობ, რომ სია იდეალური იქნება და ბუნებაში არარსებული პირებისგან მაქსიმალურად დაიწრიტება. შეიძლება, ბოლომდე 100 პროცენტით ყველაფერი ვერ ჩასწორდეს. თქვენ იცით, რამხელა მონსტრთან გვაქვს საქმე. ამიტომ სიების ბოლომდე გასუფთავების ილუზია, ბუნებრივია არ გვაქვს, მაგრამ იმ დონემდე მაინც უნდა ჩასწორდეს, რომ ამან არჩევნების შედეგზე გავლენა ვერ იქონიოს. ვფიქრობ, ამას მივაღწევთ, თუმცა ეს სამუშაო პროცესია და სექტემბრის დასაწყისში ზუსტად გვეცოდინება რა ვითარება იქნება.

**— თუმცა, ხელისუფლება უკვე არჩევნებამდე ცდილობს არჩევნების მოგებას, მწვავედ მუშაობს რეპრესიული მანქანა, სახეზეა უამრავი დაჯარიმებები, დაყადაღება და ა.შ. როგორ ფიქრობთ, ხომ არ არის საშიშროება „ქართული ოცნება“ ამდენი, „კანონდარღვევის“ გამო მოხსნან არჩევნებიდან?**

— იცით რა, **თუკი სააკაშვილი ამაზე წავა, ეს, ალბათ, პოლიტიკური თვითლიკვიდაცია იქნება. ბუნებრივია, მისგან გასაკვირი არაფერია, მაგრამ რა იქნება ამ ქმედების შედეგი?! „ქართულ ოცნებას“ ხალხის დიდი მხარდაჭერა აქვს, რას ეუბნება მაშინ ამ ხალხს ხელისუფლება?! მაშინ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ეს ხალხის ქვეყანაა, თუ სააკაშვილის და მისი გარემოცვის?**

ხალხის თავისუფალი ნებაა უმთავრესი. ვიმეორებ, ასეთი ქმედება, მისი პოლიტიკური თვითლიკვიდაცია იქნება, თუმცა, მას უკვე დიდი ხანია პოლიტიკურ გვამად აღვიქვამ.

**ხალხი სააკაშვილისგან განსხვავებით იმისთვის კი არ ემზადება გარეთ გამოვიდეს და ქვა ისროლოს, არამედ საარჩევნო უბანთან მივიდეს და თავისი თავისუფალი არჩევანი დააფიქსიროს. ეს არის სწორედ ჩვენი მომავალი პოლიტიკური კულტურის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი. თუკი საარჩევნო უბნებთან რიგები დადგება, 80 პროცენტი მაინც მოვა ხმის მისაცემად, ორი აზრი არაა, რომ სააკაშვილს თავისივე ხალხი გამოუტანს განაჩენს. ვგრძნობ, რომ ასე იქნება.**

**— ბატონო ვიქტორ, ჯარიმების გადახდით ხელისუფლებას დაცარიელებულ ჯიბეებს რატომ უვსებთ?**

— კარგი კითხვაა. თუმცა, ვერ ვიტყოდი, რომ ხელისუფლებას ფული არ აქვს — მას, პრაქტიკულად ფულის მეტი არაფერი უკეთებია, იგი საკმაო რესურსს ფლობს, რაც აბსოლუტურად უკანონოდ იხარჯება. რაც შეეხება ჯარიმებს, უმრავლესობა არ იხდის. გარშემო ბევრი მეგობარი მყავს, რომელთა ქონება უკანონოდაა დაყადაღებული და ჯარიმას არ იხდიან. ივანიშვილმა აბსოლუტურად უკანონოდ გამოწერილი 80 მილიონის ჯარიმა გადაიხადა მხოლოდ იმიტომ, რომ კახეთში სტიქიით დაზარალებულებს დახმარებოდა. ცოტა დრო დარჩა და როგორმე ავიტანთ ამ უკანონობებს — აყადაღონ და იყვნენ, ჰაერს ხომ არ დაგვიყადაღებენ?! მანქანები ჩამოგვართვეს, მეგობრის მანქანით დავდივარ, ამასაც ჩამომართმევენ? — მეორე მეგობრის მანქანით ვივლი, თუ არადა, საერთოდ ფეხით ვივლი. მაშინ როცა სააკაშვილი ევროპული ტიპის რეფორმატორად გვევლინება, ეს მხოლოდ და მხოლოდ ფასადია, ამის უკან ტიპიური, აზიური მმართველი დგას.

**— თქვენ ახსენეთ, არჩევნებზე მოსახლეობის 80 პროცენტი თუ მოვა, სააკაშვილს განაჩენი გამოტანილი აქვსო. თუმცა, არსებობს ბევრი ფაქტორი, რის გამოც ასე გულხელდაკრეფილი ვერ ვიჯდებით, სააკაშვილის თითოეული ქმედება მიუთითებს იმაზე, რომ იგი სწორედაც არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება. რა ბერკეტები აქვს ოპოზიციას?**

— როცა ამ დეტალებში ჩავდივართ, მერე ყოველთვის ვიკარგებით, თუმცა ეშმაკი დეტალებში ზის და ამაზე საუბარს არასდროს ვერიდები. მაგრამ რეალობა შემდეგია — დღეს არის ორი შესაძლო განვითარების სქემა. ჩვენ რომ გავიმარჯვებთ, ამაზე ორი აზრი არ არსებობს იმიტომ, რომ ხალხი და სიმართლე ჩვენს მხარეზეა. მიუხედავად დიდი ბოროტმოქმედებისა, რაც სააკაშვილმა ჩაიდინა, იგი, ან მისცემს ამ ქვეყანას განვითარების შანსს ან არა. აი, ასე დგას დღეს საკითხი. დეტალები: ბიულეტენში ბეჭედი არ ჩაირტყა, ხმა გაყალბდა და ა.შ. ეს არ არის მთავარი. მე არ მაქვს იმის ილუზია, რომ იგი სახელმწიფოებრივად აზროვნების გამო მისცემს ქვეყანას ამ შანსს. ფიქრი საჭიროა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მივიყვანოთ სააკაშვილი არჩევნებამდე და როგორ დავამარცხოთ იგი ამ მოედანზე.

**— თუმცა, სააკაშვილმა თქვა ჩემს აშენებულს არავის დავანგრევინებო.**

— სააკაშვილი აგონიაში რომ არის, მისი განცხადებებიდანაც კარგად ჩანს. წარმოგიდგენიათ, ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია? — ადამიანი, რომელიც თითქოს რეფორმატორია, ქვეყანა წინ მიჰყავს და დემოკრატიულ გზას ადგას, აკეთებს განცხადებას, რასაც ცნობილი დიქტატორებიც არ აკეთებდნენ. ხალხი მას აუცილებლად გამოუტანს განაჩენს.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# benduqiZis kidev erTi kvali rusul specsamsaxurebTan, sisxliani garCevebi da Crdilouri ekonomika

„კახა ბენდუქიძეზე ბევრი თქმულა და დაწერილა, თუმცა, ბენდუქიძეს იმდენად "მდიდარი" ბიოგრაფია აქვს, მასზე საუბარი მოსაწყენი არასოდეს იქნება. ბოლო დღეებში **დავით ფაცაციამ** ახალი, უცნობი დეტალები გაახმოვანა ბენდუქიძის ბიოგრაფიიდან.

**დავით ფაცაცია: 2004 წლის გაზაფხულზე კახა ბენდუქიძე უკვე შემზადებული იყო იმისთვის, რომ ჩამოსულიყო საქართველოში და შეესრულებინა გე-ერ-უს (რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველო) მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც უკვე 2003 წლის შემოდგომაზე იყო შემუშავებული. საქმე ეხება ბენდუქიძის საქართველოში გამოგზავნას ეკონომიკური ოკუპაციის, ანუ ე.წ. ინვესტიციებით მეზობელი ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩაგდების მიზნით. გასაოცარია, რაოდენ ეფექტიანად და, მეორე მხრივ, თვალთმაქცურად მოახერხა სააკაშვილმა მტრის ხატის პერმანენტული რიტორიკის ფონზე რუსეთისთვის, პრაქტიკულად, მთელი ქართული ენერგოსისტემის გადაცემა, აგრეთვე, 2008 წლის საომარი მოვლენების პარალელურად, საზოგადოებისგან ფარულად „ენგურჰესის" გადაცემა, კოდორის ხეობის უბრძოლველად ჩაბარება და შემდგომი ეკონომიკური გარიგებები, ე.წ. დასაბუთებული ეჭვის საფუძველზე რუსეთის სპეცსამსახურების მაღალჩინოსნების – თემურ ალასანიას, კახა ბენდუქიძისა და გრიგოლ ვაშაძის მეშვეობით. ბენდუქიძის ერთ-ერთი „მოსწავლის", ეკონომიკური ანალიზის რუსული ინსტიტუტის თანამშრომლის ლარისა ბურაკოვას მიერ 2011 წელს გამოცემულ წიგნში („რატომ გამოუვიდა საქართველოს") არის ასეთი პასაჟი: რუსეთის ფედერაციის მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარე 1992-2005 წლებში არკადი ვოლსკი ეუბნება ბენდუქიძეს: „საჭიროა, საქართველოში წასვლა". ბენდუქიძე პასუხობს: „მე მაქვს სხვა გეგმები". „საჭიროა, გაიგე, როგორ ვიქნებით შენს გარეშე? მორჩა, მივდივართ... სააკაშვილმა მიგიწვია, პუტინი თანახმაა!"**

მივყვეთ კახა ბენდუქიძის "რუსულ" ბიოგრაფიას:

1. საბჭოთა უშიშროების ხელმძღვანელი, რუსეთში სუკის ნოვატორულ ძალად აღიარებული ვადიმ ბაგატინი. 1993 წლიდან რამდენჯერმე იკვეთება ბაგატინისა და ბენდუქიძის გზები. ფონდ "პოლიტიკის" ეგიდით შეიქმნა "კლუბი-93", რომელსაც ბაგატინი და ბენდუქიძე ერთად ხელმძღვანელობდნენ. "ურალმაშ-იჟორას" (კომპანიის გენერალური დირექტორი კახა ბენდუქიძე – დირექტორთა საბჭოში ვადიმ ბაგატინის ვაჟი დიმიტრი ბაგატინი იყო შეყვანილი.



2. ვიტალი შლიკოვი – ბენდუქიძისა და შლიკოვის გზების თანხვედრა არაერთხელ მოხდა. 2001-2003 წლებში "ატომსტროიექსპორტის" გენერალური მრჩეველი შლიკოვი გახლდათ. (მოგეხსენებათ, "ატომსტროიექსპორტის" გენერალური დირექტორი ბენდუქიძეს იყო.) მას შემდეგ, რაც ბენდუქიძე საქართველოში ჩამოვიდა შლიკოვის კვალიც დაიკარგა. იგი მხოლოდ 2007 წელს გამოჩნდა თავდაცვის სამინისტროში. საინტერესოა, სად იმყოფებოდა მთელი ეს წლები შლიკოვი და რას აკეთებდა. ცხადი მხოლოდ ის არის, რომ პუტინი შლიკოვს უსაქმოდ არ გააჩერებდა. შლიკოვისნაირი გამოცდილი "კადრები" პუტინს ბევრი არა ჰყავს. ამბობენ, რომ შლიკოვი მთელი ეს წლები ბენდუქიძის ჩრდილოური ეკონომიკის მრჩეველი იყო (რასაკვირველია, ჩრდილის ქვეშ)

3. 2000 წლის ოქტომბერში ბენდუქიძე ხდება არკადი ვოლსკის მეწარმეთა და მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე. გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნების, იგივე "Î Ì Ç"-ს მეპატრონე, რომლის შემადგენლობაში შედიოდა სამხედრო პროფილის საწარმოები, სატანკო და რაკეტსაწინააღმდეგო ქარხნები. (მოგეხსენებათ, მსგავსი ტიპის ქარხნების ფლობის უფლებას სახელმწიფო სპეციალური შემოწმებისა და განსაკუთრებული კონტაქტების გარეშე არავის ანდობს. – თ.კ.) არ არის გამორიცხული, ზუსტად იმ საწარმოში შეკეთებული თუ აწყობილი ტანკების დამსახურება იყოს ის, რომ 2008 წელს ჩვენი პრეზიდენტი ჰალსტუხს მიირთმევდა სიმწრისგან.



4. კონსტანტინე ზატულინი – მასთან ბენდუქიძემ ურთიერთობა აფხაზეთის ომის დროს დაამყარა. ზატულინი აფხაზეთისათვის იარაღის, სამხედრო ტექნიკის და ფულადი სახსრების მობილიზებით იყო დაკავებული. ამ რესურსის მობილიზაცია ბენდუქიძის კუთვნილი ორგანიზაციებიდანაც ხდებოდა. 1992 წლიდან ბენდუქიძე ერთიანდება პოლიტიკურ ორგანიზაციაში "მრეწველთა პოლიტიკური ინიციატივა-1992", რომლის თავმჯდომარეც ზატულინია. ზატულინთან ერთად ბენდუქიძე კიდევ ერთ ორგანიზაციაში, "საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის საბჭოში", მოღვაწეობს. ორგანიზაციაში გარდა ბენდუქიძისა გაერთიანებულნი იყვნენ: ნიკოლაი ბორდუჟა – რუსეთის სასაზღვრო ჯარების სარდალი; სერგეი კარაგანოვი – ანალიტიკოსი; გრიგორი კარასინი – რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; კონსტანტინე კოზაჩოვი – დუმის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, სერგეი მარკოვი – პოლიტოლოგი და პუტინის მრჩეველი; გლებ პავლოვსკი – პუტინის ერთ-ერთი პოლიტტექნოლოგი, ასევე, სერგეი ლავროვი და ევგენი პრიმაკოვი – ამ ორ ადამიანს წარდგენაც არ სჭირდება.

5. 1995 წ. მორიგი ანტიქართული გაერთიანების "არჩევანის უფლების" წევრი ხდება.

6. 2003 წ. "ატომსტროიექსპორტის" გენერალური დირექტორია და დიდ მშენებლობას იწყებს: ირანში სკანდალურად ცნობილი ატომური ელექტროსადგურის "ბუშერის" მშენებლობა. შლიკოვი ამ კომპანიაშიც ბენდუქიძის მრჩეველია.



7. ბენდუქიძის პროექტი საქართველოში – ოთარ არშბა. საქართველოში მისი გამოჩენა კახა ბენდუქიძეს უკავშირდება. ოთარს, ამჟამად რუსეთის დუმის დეპუტატის პოსტი უკავია. 70-იან წლებში კგბ-ს V განყოფილების თანამშრომელი იყო. იგი არის ვადიმ ბაგატინის პარტნიორი. მისი ცოლის საკუთრებაა სავაჭრო ცენტრი ბათუმში, რომლის გახსნაზეც სააკაშვილმა ლენტი პირადად გაჭრა.

არაოფიციალურად იმაზეც საუბრობენ, რომ შარანგიების გარდა კომპანია "ბილაინში" წილი არშბასაც აქვს. სწორედ ის უგვარებდა შარანგიებს აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული "ბილაინის" მიერ დაფარვის ზონის მოპოვების საკითხებს, რასაკვირველია, თანხების სანაცვლოდ.

8. სისხლის კვალი: ჯერ კიდევ 1993 წელს "კომერსანტი" წერდა, რომ საბჭოურ-ლიბანური კომპანია „Ì àäæåññ", (რომლის საქმიანობაშიც აქტიურად იყო ჩართული შლიკოვი, და რომელსაც კურირებდა ბენდუქიზე - თ.კ.) გარეული იყო ჩეჩნეთის პრეზიდენტის დუდაევის გარემოცვის წევრების რუსლან უციევის, მისი ძმის ნაზარბეგ უციევის და გენადი სანკოს მკვლელობებთან. საქმე ჩეჩნეთიდან ნავთობპროდუქტების არალეგალურ გატანას უკავშირდებოდა.

9. სააკაშვილი პუტინს მტერს უწოდებს და პუტინის პოლიტიკას საქართველოსთვის დამღუპველად. არადა, სააკაშვილის გარემოცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა – პუტინის საარჩევნო კამპანიას აფინანსებდა, იყო ელცინის პოლიტიკის მხარდამჭერი.

ეკონომიკის მინისტრად დანიშნული ბენდუქიძე, უგულებელყოფს რა სტრატეგიული ობიექტების მცნებას, ასხვისებს ყველა იმ სტრატეგიულ საწარმოს, ქარხანას, ენერგოსადგურს, საკომუნიკაციო სისტემებს, შენობებს და სხვა, რომლებიც ჯერ კიდევ გადარჩენილი იყო დანგრევას ან გასხვისებას.

**დავით ფაცაცია: ბენდუქიძე საქართველოში ჩამოვიდა ასევე იმისათვის, რომ რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი გაზსადენი გაესხვისებინა. ამას დაუპირისპირდა ზეინო ბარანი და ბენდუქიძემ მას ფულზე გაყიდული ექსპერტი უწოდა. ის მეთიუ ბრაიზას მეუღლეა. პრაქტიკულად, ამ გაზსადენის გადარჩენა ამერიკის დამსახურებაა. გამოიცვალა მილსადენი და ხელშეკრულებაში ჩადებული იყო ის პუნქტიც, რომ სამი წელი გაზსადენი არ უნდა გასხვისებულიყო.**

შეუძლებელია, სახელმწიფოში ბირთვულ ენერგეტიკას და სამხედრო ტექნიკის საწარმოებს აკონტროლებდე და ფლობდე და არ იყო იმ სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის გამტარებელი. კერძო ბიზნესმენს დიდი დამსახურება უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს და მისი უშიშროების წინაშე, რომ ასეთი პრივილეგიებით სარგებლობდეს.

**დავით ფაცაცია: – ის პუტინისა და სააკაშვილის გენერალია. ამ გენერლების სიაში არ უნდა დაგვავიწყდეს სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანიაც და, ალბათ, პოლკოვნიკი ან კაპიტანი გრიგოლ ვაშაძეც. მათ გარეშე რუსეთისთვის ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ობიექტების გადაცემა ვერ გამოვიდოდა. ბენდუქიძემ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ბერკეტები რუსეთს გადასცა, სააკაშვილთან შეთანხმებით.**

**თამუნა კეჟელავა**

# es xelisufleba aucileblad mosaSorebelia da rac SeiZleba swrafad!

***„საერთო გაზეთის" სტუმარია კოალიცია „ქართული ოცნების" ვაკის რაიონის მაჟორიტარი კანდიდატი, ადვოკატი ბატონი შალვა შავგულიძე, პიროვნება, რომლის გვარ-სახელი სამართლიანობასთან ასოცირდება. რატომ და როგორ მოხვდა ბატონი შალვა პოლიტიკაში, რა მიზანი აქვს არჩევნებში გამარჯვების, ანუ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, სად გადაიკვეთა მისი და სრულიად საქართველოს ტკივილი, ამის შესახებ მოკლედ, მაგრამ გასაგებად მისი საუბრიდან შეიტყობთ.***

— ბაბუაჩემი, შალვა შავგულიძე დასახლდა ფალიაშვილის №16-ში და ამ უბანში გაიარა ჩემი ოჯახის ისტორიამ. ბაბუა 37 წელში დახვრიტეს, ჩვენს ოჯახს ჩამოართვეს სახლი და მხოლოდ ერთი ოთახი დაუტოვეს. ბებია, ნინა დუმბაძე ექიმი გახლდათ, მას ექიმობა აუკრძალეს და მხოლოდ ექთნად მუშაობის უფლება მისცეს. დარჩა ბებია იმ ერთ ოთახში მამაჩემთან, რომელიც იმ დროს 7 წლის იყო და მამიდასთან ერთად, რომელიც 12 წლის იყო. იმავე ერთ ოთახში ცხოვრობდნენ როდესაც მამა და დედა დაოჯახდნენ. როგორც მე მითხრეს, კარადით გადაუტიხრავთ ოთახი, კარადის ერთ მხარეს ბებია ცხოვრობდა და მის მხარეს დედა იყო მოწყობილი სამზარეულოც, მეორე მხარეს — და მამა. შემდეგ რეაბილიტირებული იქნა ბაბუა და სახლი დაგვიბრუნა სახელმწიფომ.

რაც ოჯახი შევქმენი მთაწმინდაზე ვცხოვრობ, იქ დაიბადნენ ჩემი შვილები, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარს მთაწმინდა, თავს მაინც უფრო ვაკელად მივიჩნევ. მყავს მეუღლე, ლუბა ელიაშვილი, რომელიც თქვენი კოლეგაა, მაგრამ განათლებით ფსიქოლოგია და ორი შვილი გიორგი და ელენე. გიორგი იურიდიულ ფაკულტეტს ამთავრებს, ელენე ჯერ მხოლოდ 12 წლისაა.

1983-85 წლებში ვიყავი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის ასპირანტი.

1992-93 წლებში, როგორც, ასე ვთქვათ, „მოხალისე მებრძოლი", ჩემს მეგობრებთან ერთად ვმონაწილეობდი აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ვიცავდი 1992 წლის 15 აგვისტოდან. მას შემდეგ, რაც სოხუმის მხარეს გადმოვედით, ვიყავი საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თანაშემწე აფხაზეთის რეგიონში სამართლებრივ საკითხებში და პარალელურად მონაწილეობას ვიღებდი ძირითად საომარ მოქმედებებში. (სამწუხაროდ, დავკარგეთ ეს ჩვენი ძირძველი მიწა, მაგრამ იმედია, რომ ეს ყველაფერი გამოსწორდება)

აფხაზეთიდან ჩამოსვლის შემდეგ საქართველოს გენერალური პროკურატურის სისხლის სამართლის ბრალდების სამმართველოს პროკურორად ვმუშაობდი.

**— პროკურორობიდან ადვოკატობაზე გადასვლა, ცოტა არ იყოს, გაუგებარია...**

— სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი პროკურატურაში ერთწლიანი მუშაობის დროს დავრწმუნდი, რომ ჩემი მოწოდება იყო ადვოკატობა — განაჩენებზე შემოსულ საჩივრებზე ვწერდი ისეთ დასკვნებს, რომ ვატყობდი, ყველა ჩემი დასკვნა ადვოკატის მიერ დაწერილს ჰგავდა და არა პროკურორისას, ფაქტიურად, ყველა დასკვნით განაჩენის გაუქმებას ვითხოვდი. საქმე იმაში გახლდათ, რომ ვნახულობდი დარღვევებს, რომლებიც დაშვებული იყო იმ საქმეების წარმოებაში გამოძიების თუ სასამართლოს მხრიდან. აქედან გამომდინარე, მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რომ მსურდა გადავსულიყავი ადვოკატურაში და 1996 წლიდან გახლავართ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი.

**— მე მახსოვს თქვენს მიერ ნათქვამი ამგვარი შინაარსის განცხადება, რომ თავს ანებებდით საადვოკატო საქმიანობას, რადგან ამ ხელისუფლების ხელში შეუძლებელია ადვოკატმა დაიცვას ბრალდებულის ინტერესები...**

— ნამდვილად, ასეთი პოზიცია მაქვს გამოხატული მაშინ, როდესაც უკვე პოლიტიკურ პარტიაში მოვედი — გახლავართ დამფუძნებელი პარტიის „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები". სამწუხაროდ, მართლაც, ამ რეალობამ გადამადგმევინა ის ნაბიჯი, რომ მეცადა ჩემი ძალები პოლიტიკაში.

მე დღესაც მოქმედი ადვოკატი ვარ, მაგრამ თუ შევძლებ გამარჯვებას (ნამდვილად მაქვს ამის იმედი) და გავხდები საქართველოს პარლამენტის წევრი, რა თქმა უნდა, შევაჩერებ საადვოკატო პრაქტიკას. ეს თუნდაც ამან გადამაწყვეტინა — იმდენად უსამართლო სივრცე შეიქმნა სამართალწარმოების სფეროში, იმდენად დამახინჯდა ჩვენი კანონმდებლობა დღევანდელი ხელისუფლების ხელში, რომელიც გეგმაზომიერად ხორციელდებოდა ე.წ „ვარდების რევოლუციის" დღიდან, იმდენად დაშორდა ჩვენი კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებს და განსაკუთრებით აღვნიშნავ, ევროპულ სტანდარტებს, რომ მართლაც თითქმის შეუძლებელი გახდა დაცვის ეფექტური განხორციელება.

სარეველა ბალახის თავთავს რომ მოცელავ, თუ არ ამოძირკვე, ისევ ამოდის — უნდა მოვიდეს ქვეყნის პოლიტიკურ მართვაში ის პოლიტიკური ძალა, რომლის სურვილი იქნება, რომ ქვეყანაში დამკვიდრდეს სამართალი.



თუ ქვეყანაში არ არის სამართალი, ქვეყანა არ არის შემდგარი, არც საზოგადოება და არც სახელმწიფო. უსამართლობა სამშობლოს განცდას აკარგვინებს ადამიანებს, სხვანაირად ხდება გათიშვა მოსახლეობისა სახელმწიფოსაგან — მოსახლეობა ველარ აღიქვამს სამშობლოდაც კი, იმ ქვეყანას, რომლის ხელმძღვანელობა არის უსამართლო და უსამართლოდ ექცევა საკუთარ ხალხს. ეს არის უდიდესი დანაშაული ხალხის წინაშე და ამას უნდა დაესვას წერტილი!

**— შევნიშნავ, რომ თქვენ იმ ადამიანთა უმცირესობას მიეკუთვნებით „ქართულ ოცნებაში", რომელმაც მხოლოდ ახლაღა არ „აღმოაჩინა" არსებული ხელისუფლების სიმახინჯეები. აქვე დავძენ, თქვენ სასამართლო პროცესი მოუგეთ „რუსთავი-2-ს" იმ დროს, როცა სააკაშვილი უკვე სააკაშვილობდა, იუსტიციის მინისტრი იყო, ვგულისხმობ „60 წუთის" ვალერი ასათიანის წინააღმდეგ. შეიძლება, ბევრს აღარც ახსოვს, ან ყურადღება არ მიუქცევია ადვოკატის ვინაობისთვის, გირგვლიანის საქმე — ახლახანს იყო და იმდენად გახმაურდა...**



— „რუსთავი-2", ფაქტიურად, მაშინ უკვე ექვემდებარებოდა ე.წ „ახალგაზრდა დემოკრატიული ჯგუფის" ინტერესებს, „ახალგაზრდა რეფორმატორებს" მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით. იმ ჯგუფში იყვნენ ბევრნი, მათი გვარების ჩამოთვლა არ გვინდა...

იუსტიციის მინისტრ სააკაშვილის უკვე ჩატარებული ჰქონდა სასამართლო რეფორმის პირველი ეტაპი და ფაქტიურად, სასამართლო კორპუსზე მისი ზეგავლენაც უკვე საკმაოდ დიდი იყო. მოხდა დანაშაულებრივი მოქმედებები „რუსთავი-2-ის" გადაცემა „60 წუთის" ჟურნალისტების მხრიდან — თითქოს იყვნენ პატიმრის ნათესავები (ირაკლი კერესელიძე — მ.ჭ), ამ სტატუსით შევიდნენ საპატიმროში. იუსტიციის სამინისტროში გამოიწერა ყალბი საშვი და აიღეს ინტერვიუ პატიმრისგან, რომ ამაზრზენი დანაშაული მან კი არ ჩაიდინა, არამედ ვალერი ასათიანმა. წარმოიდგინეთ დღეს როგორია ჟურნალისტისთვის საპატიმროში შესვლა და ყალბი ინტერვიუს კი არა, საერთოდ, ინტერვიუს აღება. ასეთი ბინძური საქმე გააკეთა „რუსთავი-2-მა" და ამ ყველაფერს ჩემთვის უკვე სავსებით ნათელი გახდა, რა გუნდი იყო ეს და რა „სიკეთესაც" მოიტანდნენ, თუ ხელისუფლებაში მოვიდოდნენ.

**— ჯერ მხოლოდ 2001 წლის გაზაფხული დგებოდა...**

— დიახ და ისინი აპირებდნენ ხელისუფლებაში მოსვლას, სურვილი ჰქონდათ. სამწუხაროდ, ჩემი შიში გამართლდა. ჩვენ ვნახეთ რა დღეში ჩააგდო საკუთარი ქვეყანა ხელისუფლებაში მოსულმა ამ გუნდმა და რამდენი ანალოგიური და ამაზრზენი საქმეები ჩაიდინა...

საზოგადოების დიდმა ნაწილმა ამ გუნდს ოდესღაც მართლა გამოუცხადა ნდობა, იმ ნაწილმა, რომელსაც სურდა პოზიტიური ცვლილებები, მაგრამ რომ არ გაუმართლა ამ გუნდმა, უნდა წავიდნენ იმავე ხალხის ნებით — იმედი მაქვს, რომ ასეც იქნება.

**— იცით, რომ სკოლების დირექტორებს ჯერ კიდევ მაისში მიეცათ მითითება, რომ კლასის დამრიგებლებს მოსწავლეების მშობლების პირადობის ნომრები მიეტანათ? ბაზრობაზე, ადგილში რომ 5 ლარი იყო გადასახდელი, 16 ლარი გაუხადეს და ვინც პირადობის მოწმობას მიიტანდა საჭირო ადგილზე, მას ისევ ხელმძღვანელობდა მიხეილ სააკაშვილი.**

**— როგორ მოუგეთ, ესაა საინტერესო, რადგან, ხელისუფლებაში იგივენი არიან, ანუ, ეს ნიშნავს, რომ მათი დაუმარცხებლობის მითი ქვიშითაა ნაგები...**

— სასამართლო პროცესი გრძელდებოდა დიდხანს. ჩემთან ერთად ამ პროცესში მონაწილეობდა ჩემი კოლეგა, ძალიან კარგი პროფესიონალი იურისტი დავით ჯანდიერი. „60 წუთის" ანუ აკაკი გოგიჩაიშვილის ინტერესებს იცავდა დიმიტრი ქიტოშვილი, გავედით ბოლოში და აშკარად რომ გამოჩნდა ცილისწამება, ანუ რომ აგებდნენ, მოხდა ისე, რომ საქმე აცილდა სასამართლოს იმ შემადგენლობას, დაეწერა სხვას და დავიწყეთ თავიდან. სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა ასათიანის სასარგებლოდ, „60 წუთს" დაეკისრა ბოდიშის მოხდა მედიასაშუალებებით და მორალური ზიანის კომპენსაცია 50 000 ლარის სახით. ამ თანხის გადახდა არ სურდათ, მაგრამ იძულებითი აღსრულების გზით ეს თანხა ჩამოიჭრა მათი ანგარიშიდან, ხოლო რაც შეეხება ბოდიშს, გადაცემა გააუქმეს, ბოდიში რომ არ მოეხადათ.

მაშინ უკვე აშკარა გახდა, როგორ ზეწოლას ახდენდა სასამართლო კორპუსზე ეს „ახალგაზრდა რეფორმატორი" მიხეილ სააკაშვილი თავის გუნდთან ერთად, რომ გაეტანათ ბოლომდე ასეთი ამაზრზენი ცილისწამება.

**5 ლარად დააყენებდნენ? იგივე მექანიზმი ამუშავდა სასჯელაღსრულების ადგილებში — რამდენი ასეთი...**

— მთავარია, რომ საზოგადოება იყოს აქტიური, არავინ დარჩეს სახლში, ყველა მივიდეს საარჩევნო ურნასთან და დააფიქსიროს თავისი არჩევანი; შემდეგ, საჭიროა ამ არჩევანის დაცვა. აქაც, ერთადერთი რეალური მექანიზმი არის ისევ ხალხის ერთობა გარეთ, რათა დაანახოს ხელისუფლებას, რომ ისინი უფრო მეტნი არიან, ვინც ხმა მისცა ცვლილებებს. პირობით ციფრს დავასახელებ, როდესაც მილიონი ადამიანი გამოვა გარეთ, ვერავინ იტყვის რომ ოპოზიციას ხმა მისცა ასი ათასმა კაცმა. ჩვენს მოქალაქეებს მინდა ვუთხრა, რომ რომელიმე პარტია ან კოალიცია განყენებულად ვერ დაიცავს მათ ხმებს, ეს ხმები ყველამ ერთად უნდა დავიცვათ, რადგან ეს ხმებია ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი შვილების მომავალი — მანამდე უნდა ვიდგეთ ხელიხელჩაკიდებულები ერთად და გარეთ, სანამ არ მოვისმენთ ობიექტურ შედეგს, სანამ არ ავიხდენთ ქართულ ოცნებას.

ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი ტკივილი და ესეც გამოსასწორებელია — დაკარგული ტერიტორიები — აღსადგენი გვაქვს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და ამის მექანიზმი არსებობს, თუ საქართველო გახდება წარმატებული ქვეყანა.

დღეს არსებული საქართველოს ხელისუფლება ვერ იზამს ამას, პირიქით, მოახერხეს და ვერ ააცილეს ქვეყანას საომარი კონფლიქტი რუსეთთან 2008 წლის აგვისტოში, რასაც შედეგად მოჰყვა ახალი მსხვერპლი, ახალი ტერიტორიების დაკარგავს და ახალი დევნილები ჩვენს ქვეყანაში და რაც აუცილებლად აღსანიშნია, რუსეთის ჯარის და სამხედრო ბაზების დაბრუნება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უფრო დიდი ძალით და უფრო მობილიზებულის.

ჩვენ, უპირველესად გასათავისუფლებელი გვყავს ჩვენი ქვეყანა. რაგინდ პარადოქსულად ისმოდეს XXI საუკუნეში თავისუფლებისთვის უნდა ვიბრძოლოთ — უნდა დავიბრუნოთ სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი სასამართლო, ბიზნესის თავისუფლება და ა. ს რომლის მექანიზმი არის ის, რომ უნდა მოვიპოვოთ არჩევანის თავისუფლება და დავიცვათ ჩვენი თავისუფალი არჩევანი.

ჩვენ გვაქვს რესურსი, დავიბრუნებთ დაკარგულ თავისუფლებას და აუცილებლად შევქმნით კარგ, ჯანმრთელ, მდიდარ, სამართლიან და სამართლებრივ ქვეყანას, რითიც უზრუნველვჰყოფთ ჩვენს მომავალს და ერთად ავიხდენთ ქართულ ოცნებას.

ჭორებს ავრცელებენ, ბიძინა ივანიშვილი წასვლას აპირებსო. ეს არის იმ შავი პიარის შემადგენელი ნაწილი. ეს არის აბსოლუტური ტყუილი! ბატონი ივანიშვილის მსგავსი მეორე მაგალითი, შეიძლება, სადმე არსობებს, მაგრამ არ ვიცი — კაცმა (და მის შთამომავლობას, მთელ თაობებს), რომელსაც შეეძლო უზრუნველად ეცხოვრა, ყველაფერი დადო სასწორზე თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხის სასიკეთოდ.

რა თქმა უნდა, ბატონი ბიძინა არსად არ წავა მანამ, სანამ ბოლომდე არ მიიყვანს იმ საქმეს, რაც დაიწყო.

**მაია ჭულიძე**

**იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში**
**www.saertogazeti.net**
**შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე**
**საერთო გაზეთი**

**გვესაუბრება სამების საკათედრო ტაძრის დეკანოზი მამა ელიზბარ დიაკონიძე**

# mama e l i zbar i (diakoniZe):

# „ვინც ბაგრატის ტაძრის ახლანდელ მკრეხელურ გუმბათზე ასულ და იქ ფეხმორთხმულ ჯალალედინს თაყვანი სცა, იგივე ცოდვა ჩაიდინა — მაცხოვრის ხატსაც დააბიჯა ფეხი და ღვთისმშობლისასაც“



**— ფერისცვალების დღეა, მამა ელიზბარ და თქვენი აზრით, უცვალა საბოლოოდ ფერი სააკაშვილმა ღვთისმშობლის წილხვედ საქართველოს? „დაიპყრო“ ბაგრატის უწმინდესი ტაძარიც?**

— ფერისცვალებას გილოცავთ. ეს დიდებული დღესასწაულია და მისი მადლით გაძლიერებულიყავით თქვენც და სრულიად საქართველო.

ფერისცვალება სოფელ რუისის დღესასწაულია და იქ, რუის-ურბნისის ეპარქიაში დავესწარი ღვთისმსახურებას. მეუფე იობმა ალავლინა სადღესასწაულო ლოცვა. ქადაგებასაც მოვუსმინე და კერძო საუბარიც მქონდა მეუფესთან. ჩვენთვის — ჩემთვის და მეუფე იობისთვის „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“. მაშინ, როცა სააკაშვილმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ სამშობლო მისთვის არაა მთავარი, საქართველოს, ქართულ კულტურას, მწერლობას შეურაცხყოფას აყენებს, მეტის მოთმენა შეუძლებელია. რა გაიგონა ჩემმა ყურებმა — „ვიღაცა მესხი მელექსეო“. ვიღაცა ხარ შენ, მიშა და ვიღაცა არის მთლიანად შენი ოჯახი, რუსთაველი ვიღაცა არ არის და მართლაც ფურთხის ღირსია ის ერი, რომლის მწერალი არის შოთა რუსთაველი და სააკაშვილისგან ასეთი შეურაცხყოფა მოითმინა.

**— რა უნდა ექნა ერს?**

— ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება უნდა გამოვნახოთ, რომ ეს გახრწნილი ხელისუფლება წავიდეს აქედან. ბაგრატის ტაძარს ჯვარი დაადგა იმ ახალ გუმბათზე, რომელიც აშკარად თურქული მეჩეთის სტილსაა მიმსგავსებული. მეტის მოთმენა მართლა აღარ შეიძლება.

**— მეუფე კალისტრატეს კი მოეწონა და...**

— მეუფე კალისტრატეს იცით, რას ეძახიან? — კარგის ტრ...ეს. ჰოდა, ამ პატივცემულ მეუფეს და სხვა მეუფეებს, რომლებიც დაჰყვებიან სააკაშვილს ახალციხეში თუ ქუთაისში წინასაარჩევნო ვოიაჟებში, ეშინიათ არა ღვთისა, არამედ ამ გიჟის.

ამ „ახალმოდის გიჟვრაცუამ“ ბაგრატის ტაძარს მიაყუდა კიბე და ჯვარი ალმართა, ჯალალედინმა მოხსნა სიონს გუმბათი და ტახტი დაიდგა იქ. ვინც გადაუვლიდა ფეხით ხატს, ადიოდა მასთან და ხალათით აჯილდოებდა. მე ხმამაღლა ვაცხადებ, რომელი უმაღლესი იერარქიის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს, ვინც ბაგრატის ახლანდელ სამარცხვინო გუმბათზე ფეხმორთხმეულ ჯალალედინს თაყვანი სცა, მაცხოვრის ხატსაც დააბიჯა ფეხი და ღვთისმშობლისასაც.

ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ. სამშობლოს რომ შეურაცხყოფას აყენებ, ე.ი. ღვთისმშობლის ხატსაც შეურაცხყოფ.

ჩვენი უწმინდესი არასდროს ყოფილა იმ საშინელების მომხრე, რაც ბაგრატის ტაძარს უყვეს. ყველაფერი, რაც იქ გაკეთდა, იყო ნაჩქარევი და უპასუხისმგებლოდ გაკეთებული. ამ სტილით ეს პროექტი არ უკურთხებია უწმინდესს და საერთოდაც, ბაგრატის ტაძრის აღდგენაზე ლაპარაკი პირველად ბატონმა თეიმურაზ შაშიაშვილმა დაიწყო და უფრო ადრე ქუთაისის ქალაქკომის მდივანმა, აწ განსვენებულმა მამუკა ასლანიკაშვილმა. რატომ არ ახსენებს არავის. მაგრამ, თურმე, პირველად საქართველოში მას გაახსენდა ბაგრატის ტაძარი. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ამ ცრუ დავით აღმაშენებელს ამ საქმეში ცრუ ჭყონდიდელი მეუფე კალისტრატე და სხვა სამღვდელო პირებიც ეთანხმებოდნენ.

**— თუ პატრიარქი არ იყო მომხრე და არც კურთხევა უბრძანებია ბაგრატის ტაძრის ამგვარ რესტავრაციაზე, მეუფეებმა რატომ აკურთხეს იმ დღეს იქ „გაფუჭებული“**



**საქმე, პატრიარქს ეწინააღმდეგებიან?**

— ხონის, ბაღდათის, ქუთათელმა, თერჯოლის, მარგველმა, ფოთის და სხვა ეპისკოპოსებმა და მიტროპოლიტებმა მოგეხსენებათ, აკურთხეს ახალი პარლამენტის შენობა ქუთაისში, იყო ერთი ამბავი. პატრიარქმა კი სააკაშვილს მტკიცე უარი უთხრა: მე არასდროს ვყოფილვარ ქუთაისში პარლამენტის გადატანის მომხრე და ჩემგან კურთხევას ვერ მიიღებო.

**— რა გამოდის, პატრიარქს არ ემორჩილებიან ეს მღვდელმთავრები?**

— როგორც ეტყობა, ვიღაც შეჰპირდა მოხუც კალისტრატეს — როცა უფალი ინებებს ჩვენი პატრიარქის ზეცაში აღვლენას, შენ იქნები პატრიარქიო და აჩქარებს ვითომ ამ ამბავს. თქვენ რომ წერდით, პატრიარქი, მოსალოდნელია, სექტემბერში გადაყენონო, აპირებენ, უმაღლესი იერარქი დასვან მის ადგილას, ვითომდა უმდარესი რომ არ აღაზევონ, მკაცრად აპირებენ იერარქიის დაცვას, თითქოს ასეთი მტკიცე დამცველი ვართ რჯულის კანონებისო. გაივლის ცოტა ხანი და მეუფე კალისტრატეს ადგილას თავისთვის სასურველს დასვამენ.

სინამდვილეში მეუფე კალისტრატეც მარიონეტია ამათ ხელში, მას უბრალოდ, გამოიყენებენ, რადგან აზრზე არაა, რას აკეთებს. ამ კაცს „წიქარა“ არა აქვს ბოლომდე წაკითხული, „ზილის“ შოფერია და მეტს რას უნდა მოველოდეთ მაგისგან?

**— მეუფე აბრამიც მოიაზრება პატრიარქობის კანდიდატად, გარმელიაო.**

— ვინ? გარ-მელიაო? (ეღიმება).

როცა პატრიარქობის კანდიდატურებზე არის საუბარი, რა თქმა უნდა, სამშობლოს მოყვარული, პატრიოტი მრევლის ერთსულოვანი აზრი არის მეუფე იობის კანდიდატურა საპატრიარქო ტახტზე.

უნდა გითხრათ, რომ საქართველოს ისტორიაში რუის-ურბნისის ეპარქიას ოდითგანვე ჰქონდა განსაკუთრებული მადლი. დავით აღმაშენებლის გვერდით ჭყონდიდელი (ანუ მარტვილელი) მიტროპოლიტი მეუფე გიორგი იდგა, მაგრამ ჭყონდიდში არ ჩაატარეს საეკლესიო კრება. ხარჭაშნელი ეპისკოპოსი განსაკუთრებით ჰყავდა დავითს და ცხენის დაღლას მოერიდებოდა? როგორ გგონიათ? რუის-ურბნისის ეპარქია ყოველთვის გამოირჩეოდა ღირსეული სამღვდელო დასით! ამჯერადაც ასეა. მეუფე იობი გახლავთ უძლიერესი ადამიანი, ამას არა მხოლოდ მისი მომხრეები, მოწინააღმდეგებიც აღიარებენ. მისი ღირსების განმსაზღვრელი კი საოცრად მარტივი ფორმულაა — არის უაღრესად კეთილმორწმუნე, სჯულის კანონის ზედმიწევნით დამცველი და სამშობლოს მოყვარული ყოველგვარი ანგარების გარეშე.

დღეს სამღვდელო პირები ხელისუფლების მაამებლობაზე არიან გადასული. რატომ არ მივიდა ივანიშვილთან მიტინგზე საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტი დანიელი. მსოფლიო მოიჯირითა მეუფე დანიელმა და მცხეთაში ჩასვლა გაუჭირდა? ამ ხელისუფლებას არ ეამებოდა და იმიტომაც არ მივიდა. აი, ესაა სიმართლე.

საინტერესო ამბავი მოხდა ამას წინათ, ჯერ მეუფე იობი არ გვაკურთხებს იმ პიროვნების სახელის გამჟღავნებაზე და ვერ ვიტყვი, ვინც მივიდა მეუფესთან და უთხრა: იხილება პატრიარქობის შესაძლო კანდიდატურები. ვიცით, რომ დაისმება თქვენი საკითხიც, რადგან მრევლს და ეკლესიას ძალიან უყვარხართ. გაქვთ უზარმაზარი ავტორიტეტი, მაგრამ ხელისუფლება მხარს არ დაგიჭერთ. ჯერ დააყენებენ ისეთ პატრიარქს, რომელიც ღრმად მოხუცებულია, 2-3 წელიწადში, შეიძლება, გარდაიცვალოს და მერე თქვენ იქნებით. ამიტომ, მოდით, საჭირო დრო რომ დადგება, ხელისუფლების კანდიდატურას დაუჭირეთ მხარი და მერე ჩვენ დაგიჭერთ თქვენ მხარსო. განრისხებული იყო მეუფე იობი...

რა მიკვირს იცით, წმინდა სინოდმა დაგმო საეკლესიო პირების მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში. ახალციხის ღონისძიებზე რომ მეუფეები იჯდნენ, ისინი გადაცმულები იყვნენ თუ რა ხდებოდა, ნეტა? ამ ხელისუფლებამ უკვე გაამჟღავნა თავისი „ერევნული“ მისწრაფებები. „მეტი სარგებელი ხალხსო“! სარგებლიანობა ვაჭრობაში გამიგია მე და ჩვენში ვაჭრები, ძველთაგანვე, სომხები იყვნენ; მაგრამ „სარგებელი“ რომელ ხალხს? იმათ, ვისაც „ქართული ოცნების“ რუსთავის აქციის დღეს მარნეულის, ბოლნისის, ახალქალაქის მოსახლეობას გზა ჩაეკეტა, მიტინგზე რომ არ წასულიყვნენ? ამ რაიონების ავტოსადგურებში 19-ში დილით წარწერა გაჩნდა — ავტოტრანსპორტი არ იმოძრავებს არც ერთი მიმართულებითო, ანუ რუსთავში მიტინგზე რომ არ წასულიყვნენ.

**— მოდით, ზემოთ დაწყებულ საუბარს მივუბრუნდეთ. ხელისუფლება განიხილავს საპატრიარქო კანდიდატურებს, პატრიოტ ხალხს მეუფე იობი სურს, მაგრამ ახლანდელი პატრიარქი ხომ, წესის მიხედვით, შობის დღეს საიდუმლო ანდერძს წერს და იმ ანდერძში მომავალ პატრიარქს ასახელებს?**

— პატრიარქს ანდერძში დასახელებული ეყოლება რჩეული კანდიდატურა და იმედია, საქართველოს არ გაწირავს ღმერთი. იმ ანდერძში ისეთი კაცი იქნება მოხსენიებული, ვინც საქართველოს და ქართველ ხალხს სჭირდება ახლა. ღმერთს უნდა მივენდოთ, ლოცვა გავაძლიეროთ და ყველაფერი კარგად იქნება.

**ირანდა კალანდაძე**

---

**თენგიზ სვანიძე**

# simarTle kuboSi asvenia!

1.

მოგვიკლეს,
რაც გვწამდა, —
გრიალებს „ელიტა“...
სიცოცხლე გამწარდა, —
ღამე დღეს ვერ იტანს!
კაცი, რჯულს გაყრილი,
დედას არ დაინდობს...
დრო არის გარყვნილი, —
სირეგვნე რაინდობს!
რას გვშველის აქცია, —
იმარჯვეს „ანტებმა“...
მათხოვრად აქცია
ქვეყანა გრანტებმა!
რა ძალა ჯადოქრის? —
ყრუობას არ ვიშლით...
არ ვიცი, რას მოგვცემს
შინ ჯდომა და ვიში!
გვიფარავს წყალობა
ღვთის, ისევ ჩვენს ბედად...
განაგლდა მთავრობა,
ჩახდასაც შეგვბედავს!

2.

დარები ავდრად იქცა,
გზა არ ჩანს ასაქცევი,
არადა, არ დაიქცა
ქვეყანა დასაქცევი!
მუდამდღე მომგებიანს
აწყობენ გარიგებებს...
დროებას მორგებიან,
ვის მიწებს არიგებენ?!
ვით ამ მთებს,
სხვათა ყმობა
ქართველებს არ
აქვთ ჯიშად...
ქვეყანა უძრაობამ
ბოლომდე გააშიშვლა!
დაგვიხშეს ჭკუა-გონი,
გავმხდარვართ მონა
მტრების...
მრავალჯერ მოვიგონებთ
წარსულ წლებს
მონატრებით!
ბოროტი მორკინლები
გაგვწყვეტენ ავი სენით,
თუ მძიმე ბორკილები
დროზე ვერ ავიხსენით!
რა წინსვლა, რისი ძვრები
(დრო-რკინის აღვირია!...)
რა გვინდა, სად მივძვრებით,
ჭკუა რამ აგვირია?!
ვკითხულობთ
დამწუხრებით:
მოვა კი გონს წყეული?...
მთავრობის მარწუხებში
მაგრად ვართ მომწყვდეული!
იმედის მიწურებიც
ქცეულა ცრემლთა ტბებად...
სიცოცხლე-იწურება,
სიკვდილი-გვენატრება!
მეფობდნენ მუდამ დრონი,
ახლაც ესეეა! —
გონებაფუტურონი
ქვეყანას შესევიან!
მონობის სიოხრეში
გაძაღლდა თვე და წელი...
თითქოსდა სიო
ფრთებს შლის, —
აღზევდა სული ბნელი
სიტყვების კაკანია
აქამდე რაც მსმენია.
სიმართლე რა ხანია,
კუბოში ასვენია!!!




***ხელისუფლება საზოგადოებას მუდმივი კრიზისის რეჟიმში ამყოფებს. 2003 წლის შემდეგ ამ კრიზისის წყალობით სააკაშვილმა შეინარჩუნა ძალაუფლება, მაგრამ კრიზისს, რომელსაც სააკაშვილი გვთავაზობს, აჩრდილიც დაჰყვება. სწორედ ამ აჩრდილთან, — რუსეთთან ომში აღმოვჩნდით ჩვენ ხელისუფლების წყალობით; გადავაბარეთ ამ აჩრდილს ასეულობით ჯარისკაცის სული, რომ არაფერი ვთქვათ მიბარებულ მიწებზე. მაგრამ საზოგადოებამ სააკაშვილს საკუთარი ჰალსტუხის ღეჭვიდან დაწყებული გორის ქუჩებში ხოხვით დამთავრებული ყველაფერი აპატია. დაძაბულობა იყო, ომში ვიყავით და კრიტიკულ აზრს ხელისუფლებისთვის მორატორიუმის პირობა ჰქონდა მიცემული. თუმცა ამავე დროს ხელისუფალი აგრძელებდა წაგებული ომის ნადავლით ძალაუფლების შენარჩუნებას. სავალალო ასევე ის არის, რომ ქართ-***



***ველი ხალხის სახელით მებრძოლი სააკაშვილის გუნდი ჩვეულებრივ აჩრდილად ქცეული, ომში მოგებული რუსეთის ბიზნესპარტნიორი გახდა. აქამდე ეს დასტურდებოდა ირიბად ან არ დასტურდებოდა. მაგრამ დღეს თქვენ შეიტყობთ, სად გადაიკვეთა საჯაროდ მიხეილ სააკაშვილის და ვლადიმერ პუტინის გზები. გაიგებთ, რატომ გახდა ირანი და რუსეთი საქართველოს ბიზნესპარტნიორი. რამ შეცვალა მუდმივი მოკავშირე არმია და ფლოტი. სააკაშვილის მორიგი ავანტიურა - რკინიგზა და მილსადენი; უპატრონოდ დარჩენილი სააკაშვილის ოქროს ციებ-ცხელება და ბოლოს და ბოლოს, ყარს თუ არა ფული, - გავარკვიოთ ანატომიაში.***

**მიხეილ სააკაშვილი:** პირდაპირი მითითებით კრემლის საშუალებით საქართველოში შემოდის ძალიან დიდი რუსული ფული. მაგრამ ერთი პატარა პრობლემაა... მართლა ბრიყვი უნდა იყო, რომ ვერ მიხვდე, რომ ესაა რუსული ფული... თუ ბრმა არა ხარ და ყრუ არა ხარ, ყველამ კარგად იცის, რაც ხდება. საქართველოში არ იყიდება ორი რამ - ქართული სახელმწიფო და ქართველი ხალხი!

**გოკა გაბაშვილი:** ეს არის ადამიანი, რომელიც მზად არის, კარგი ურთიერთობა ჰქონდეს მომავალში პუტინის რუსეთთან. და მთელი სიმძიმე ურთიერობების აჰკიდოს საქართველოს; საქართველოს დააბრალოს ომის დაწყება; არა მხოლოდ ეს, არამედ დღეს მან საქართველოს დააბრალა ეკონომიკური ემბარგო...

**ნუგზარ წიკლაური:** ერთადერთი, რაც მან გააკეთა ძალიან კარგად, ეს იყო საქართველოს დადანაშაულება იმ ბლოკადაში, რომელიც რუსეთმა გამოუცხადა ჩვენს ქვეყანას და საქართველო დადანაშაულება აგვისტოს ომში...

ენერგეტიკული დიალოგი ლიბერალური იმპერიის ერთ-ერთი შემადგენელი და აუცილებელი პირობაა. ამ დიალოგის შედეგი კი ის არის, რომ საქართველოს ენერგეტიკული პაკეტის 99% რუსეთის ფედერაციის ხელშია. მხარეთა ორმხრივი შეთანხმების მიხედვით, ქართულ მხარეს საქართველოს ხელისუფლება წარადგენს.

**ვერა ქობალია:** მე როცა ვამბობ, რომ არ უნდა გაიყიდოს რკინიგზა, არ უნდა გაიყიდოს გაზსადენი, იმას ვგულისხმობ, რომ 51% აქციების არასდროს არ უნდა გაიყიდოს. იმიტომ, რომ ეს საქართველოსთვის იმდენად მნიშვნელოვანი ობიექტებია, რომ არავის არასდროს არ დაებადება ის აზრი, რომ 51% გაყიდოს ან რკინიგზის, ან გაზსდენის. მე არ ვხედავ არაფერს ცუდს იმაში, რომ 10-15% გავიტანოთ ან რკინიგზის ან გაზ-



სადენის...

ეს განცხადება ეკონომიკის მინისტრმა ვერა ქობალიამ 2010 წელს გააკეთა. არ გამორიცხა რომ აქციების ის წილი, რომელსაც სახელმწიფო არ ფლობდა გაზის და ნავთობის საერთაშორისო კორპორაციებში გასხვისებულიყო. ქობალიას ნავარაუდევი პერიოდი თვენახევარში მომავალ არჩევნებს ემთხვევა. ივაჭრებს თუ არა სააკაშვილი ამ კოზირით?! ან ვის სჭირდება ეს კარტი?!

გაცილებით ადრე **პრემიერ-მინისტრი გილაური** დასავლელ პარტნიორებში ენერგომონსტრის ჩამოყალიბებით აღძრულ ეჭვს, რომ ამ კორპორაცების რუსეთის ფედერაციაზე გასხვისება იგეგმებოდა, რადიო „თავისუფლებისთვის, მიცემულ ინტერვიუში კატეგორიულად გამორიცხავდა. თუმცა ფაქტია, რომ ამ ინტერვიუდან 6 წლის შემდეგ გაზის და ნავთობის კორპორაციის 100%-ვე გილაურის საპარტნიორო ფონდის ხელშია. ფონდის ძირითადი ფუნქცია კი, ნაციონალური განმარტებით, ინვესტიციების მოზიდვაა, ადამიანურით კი - სახელმწიფო ქონების მომგებიანად გაყიდვა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული მიზანი ტრანსკავკასიური მილსადენის გასხვისებაა, რომლის ერთადერთი ლოგიკური მყიდველი რუსული გაზპრომია. ამერიკის ადმინისტრაცია 2006 წლიდან ცდილობს ამ პროცესის შეჩერებას. ქართული მილსადენის რუსეთისთვის მიყიდვა დასავლეთისთვის ენერგეტიკული იმპერიისგან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებას - ნაბუქოს პროექტის ჩაგდების საფრთხეს ქმნის. ნაბუქოს ავტორები განმარტავენ, რომ იგეგმება ევროპის ბუნებრივი აირით თურქეთიდან მომარაგება. მაგრამ თურქული გაზის კრიზისის შემთხვევაში, მილსადენს თურქმენული გაზით შეავსებენ. თურქმენულ გაზს კი, ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს გავლა უწევს. თუ არ გავითვალისწინებთ ერთადერთ ალტერნატივას - ირანის ტერიტორიას, რაც ირანისადმი ევროპული და ამერიკული სანქციების პირობებში გამორიცხულია. აშშ-ს კი რუსული გაზისგან თავისუფალი ევროპა სჭირდება, გადაწყვეტილების რუსეთისგან დამოუკიდებლად მისაღებად, რაც არ შედის რუსულ გეგმაში. ლიბერალური იმპერია დასავლეთის ენერგეტიკულ იზოლაციაში მოქცევას ცდილობს, რაც კარგად ჩანს ნაბუქოს ალტერნატიულ რუსულ იდეაში - სახელწოდებით **„სამხრეთ ნაკადი“**. რომლის მიხედვითაც ევროპა მარაგდება ალტერნატიული ბუნებრივი აირით, ოღონდ კვლავაც რუსული გზით. მოვლენების განვითარების ამ მოდელს კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან დასავლეთში. რის გამოც ამერიკელ ექსპერტს ღიად დაუპირისპირდა მილსადენის რუსეთზე მიყიდვის მხარდამჭერი კახა ბენდუქიძე, რომელიც ამბობს, რომ „სახელმწიფოს საქმეა ჯარი და არა მილსადენები და დენსადენები“. ბენდუქიძე აქ არ აკონკრეტებს, ვისი საქმეა ამის გაყიდვიდან მიღებული ფულის განკარგვა. სახელწიფო კანცელარიის მოქმედი ხელმძღვანელის ამ პოზიციის ახსნას მისი რუსული ბიოგრაფიის რამდენიმე დეტალიდან ვიღებთ.

**კახა ბენდუქიძე** „ომზ“-ს იგივე გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნების გენერალური დირექტორი იყო. რუსული „ომზ“-ს შემადგენოლობაში შედის სამხედრო პროფილის საწარმოები, სატანკო და სტრატეგიული რაკეტების კომპონენტების საწარმოებელი ქარხნები. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გამოიყენებოდა თუ არა ბენდუქიძის ქარხანაში აწყობილი ტანკები და რაკეტები - ბენდუქიძე ამ კითხვაზე პასუხს არ იძლევა.

**კახა ბენდუქიძე** რუსული „ატომსტროიექსპორტის“ გენერალური დირექტორი და სწორედ ამ „ატომსტროიექსპორტის“ აშენებულია ირანში სკანდალურად ცნობილი ბუშერის ატომური ელექტროსადგური. სამშენებლო კომპანია „ევორდი“ იმელის შენობიდან და ტემპინსკის სახელიდან კომპანია „კაპიტალვოსტოკის“ გავლით ბენდუქიძის პარტნიორობამდე - საბჭოთა უშიშროების ხელმძღვანელ და რუსეთის უშიშროების საბჭოს წევრამდე ვადიმ ბაგატინამდე მივყავართ. **„ურალმაში“**, სადაც დირექტორთა საბჭოს წევრად ბენდუქიძე სწორედ ბაგატინის ვაჟს ნიშნავს. რუსული



დაზვერვის აწ გარდაცვლილი დამსახურებული ჯაშუში ვიტალი შლიკოვი, რომელიც ბენდუქიძის ბიოგრაფიას „ატომსტროიშიც“ და „ომზ“-შიც მრჩევლის სტატუსით ახლავს. **რუსულ გენერალიტეტთან მჭიდრო კავშირში მყოფი არკადი ვოლსკის „მეწარმეთა და მრეწველთა საბჭოს“ თავმჯდომარეც კახა ბენდუქიძე გახლდათ. კონსტანინე ზატულინი, ნიკოლაი ბორდუჟა, გრიგორი კარასინი, კონსტანინ კოსაჩოვი, სერგეი ლავროვი, გლებ პავლოვსკი, ევგენი პრიმაკოვი...** რუსეთის ეტაპობრივი ლიბერალიზაციით დაიმედებული ქართველი ჩინოვნიკის კახა ბენდუქიძის რუსულ ბიოგრაფიას



ეს ჩამოთვლილი სახელები მუდმივად თან სდევს. სწორედ კახა ბენდუქიძის სახელს უკავშირდება ლიბერალიზაციის გზაზე მდგარი რუსეთის ქართული ეკონომიკისთვის ბიზნესპარტნიორად ქცევის იდეაც. გამიჯნულია თუ არა ერთამანეთისგან რუსული ბიზნესი და რუსული ომი - ეს თქვენ გადაწყვიტეთ!

**ლაშა ნაცვლიშვილი:** ყველაფერი მიუთითებს იმისკენ, რომ მტრის ხატის კულტივირება რომელიც სჭირდება სააკაშვილს, ამაში პირდაპირ თუ ირიბად ხელს უწყობს რუსეთის ხელისუფლება. მედვედევის ვიზიტი ცხინვალში, პუტინის ე.წ. აღიარება, რომ იგი 2006 წლიდან ემზადებოდა ქართულ-რუსული ომისათვის. ეს თუ ვინმეს წისქვილზე ასხამს წყალს, მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლების. როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლებას ძალიან სჭირდება აქ ლეგიტიმაცია გამოცდილი, კორუფციაში გასვრილი და მართული ხელისუფლება.

**გია ხუხაშვილი**: 21-ე საუკუნეში საზღვრები ატარებს პირობით ხასიათს. ნებისმიერი ქვეყანა შეიძლება იყოს განხილული, როგორც ღია ტიპის სააქციო საზოგადოება, სადაც ვინც ფლობს საკონტროლო პაკეტს, ის კარნახობს თამაშის წესებს. დაახლოებით ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ამასაც რომ თავი დავანებოთ, მოგებები, ჩვენ ვიცით, რა ტარიფებია ქვეყანაში, ზემოგებებზე მუშაობს ყველა ეს რუსული სახელმწიფო კომპანიების მიერ დაფუძნებული ქართული კომპანიები და მთელი ეს მოგება მიდის კრემლში. მოგეხსენებათ, „რაოესი“ არის რუსული სახელმწიფო კომპანია, ფანტასტიურ შემოსავლებს ნახულობს, „თეალასი და ენერგოპრო საქართველოში, მთელი ეს მოგება მიდის კრემლში. კრემლში ეს ფული კონვერტირდება ტანკებსა და სხვა ტიპის იარაღში და ამ ფულით ხდება საქართველოს ოკუპაცია.“

**„რაოესი“** საქართველოში ფლობს და ოპერირებს შემდეგ კომპანიების ენგურჰესი, ჟინვალჰესი, ხრამი 1, ხრამი 2, ხრამი 3, დავალებული აქვს ხრამი 4-ის მშენებლობა, ხრამი 5 და თბილისის ელექტროქსელი, იგივე „თელასი“.

**კომპანია „ენერგოპროს“** უკავშირდება: გუმათი 1, გუმათი 2, ლაჯანურჰესი, შაორჰესი, აჭარის წყალი, ეს კომპანია კი ასოცირდება რუსული წარმოშობის კომპანია „ფალკონკეპიტალზთან“.

**რუსული „ინტერ რაო“** ოპერირებს ჰესებში: ვარციხე 1, ვარციხე 2, ვარციხე 3, ვარციხე 4. ასევე მის სახელს უკავშირდება გარდაბნის მეცხრე ენერგობლოკი, მეათე ენერგობლოკი და მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები.

ხელახლა გადაყიდული **„მადნეული“** და **„კვარციტი“** უკავშირდება რუსულ **„კაპიტალგრუპს“**, რომლის გაყიდვის დეტალებს ოდნავ მოგვიანებით შემოგთავაზებთ. „აზოტში“ ასევე რუსული წარმომავლობის კომპანია შევიდა და ამ კომპანიების უკან მდგომი რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის რომან ფიფიას სახელს უკავშირდება ზესტაფონის ფერო, თბილისის „დინამო“ და სასტუმრო „ჰაიატი“, რომლის მშენებლობაც უვადოდ არის შეჩერებული. ყოფილი გაერთიანებული ქართული ბანკი დღეს რუსულ ბანკს VTB-ის

ეკუთვნის. რუსულ „დემაკომპიუტერს“ ეკუთვნის ელმავალმშენებელი ქარხანა. რუსული წარმოშობის „მულტიპლექსენრჯილიმითედი“ ფლობს რუსთავწყალკანალს, მცხეთაწყალკანას, საქწყალკანალს და თბილისის წყალს. კომპანია „ბილაინი“, რომელიც ეკუთვნის „ანატომიის“ ერთგული მაყურებლისთვის კარგად ნაცნობ ძმებ შარანგიებს. თავის მხრივ, „ბილაინი“ რუსული ვიმპელკომის“ შვილობილი კომპანიაა, რომელიც რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ოპერირებს. შარანგიებსვე ეკუთვნის კომპანია GMC , რომელიც კვების ობიექტებს აერთიანებს. გარდა ამისა, რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენების სა-



ხელს უკავშირდება წილობრივი თანამონაწილეობა დეზერტირების ბაზრის ტერიტორიაზე მშენებარე ობიექტებზე, თბილისის სამარშრუტო ტაქსები, წილი საქართველოს ლატარეის კომპანიაში, თბილისი-ცენტრალი და სწორედ შარანგიები სახელდებიან ქართული რკინიგზის მესვეურებად, რომლის 100% რამდენიმე დღის წინ გადაეცა საპარტნიორო ფონდს.

აგვისტოს შემდეგ ერთმანეთს რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა დაემთხვა. კერძოდ, რუსეთის სააქციო საზოგადოება **„რასისკიე ჟელეზნიე დაროგის“** მიერ სომხეთის რკინიგზის მართვის უფლებით აღება და იქ „სამხრეთ კავკასიის რკინიგზის“ დაფუძნება. აგრეთვე საქართველო რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენითი სამუშაობი. დაბოლოს, აგვისტოს ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის განცხადება ცხინვალსა და ვლადიკავკაზის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის შესახებ. ცხადია, ამ უკანასკნელის მშნებლობას არავითარი ეკონომიკიური მნიშვნელობა არ ექნება, თუ იგი არ შეუერთდება გორი-ნიქოზის სარკინიგზო მონაკვეთს. იდეაში კი რუსული გეგმა ერთიანი სამხრეთ კავკასიის რკინიგზის შექმნას გულისხმობს. ყოველივე ეს აშკარად მიუთითებს, რომ რუსეთისთვის უმნიშვნელოვანესია საქართველოს რკინიგზის ხელში ჩაგდება. ამდენად, საქართველოს მიერ რკინიგზის გასხვისების ნებისმიერი მცდელობა, არა მხოლოდ პრივატიზაცია, არამედ მართვის უფლებით გადაცემაც კი, რუსეთის სახელმწიფოსთვის მისი პირდაპირი მიცემის ტოლფასი იქ-



ნება. მით უმეტეს, რომ „რასიისკიე ჟელეზნიე დაროგის“ გადაცემული აქვს საბორნე გადაზიდვები ფოთიდან და ბათუმიდან.

ასევე რუსულ კომპანია **„შტორმინტერნეიშენალს“** ეკუთვნის საქართველოს საპატრიარქოს გვერდზე გახსნილი კაზინო „შანგრილა“ და მას შემდეგ, რაც ფსბ-მ მოსკოვში დააკავა ამ კომპანიის ერთ-ერთი მენეჯერი, „შანგრილამ“ მინსკში გადაინაცვლა. მას ქართულ კავშირებზე უკვე მოსკოვის სათამაშო ბიზნესში კარგად გარკვეულმა შარანგიებმა იზრუნეს. რუსთაველის გამზირზე მდებარე იუსტიციის სამინისტრო ასევე რუსული კაპიტალის ხელშია. ოფიციალურად ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილის მინდია გადაევის სახელზე რეგისტრირებული კომპანიის **„რუსთაველი ფროფერთის“** უკანაც მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი რომან ფიფია დგას. ფიფია, რომელმაც ჯერჯერობით ვერ ააშენა დაპირებული „ჰაიათი“, იმელის შენობა, რომელსაც „კაპიტალვოსტოკის“ უკან მდგომ ბენდუქიძემდე მივყავართ. ფინანსთა სამინისტრო კი კომპანია „გიგის“ მფლობელობაშია და ამ კომპანიის სახელით ძმები შარანგიები მოქმედებენ. პარლამენტის შენობით დაინტერესებული ფრანგ ბიზნესმენად ცნობილი ბუბა ქებურია რუსეთში მოღვაწე ელგუჯა ქებურიაა. ფოსტის შენობა კი იმ **„სილქროუდს“** ეკუთვნის, რომელიც რუსულ კომპანიასთან ერთად „თბილისის



წყალს“ დაეპატრონა. მაგრამ რუსული ბიზნესის ქართულ სურათზე ყველაზე საინტერესოდ მაინც პრეზიდენტის ოჯახის რჩეული ბიზნესის ეპიზოდი გამოიყურება - ოქრო! **„პრამიშლენიე ინვესტორის“,** გენერალოვის, ნაყოფიას, პრეზიდენტის ბიძის -თემურ ალასანიას და ოქროს კარიერის გენერლების ისტორიის შემდეგ სააკაშვილის ოჯახმა „მადნეულის“ „კვარციტის“ და ოქროს საბადოს გადაყიდვა გადაწყვიტა. ეს ნაციონალურ ბიუჯეტში ორმაგ თანხასაც მოიტანდა და გენერალოვიც გაქრებოდა სააკაშვილის ოჯახის ბიზნესისტორიიდან. მაგრამ იცოდნენ თუ არა ამ ქეისის ავტორებმა, რომ გენერალოვის გაქრობა სააკაშვილის ბიოგრაფიაში ვლადიმერ ვლადიმერის ძის გაფორმებას გამოიწვევდა. არ არის გამორიცხული, რუსული მხარე დაინტერესებული იყოს საკუთარი ქონების გათეთრებით, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მოვლენათა არანაციონალურად განვითარების შემთხვევაში თავის დაზღვევის მიზნით. გაფორმებული უკვე გაფორმებულია! ოქროს მომპოვებელმა კომპანია „ჯეოპრომაინინგმა“ მადნეული და კვარციტი რუსულ კაპიტალჯგუფს 204 მლნ დოლარად მიჰყიდა. ეს თანხა საჯარო რეესტრში არ არის მითითებული. კაპიტალჯგუფის აქციონერები არიან რუსი ბიზნესმენები დიმიტრი ტროიცკი და დიმიტრი კორჟიევი. კომპანია „ნევარუსი“ კაპიტალჯგუფის შემადგენლობაშია და მან „ჯეოპრომაინინგისგან“ 2012 წლის 14 ივნისს „მადნეული“ და „კვარციტი“ იყიდა. ამ საბადოზე ლიცენზია კი „ჯეოპრომაინინგმა“ ას ათნახევარ მილიონ ლარად 2012 წლის 29 თებერვალს ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკის სამინისტროსგან მიიღო. ანუ ხელისუფლებამ ორმაგი დილი შეასრულა - თანხა კომპანიაში და ცალკე თანხა საბადოში. ეს ფირმა აწარმოებს ოქროს მოპოვებას სომხეთის და ირანის ტერიტორიაზეც, რაც ამ გარიგებასთან სააკაშვილის ბიძის - თემურ ალასანიას კავშირის შესაძლებლობას კიდევ უფრო ამყარებს. ჯერ კიდევ აზერბაიჯანულ პრესაში გავიდა ინფორმაცია, რომ ალასანია გენერალოვთან ერთად სომხეთში ოქროს მოიპოვებდა. რაც შეეხება „მადნეულის“ და „კვარციტის“ ახალ მფლობელებს - კორჟიევი და ტროიცკი ლენინგრადელი თანაკურსელები არიან, დაამთავრეს ლენინგრადის გემთმშენებელი ინსტიტუტი. 1993 წლიდან არიან ბიზნესპარტნიორები. მათ ერთობლივი ბიზნესი ჰქონდათ „ნევარუსში“. ეს კომპანია აქციებს ფლობდა „სანკტ პეტერბურგში“. 2009 წლის მდგომარეობით იგივე ბანკის აქციონერია სერგეი მატვიენკო, რომელიც ცნობილი რუსი ბიზნესმენია და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მეგობრის, პოლიტკური პარტნიორის და თანამოაზრის ვალენტინა მატვიენკოს შვილია. მაგრამ სააკაშვილის ოჯახის ბიზნესინტერესების გაყოლებაზე ჩნდება კიდევ ერთი საინტერესო ფიგურა. ბანკ „სანკტ პეტერბურგში“ ქართული ოქროს მფლობელებთან ერთად ირიცხება ლენინგრადის ბანკის აქციონერთა სიაში ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინი. ანუ კომპანია, რომლის საკუთრებაშიც 204 მილიონ დოლარად გადავიდა ქართული ოქრო — არის პირდაპირი, დაუფარავად, ოფიციალურად რუსეთის პრეზიდენტის ბიზნესპარტნიორი. იქნებ ეს სხვა პუტინია?! მაგრამ რუსულ საინფორმაციო წყაროებში ვლადიმერ ვლადიმერის ძე ერთია. და ის ერთია საქართველოს ხელისუფლებისთვისაც.



საქართველოში, ფაქტიურად, მონოპოლისტია რუსული ენერგომონსტრი **„გაზპრომი“**, რომელიც ოპერირებს **„იტერას“** და **„ყაზტრანსგაზის“**, სახელით. სწორედ **„გაზპრომს“** და **„იტერას“** უკავშირდება ძმები ბეჟუაშვილების სახელი, მათ მიერ გაკოტრებული ქართული გაზგამანაწილებელი კომპანიები და საქართველოს ენერგოსისტემაში რუსული კაპიტალის შემოსვლა და ლიბერალურ-ეკონომიკური იმპერიის ძირითადი ნაწილის ''საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის'' სახელის ქვეშ გაერთიანება. GIG თავის თავში იტევს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კომპანიას, რომელიც, თავის მხრივ, დაკავებულია ელექტროენერგიის გამომუშავებით და ბუნებრივი აირით ვაჭრობით. ელექტროენერგიას ისინი შემდეგი სადგურებით გამოიმუშავებენ: **რიცეულა, ბჟუჟი, ალაზანი, ტირიფონი, კახაეთი, იგოეთი, აჭი, მაშავერა. თბოელექტროსადგურები: გარდაბნის გაზის და ტყიბულის ნახშირის. ბუნებრივი აირით ვაჭრობას რაც შეეხება, ბეჟუაშვილები ქვეყნის გაზგასამართი სადგურებიდან ნახევარზე მეტს ფლობენ. დანარჩენი კი მათივე ცემენტის ქარხნებზე ნაწილდება. ძმები ბეჟუაშვილები არიან ასევე დაკავებული ნახშირის მოპოვებით საქნახშირის ეგიდით. მათივე შვილობილი კომპანიებია „ჰაიდელბერგცემენტჯორჯია“, „ტიფლისი-სიტი“, ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა, ქართული ლუდის კომპანია „ზედაზენი“.** ბეჟუაშვილის ერთ-ერთი შვილობილის „ტიფლისის-სიტის“ ბალანსზე ირიცხება შემდეგი ობიექტები: სანსიტი ბატუმი, დიდუბე მარკეტი, ყაზბეგის 47, ოფიცერთა სახლი, რუსთაველის 22, ბჩ“ ბიზნესცენტრი, ბიზნესცენტრი საბურთალო, საქინვესტი, საოფისე ცენტრი დელისზე, საოფისე ცენტრი ჯიქიაზე, მშენებარე კომპლექსი კრწანისში, კახეთის მაგისტრალზე, ბაკურიანში და გუდაურში.



ჩამოთვლილი ბიზნესის და კავშირების შემდეგ განსაკუთრებით საინტერესო ხდება **გელა ბეჟუაშვილის** პერსონა, რომელიც სააკაშვილს მუდმივად ახლავს. რომელსაც პუტინმა ერთ შეხვედრაზე ჩურჩულით აუწყა, რომ ბერიას ჰგავდა. გელა ბეჟუაშვილი ერთადერთი თანამდებობის პირია, დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელსაც არც ომი ეხება და არც სახელისუფლებო ცვლილებები.

ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში ნებისმიერი ტიპის კრიზისის დაწყებისას რუსეთიდან საქართველოში ახალი კაპიტალი იწყებს გადმოდინებას და უკვე არსებული მფლობელებს იცვლის. ასე იყო 2007 წელს, 2008-ში, 2009-ში და ასეა ახლაც. ვის უფრო ეშინია ცვლილებების - რუსულ კაპიტალს თუ სააკაშვილს?!

**გელა და დათო ბეჟუაშვილები, კახა ბენდუქიძე, ძმები შარანგიები, რომან ფიფია, კობა ნაყოფია და ელგუჯა ქებურია** - ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები პირები ბიზნესის კუთხით რუსული წარმომავლობისაა. ანატომიის მიერ შედგენილი რუსული ბიზნესის ქართული სურათი კიდევ არასრულია.

**სააქციო საზოგადოება „საქართველოს“ მთავრობის სახით ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, საბჭოს - თავმჯდომარე, რომელიც ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას და საკონტროლო პაკეტის ოკუპანტისთვის მიცემაც მისი ხელდასმით მოხდა.**



ანტიიმპერიული ანტურაჟი მიხეილ სააკაშვილს დასავლელი პატრონების რისხვისგან თავის ასარიდებლად სჭირდება. თუ დარჩა, რა თქმა უნდა, მას სადმე ასეთი პატრონი.

**ლაშა ნაცვლიშვილი:** მე აღარ ვფიქრობ, რომ ამერიკაში პატრონები ჰყავს სააკაშვილს, სააკაშვილი უპატრონოა, ჩემი აზრით!

ანატომიის მიერ ჩამოთვლილი კომპანიების და იმ პირების სია, რომლებიც რაიმენაირად უკავშირდებიან რუსეთს, რა თქმა უნდა, არასრულია. ზუსტი სიის თქვენთვის წარმოდგენას ერთი სამინისტროს რესურსი მაინც ესაჭიროება. სქემა კი, დაახლოებით, ასეთია: მაგალითისთვის, კომპანია X ყიდულობს თქვენს სახლს, ერთ კვირაში ეს კომპანია სახლეს შეიცვლის და იყიდის ჩემს სახლს, დაახლოებით 7 დღეში კი იგივე კომპანია უკვე სულ სხვა სახელწოდებით მიადგება რომელიმე ნაციონალური მოძრაობის წევრის სახლს. თუმცა ძირი ამ კომპანიისა იგივე რჩება - რა თქმა უნდა, რუსული! რეალურად კი იზრდება საქაღალდე და კვალის გაყოლაც რთულდება. ამ ყველაფრი შემდეგ ძალიან საინტერესოა მიხეილ სააკაშვილის პოზიცია, რომელიც ლამის ვლადიმერ პუტინის ოფიციალურ ბიზნესპარტნიორად იქცეს. არ გამიკვირდება, უახლოეს პერიოდში სააკაშვილის ბიზნესინტერესები „გაზპრომშიც“ რომ აღმოვაჩინოთ. თუმცა „გაზპრომში“ რუსული ფული იბეჭდება. რუსული ფული და გაზპრომი კი საქართველოში თითქმის ყველაფერს ფლობს. ვინ უნდა იფიქროს დღევანდელი გადაცემის შემდეგ საკუთარ ანატომიაზე, ვერ გეტყვით, მაგრამ აჯობებს, ალბათ, მაინც საკუთარზე დავფიქრდეთ!

**გადაცემის ავტორი და წამყვანი**
**ნათია მიქიაშვილი**
**TV9**

# samegrelo, jeri Senzea!

ჯერი მალე სამეგრელოზე მიდგება.

დარწმუნებულია მოწინავე ქართული საზოგადოება, რომ ძველი კოლხეთის დღევანდელი შვილები ობიექტურნი იქნებიან ქვეყნის მდგომარეობის გაანალიზებაში. მთელი საქართველო დარწმუნდება, რომ სამეგრელო შეშინებული არ არის. ეს მხარე ვაჟკაცების სამჭედლოა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში ბევრი ტკივილი გადაიტანა ძველი ეგრისის მიწამ. „პუტჩი“, მხედრიონისა და გვარდიის დამსჯელი „ექსპედიციები“ სამოქალაქო ომი, რისი კვალიც დღესაც ამჩნევია ამ მხარეს.

დღეს რაც ხდება სამეგრელოში ამან ყველა წინა უმსგავსობებს გადააჭარბა. ამ მხარეში დღევანდელმა ხელისუფლებამ დააბრუნა „კოჩის კოჩობა“, რომელსაც ებრძოდნენ სამეგრელოს ღირსეული შვილები.

უტუ მიქავამ და მისმა თანამებრძოლებმა შეძლეს ამ დამამცირებელი „წესის“ ამოძირკვა.

სამეგრელოს ღირსშესანიშნავი ობიექტები გაიყიდა და გასაჩუქრდა ყველა მსურველ უცხოელზე, ნაწილი ხელისუფლების ჩინოვნიკებზე. ხალხი საძოვრებისა და სახნავი მიწების გარეშე დარჩა. მეგრელებს წაართვეს ფოთი. ადრე მეგრელი კაცი ფულის საშოვნელად სამუშაოდ ფოთში მიდიოდა, რათა ცოლშვილი შეემოსა. გახსოვთ, ალბათ, გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯიდან“, მეგრელისთვის რომ გეკითხა — „სო მეურქუ“ (სად მიხვალ)? — „ფოთიშა მეურქ პატონი“ (ფოთს მივდივარ, ბატონო) — მოგიგებდა: „ეგება ჟირიოდე ფარა იფშუა“ (ეგება ორიოდე ფარა ვიშოვოო).

არა, ჩემო ძმებო, მეგრელი კაცი დღეს ფულს ფოთში ვერ იშოვის, აქ ვერ იმუშავებს, ამ ქალაქის ნაწილი უცხოელებისაა, ნაწილი კი ნაციონალი ჩინოვნიკების, მათი ცოლების და ოჯახის წევრების. ანალოგიური ვითარებაა ანაკლიაშიც, რაც შეეხება „ლაზიკაზე“ მითს, იქ ადგილობრივი ხალხი არც კი მოიაზრება. ვფიქრობ, ხელსუფლებას აქ რაღაც მზაკვრული მიზანი აქვს ჩაფიქრებული.

ჩვენი საფიცარი სამშობლოს — საქართველოს მშენებლობა-გაძლიერებაში, მისთვის დამოუკიდებლობის მოპოვება-შენარჩუნებაში სამეგრელოს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის.



დაწყებული ქუჯი-ფარნავაზიდან და გუბაზ მეფის მეფობიდან, დამთავრებული მეოცე საუკუნის 80-90-იან წლების ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავამდე. სიმამაცის ერთგულებისა და ქვეყნისათვის თავდადების მაგალითიც ხომ ცოტნე დადიანმა მისცა დანარჩენ საქართველოს. არ ყოფილა არც ერთი ყოფითი სფერო ჩვენს ქვეყანაში, სადაც სამეგრელოს შვილებს განსაკუთრებული სიტყვა არ ეთქვათ: ხელოვნებაში, ჯანდაცვაში, მეცნიერებაში, სპორტში და ა.შ.

ყოველივე ზემო თქმულიდან გამომდინარე, ამ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება, მოვლა და მოფერება სჭირდება.

საქართველოს ყველა რეგიონში არიან პიროვნებები, რომლებიც პირადი მდგომარეობის შესანარჩუნებლად ხალხის ნებას არაფრად აგდებენ. ასეთები რატომღაც განსაკუთრებით სამეგრელოში აქტიურობენ და მათი გვარ-სახელები მთელმა საქართველომ იცის.

გონს მოდით! არაფერია იმაზე ცუდი, როდესაც საკუთარ ხალხს არ უყვარხარ. აკაკი წერეთლის „ღამურა“ თუ არ ისწავლეთ სკოლაში (ერთ დროს გვასწავლიდნენ, შეიძლება „ნაცებმა“ ამოიღეს სასწავლო პროგრამიდან), თქვენი კუთხის შვილის, ცნობილი მწერლის და პოეტის, ვახტანგ ხარჩილავას ლექსი მაინც მიიღეთ შეგონებად და გაფრთხილებად:

„მარგალიში გვარი გიღუ
გური ვაიღუ მარგალიში,
აგერია წინაპრებთან
კაცობა და ანგარიში
უჩონჩხე დო უზისხირე,
ოლიგვინა ბოროცალო,
სხვის კალთასთან დაჩოქილო,
სხვის ტაძარში
მომლოცავო...

დღემდე რაც ჩინ-მედალ-ორდენია მოჭრილი ქვეყანაზე, მათ მიღებას სჯობს შენს ხალხს უყვარდე, შეგახსენებთ, ღმერთი ყველას აძლევს დაფიქრების დროს შეცდომების გამოსწორებისთვის, რადგან კაცთმოყვარეა, მაგრამ გამოსწორებისთვის მიცემული ჟამის გასვლის შემდეგ გამოუსწორებელს საშვილიშვილოდ მკაცრად განიკითხავს. იფიქრეთ თქვენს შთამომავლობაზე, თქვენს გამო წელში მოხრილებმა და თავდახრილებმა რომ არ იარონ დუნიაზე.

სამეგრელოს მუდამ ჰყავდა და დღესაც ჰყავს ღირსეული შვილები, რომლებიც არ ეუგებიან უსამართლობასა და განუკითხაობას. ასეთები არიან: გონიერი, მშვენიერი და მამაცი ეკა ბესელია. ქართველი ერის საყვარელი მწერალი გურამ ოდიშარია. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ დიდი ცოდნითა და გამოცდილებით დახუნძლული ირაკლი ალასანია, მურთაზ ხურცილავა, კაცი ლეგენდა, რომელსაც ტაშს უკრავდა ფეხბურთის სამყარო, მთელი ერის საყვარელი მსახიობი — გურამ ფირცხალავა, რომელთანაც სამეგრელოზე და მეგრელზე ანეკდოტის თქმასაც ვერავინ ვერ ბედავს. მერაბ ქვარაია, პრინციპული, უსამართლობასთან შეუგუებული. ახალგაზრდა კაცი, საქართველოს და კერძოდ სამეგრელოს მხარის დღევანდელი მდგომარეობით შეწუხებული ვახუშტი ფარცვანია. საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას ღირსეული შვილი კახა შარტავა და სხვები. რა თქმა უნდა, ყველა ღირსეულის ჩამოთვლას ვერ შევძლებ.

ეს პრობლემები „ქართული ოცნების“ სხვა ხელმძღვანელებთან ერთად მალე, ძალიან მალე თქვენი მხარდაჭერით, არჩევნების გზით, ქართველთამოძულე ხელისუფლებას მოაშორებს ქვეყნის მმართველობას.

აი, ვისი უნდა გჯეროდეს და ვის უნდა დაუჭირო მხარი არჩევნებზე.

თქვენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ვიღაცეები იძახიან. სამეგრელო ხელისუფლების მხარდამჭერიაო. ეს არ არის სწორი. თქვენ იყავით ხელისუფლების მხარეს, მაგრამ ეროვნული ხელისუფლების, რომელსაც ერზე და ქვეყანაზე თავდადებული ზვიად გამსახურდია ედგა სათავეში.

დღეს ყველა უნდა გავერთიანდეთ და ერის საუკეთესო შვილებს, თქვენს შვილებს უნდა დაუჭიროთ მხარი, რათა ქვეყნის მმართველობა ეროვნულად მოაზროვნე, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილ ქალებს და კაცებს გადავაბაროთ.

დარწმუნებული ვარ სამეგრელო სიურპრიზს უმზადებს „ნაციონალურ“ ხელისუფლებას და მთელი რეგიონი, როგორც ერთი, უარს ეტყვის ქვეყნის დღევანდელ მმართველობას.

**როლანდ ნიჟარაძე**
საქართველოს
უხუცესთა დარბაზის
აღმასრულებელი მდივანი

# samegreloSi xelisuflebam asineTas kantora aqtiurad aamuSava

სამეგრელოში, ამომრჩევლებთან შეხვედრისას, კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს, უკვე მერამდენედ საყვედურობენ ერთი და იგივეს: — თქვენმა ლიდერმა მეგრელებს დეგრადირებული გვიწოდა და ბოდიშიც კი არ მოუხდიაო.

როგორც ჩანს, ხელისუფლებამ სამეგრელოში აქტიურად აამუშავა ასინეთას კანტორა, რომელიც მიზანმიმართულად ავრცელებს ბინძურ ჭორებს და ამით ცდილობს ადგილობრივი მოსახლეობა ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპიროს.

საქმე ის არის, რომ ზემოთხსენებული ფრაზა მსახიობმა გია ბურჯანაძემ თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში, ბურჯანაძე კი დღემდე „სახალხო კრების“ წევრია და არა „ქართული ოცნების“.

გაუგებარია, რატომ უნდა აეღო თავის თავზე პასუხისმგებლობა და რატომ უნდა მოეხადა ბოდიში ბიძინა ივანიშვილს იმ სიტყვის გამო, რომელიც მას არ უთქვამს?

ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის დიდი სიყვარულით და ხაზგასმული პატივისცემით საუბრობს სამეგრელოზე და მეგრელებზე, როგორც განსაკუთრებული ნიჭიერებით გამორჩეულ ადამიანებზე და მისთვის ამის დაბრალება დიდი უსინდისობა და უნამუსობაა.

რაც შეეხება ბატონ გია ბურჯანაძეს, მან მოგვიანებით სცადა განემარტა, რომ ეს საჩოთირო ფრაზა „დეგრადირებული მეგრელები“ მან კონკრეტულად ადამიანთა იმ ჯგუფის მისამართით თქვა, რომლებიც, როგორც ირკვევა, „ნაც. მოძრაობამ“ აიყვანა სამეგრელოდან სვანეთში, რომ კოალიცია „ქართული ოცნებისთვის“ აქციის ჩატარებაში ხელი შეეშალათ.

— უამრავი მეგრელი მეგობარი და ძმაკაცი მყავს, სამეგრელოს და მეგრელებს როგორ ვაკადრებდი ამ სიტყვებს? — წუხს ბატონი ბურჯანაძე — მე მხოლოდ, მათზე ვთქვი ეს, რომლებიც უღირსად იქცეოდნენო.

**მსახიობ გია ბურჯანაძის მიერ წამოსროლილ უხერხულ ფრაზას მეგრელებთან დაკავშირებით არც ბიძინა ივანიშვილთან და არც კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ საერთო არაფერი აქვს**

გასაგებია ყველაფერი, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ახსნა-განმარტება მაინც არ არის ის, რითაც ამ როყიოდ წამოსროლილი ფრაზის გამართლება შეიძლება.

საქმე ის არის, რომ მსგავს ინციდენტებს ადგილი ჰქონდა ქართლშიც, კახეთშიც, იმერეთშიც, აჭარაშიც და ა.შ.

რა ვქნათ ახლა, დეგრადირებული ქართლელები, დეგრადირებული კახელები, დეგრადირებული იმერლები, დეგრადირებული აჭარლები დავუძახოთ ამ ადამიანებს, რომლებიც არაქართულად, ქართველი კაცის ღირსებისთვის შეუფერებლად იქცევიან ხოლმე?

ამა თუ იმ ანომალიური მოვლენის ახსნა კუთხურობის მიხედვით, რბილად რომ ვთქვათ, დიდი შეცდომაა...

აშკარად ცუდად გაექცა სიტყვა ბატონ გიას, გაქცეულ სიტყვას კი, ათასი მწევარი რომ დაადევნო, უკან ვერ მოაბრუნებ.

ამ ფაქტმაც დაადასტურა, რომ ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო დღეს, როცა ასეთი დაძაბული ვითარებაა, რომ ცუდად წამოცდენილმა ერთმა ფრაზამ სიტუაცია არ ააფეთქოს.

რაც შეეხება „დეგრადირებულებს“, ბიძინა ივანიშვილს თავის გამოსვლებში არასოდეს არ დაუყვია ადამიანები დეგრადირებულად და არადეგრადირებულად, თავისიანებად და სხვისიანებად, არასოდეს უკადრებია ვინმესთვის უკმეხი სიტყვა, შეურაცხყოფისთვის შეურაცხყოფით არ უპასუხნია და სიძულვილისთვის სიძულვილი არ დაუხვედრებია.

სანიმუშო და მისაბაძი საქციელი სწორედ ეს არის...

**დავით ქავთარია**



# solos ver vasruleb, dueti ki ar Sedga

ცხოვრებისეული პრობლემების დეფიციტს არავინ განვიცდით. უკვე აღარაფერი გვიკვირს და, ბედისწერის ახირებებს შეჩვეულნი, ფილოსოფიური სიმშვიდით ვაცხადებთ ხოლმე: — ასეთია ცხოვრება! ზოგჯერ კი იმავე ფრაზას ფრანგულად ჩავილაპარაკებთ: — სე ლა ვი, მეგობარო! ეს ფრაზა ისეა დამკვიდრებული ყოველდღიურ მეტყველებაში, რომ არავის ეუცხოება და ლექსიკონს არავინ იშველიებს. სხვათა შორის, სწორედ ფრანგებს ეკუთვნის ყველა ქალისათვის სასიამოვნო, ჯენტლმენური გამონათქვამი: „თუ ქალი დამნაშავეა შენ წინაშე, ბოდიში მოუხადე მას!“ აი, რამ განაპირობა ჩვენი არჩევანი, იმედია, ღალატს არავინ დაგვწამებს... ასე რომ, იმეგობრეთ ჩვენთან, გაეცანით ნაირნაირ ისტორიებს, მოგვწერეთ ან დაგვირეკეთ და გაგვიზიარეთ თქვენი აზრი — ვიფიქროთ და ვიკამათოთ ქართულად, დასკვნა კი ფრანგულად გავაკეთოთ: — სე ლა ვი, მეგობარო!

დღევანდელ ისტორიას პირობითად ასე ვუწოდეთ: „სოლოს ვერ ვასრულებ, დუეტი კი არ შედგა“.

„მარტოხელა, მარტოსულო დედოფალო, გაიშალე ოქროსფერი თმები...“ ისმის სიმღერა. ისიც ილვიძებს, საწოლიდან დგება და ლამაზი სიზმრიდან არცთუ მთლად ლამაზ რეალობაში გადმოსახლებული, ოქროსფერ თმას იშლის. იხარშება ყავა, ქრონიკულად რეკავს ტელეფონი, ოთახში მზე იჭყიტება და მშვიდობის დილას უსურვებს დიასახლისს — მზე ერთადერთია, ვისაც ამის გაკეთება შეუძლია, რადგან დილაობით მთელი სამყარო ამ ერთი ციცქნა ოთახის კარს მიღმა ან ტელეფონის ყურმილშია მოქცეული. ღამეს კი მარტოხელა დილა მოსდევს... საათის ისრები თავპირს იწყვეტენ, ყავა შესმულია, ოთახი — მილაგებული, ტანსაცმელი — იდეალურად გაუთოებული, მაკიაჟი — ზომიერი. იგი წასასვლელად ემზადება და გონებაში დღის „ბიზნეს გეგმას“ იმეორებს: დილით სამი გაკვეთილი, მერე ერთი კერძო გაკვეთილი ბინაზე მისვლით, საღამოს კი მოწაფეთა ჯგუფი შინ მოაკითხავს და კიდევ ერთხელ დატრიალდება წლების განმავლობაში მოტრიალე კარუსელი: „ფრეზენთ ინდეფინიტი“ და „ფასთ პერფექტი“, წესიერი და არაწესიერი ზმნები, ტესტები და ისევ ტესტები... უკვე დიდი ხანია, ასეა: დამთავრდა სტუდენტობა და გაჩნდა ყველა თაობისათვის კარგად ნაცნობი სიტყვა „მასწ...“, რომლითაც მას ახლა მიმართავენ.

გადის დრო. სიტუაციის შესაბამისად, სხვადასხვა როლის შესრულება უწევს — ხან მშობლებსა და დედმამიშვილებზე გადაგებული შვილი და დაა, ხან — კეთილსინდისიერი თანამშრომელი, ხან — ერთგული მეგობარი და ყურადღებიანი მეზობელი... და ყოველთვის ბოლომდე იხარჯება, ყოველთვის ნაღდი და გულწრფელია. თამამად შეგიძლია ენდო — მოკვდება და დაგეხმარება, მოკვდება და არ დაგალალატებს, მოკვდება და... შენთან ერთად მოკვდება.

როცა ბოლო სტუმარიც გაიხურავს კარს, იგი პირისპირ რჩება მდუმარე ღამესთან და მაშინ ძალიან ჰგავს ბუდიდან გადმოვარდნილ ბარტყს — მაშინ იგი მარტოხელა და მარტოსული ქალბატონია. „ჭრიჭინებენ, ჭრიჭინებენ ჭრიჭინები...“ და მართლაც ჭრიჭინებს ჭორიკანა და დაუნდობელი ქალაქი, რომელიც მშობლიური და საყვარელია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას ვერაფრით გადაეჩვია და, ალბათ, ვერც ვერასდროს გადაეჩვევა, „ნატოს“ კი არა, პლანეტათა გაერთიანებული ასამბლეის წევრი ქვეყანაც რომ გავხდეთ და ჰუმანოიდები პროვინციალიზმის საწინააღმდეგო ვაქცინებს გვიშხაპუნებდნენ. ქალაქს არ უყვარს, როცა ვინმე სტანდარტულ ჩარჩოებში ვერ ჯდება, უკვირს და ჩურჩულებს: — რატომ არის მარტო? მომხიბვლელია, განათლებული, დასაქმებული, საქციელი არ დაეწუნება და სიტყვა-პასუხი, მაინც რას ელოდება, რატომაა მარტო? — მე მიყვარს ეს ცნობისმოყვარე, შფოთიანი, მოფუსფუსე ქალაქი — ლაბირინთი, სადაც ძალიან იოლია თავის დაკარგვა, სადაც ყოველი კარის მიღმა პატარა ნაღმია და, ღმერთმა უწყის, აფეთქდება თუ არა (გადატანითი მნიშვნელობით, რა თქმა უნდა), სადაც გამართლებაზეა დამოკიდებული, სახეგაბადრული მასპინძელი ბადაგს შეგასმევს თუ შხამს (ესეც გადატანითი მნიშვნელობით); და რაკი პარადოქსებით სავსე ამ ოკრობოკრო ქალაქში ხშირად კაცუნები იჩემებენ კაცობას, ამიტომ გასაკვირიც აღარაა, სასაცილო ოთახში გამომწყვდეულებს რომ დავემსგავსეთ — ქონდრისკაცები ბუმბერაზებად მოჩანან და პირიქით. მე მიყვარს ეს ენაჭარტალა ქალაქი, რომელიც მარტოხელებსა და მარტოსულებს არ წყალობს, მიყვარს, მაგრამ ვერ ვეგუები...

მას ეძახიან „შვილს“, „დას“, „ნათესავს“, „მეგობარს“, მაგრამ არავინ ეძახის „მეუღლეს“ და არავინ მიმართავს სანუკვარი სიტყვით „დედა“. შემთხვევითობაა თუ კანონზომიერება? შეცდომაა თუ შეგნებული არჩევანი? თავად იმდენი უფიქრია ამაზე, რომ საცა სამართალია, პასუხიც უნდა ეპოვნა, მაგრამ... თქვენ კი გაქვთ პასუხი? ან იქნებ დროის მანქანასა და ცხოვრების თავიდან დაწყებაზე ოცნებობთ? ოცნება კარგია, მაგრამ ჩვენს გმირს დროის მანქანა არ სჭირდება, რადგან წარსულის დაბრუნება არაფერს შეცვლის — ისე იცხოვრა, როგორც შეეძლო, იმ რწმენით იარა, რაც გააჩნდა და მართლაც ხელახლა რომ მოუხდეს ყველაფრის თავიდან დაწყება, საკუთარ ბუნებას მაინც ვერაფერს მოუხერხებს. „თავსა ახლად ვერვინ იშობს“, ასე არ არის? დროის მანქანას კი ნუ ვინატრებთ, არამედ ვინატროთ, რომ ყველას თავისი შინაგანი ბუნების შესაბამისად ეცხოვროს და გამართლებოდეს — კომპრომისის გზით მიღწეული ბედნიერება თავის მოტყუებაა!

„სხვანაირი ბავშვი“ — თავიდანვე ასე მონათლეს იგი, თუმცა ვერავინ ახსნა, მაინც რით გამოიხატებოდა მისი განსხვავებულობა. იქნებ, თვალშისაცემად მშვიდი და მორიდებული იყო? მოზრდილივით სერიოზული და მორცხვი გოგონა თითქმის არასოდეს ცელქობდა, არ ჭირვეულობდა, ნაკლებად ახასიათებდა ბავშური უშუალობა და ძნელად უახლოვდებოდა უცხოებს. მშობლებისათვის სანიმუშო შვილი გახლდათ — დამჯერე და მორჩილი, დასჯითაც მხოლოდ ერთხელ დასაჯეს, მერე ეს აღარ დაუმსახურებია. სკოლაში თითით საჩვენებელი მოსწავლე იყო — არა მარტო ნიჭიერი, არამედ შრომისმოყვარე და დისციპლინირებული. რა აკლდა? ალბათ, ცოტა მეტი „დოზით“ უნდა ეგრძნო ბავშვობა, უფრო ხალისიანი, უშუალო და ნაკლებად სერიოზული უნდა ყოფილიყო, ვინ იცის... სტუდენტობამ ბევრი რამ შეცვალა: საგრძნობლად გაიზარდა ახლობლებისა და ნაცნობების რიცხვი, გაჩნდა ნამდვილ მეგობრებთან ურთიერთობით მიღებული სიხარული, უდიდესი პასუხისმგებლობა მომავალი პროფესიის მიმართ, მაგრამ არ გამქრალა ის, რაც ბავშვობიდანვე იყო კოდირებული მასში: მორიდებულობა, სერიოზულობა, ტრადიციების პატივისცემა. რა აკლდა? ალბათ, ახალგაზრდული დაუდევრობა, სილაღე, სიურპრიზებით სავსე ხასიათი, თავდავიწყების ნიჭი, ლამაზი სისულელეების ჩადენის უნარი.

ასე გავიდა დრო... სკოლასა და კერძო გაკვეთილებზე გადანაწილდა მისი ცხოვრება. ჯიუტად უსურვებდნენ ოჯახის შექმნას, ქალურ ბედნიერებას, მაგრამ უსიყვარულოდ გათხოვება ფიქრშიც კი არ დაუშვა, სიყვარული კი თევზივით უსხლტებოდა ხელიდან — უამრავ თაყვანისმცემელთაგან, რატომღაც, ვერცერთ მათგანს ვერ დაერქვა „შეყვარებული“, ვერ შედგა რომანი. პანიკურად ეშინოდა შეცდომის, გაუთვალისწინებელი შემთხვევის, შესაძლებელი მარცხის — გარანტია სურდა, ასპროცენტიანი გარანტია, რომ მოვლენები სწორედ ისე განვითარდებოდა, როგორც თავად წარმოედგინა. ეჰ, აბა ვის შეუძლია წინასწარ ივარაუდოს და დაგეგმოს ხვალინდელი დღე...

ამასობაში მრჩეველთა მთელი გუნდი დაესია და ბავშვის გაჩენაზე გადაუკრეს სიტყვა, — ვინმე ხომ უნდა გეძახდეს „დედასო“. — ბავშვი რომ ენას ამოიდგამს და „დედას“ იტყვის, იქვე „მამა“ უნდა თქვასო, — ასეთი იყო მისი პასუხი და საკუთარი მარტოობის შესავსებად ბავშვის გაჩენა არც უფიქრია. ბავშვი სრულფასოვან ოჯახში უნდა გაიზარდოს, სრულფასოვანი ოჯახი კი სიყვარულით იქმნება. სიყვარულის მოლოდინში იფურცლებოდა კალენდარი და თაყვანისმცემლებს ისევ აფრთხობდა მისი სერიოზულობა, გონიერება, ხაზგასმული ძლიერება. ისეთებიც იყვნენ, სწორედ ამ ძლიერებით რომ იხიბლებოდნენ და მის ფრთებქვეშ სურდათ შეყუჟვა, მაგრამ მათ თავად ქალი არ წყალობდა, რადგან სხვაგვარად წარმოედგინა წყვილის ურთიერთობა, აღიზიანებდა ცოლის ჩრდილს ამოფარებული კაცების არსებობა. თანაც, გარეგნული ძლიერების საფარქვეშ ნაზი, მგრძნობიარე და საკუთარ თავში დაეჭვებული არსება იმალებოდა, რომელსაც თავად სჭირდებოდა საყრდენი.

„მარტოხელა, მარტოსულო ქალბატონო!“, თქვენი პირველი სიყვარულის ისტორია დღევანდელ თინეიჯერებს რომ უამბოთ, უეჭველად სიცილით დაიხოცებიან, რადგან მათი აბსოლუტური უმრავლესობა გაცილებით უფრო თამამი, პრაგმატული და უკომპლექსოა, ვიდრე თქვენ ბრძანდებით დღესდღეობით და თქვენი მაშინდელი განცდები, ალბათ, ჩინურად მოეჩვენებათ.



გონიერი, მომხიბვლელი, სიფრიფანა ქალბატონი კვლავ მარტოა, მარტოობა მტკივნეულია, მაგრამ ყველას ხომ არ შეუძლია „გერლფრენდის“ როლით დაკმაყოფილდეს, ოჯახი კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ საერთო ჭერი არ არის, მის შესაქმნელად სიყვარული და პატივისცემაა საჭირო — ყოველ შემთხვევაში, მისთვის ეს ორი ცნება განუყოფელია. ერთხელ მითხრა, — სოლოს ვერ ვასრულებ, დუეტი კი არ შედგაო. მაშინ ბევრი ვიცინეთ ამ ფრაზაზე. ასეა, სოლო მხოლოდ სიმღერაშია გამართლებული, ცხოვრებაში კი აუცილებლად უნდა არსებობდეს ვინმე, ვინც გეტყვის: „აი, მეორე ხმაც მოვედი!“

ოქროსფერთმიანს სახელით არ ვიხსენიებ. რა მნიშვნელობა აქვს ია ერქმევა თუ ლია, ნათია თუ თათია. იგი ყველგან გვხვდება: ყოველ ქალაქში, ყოველ უბანში, ყოველ ქუჩაზე. იგი ჩემი მეგობარია, იქნებ თქვენიც? ან იქნებ თავად ბრძანდებით „მარტოხელა, მარტოსული ქალბატონი“?

ნამდვილ სიყვარულს გისურვებთ!

**ნინო სიხარულიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# 12 weli, viTarca erTi dRe...


ძვირფასო თანამემამულენო! შეინახეთ „მართალი გაზეთის“ ეს ნომერი. შეინახეთ და წაიკითხეთ 5-6 წლის შემდეგ: თუ ხელისუფლების სათავეში ის პოლიტიკური ძალები მოვლენ, რომლებიც „რუსთავი-2“-ის უკან დგანან, დღევანდელი დღე სანატრელი გაგიხდებათ!

მართალს ყოთვეა, შეეჭნება ტყუილისა შთამშე რად? დ. გურამიშვილი

მართალი გაზეთი

№53(75) 1.11.-4.11. 2001 ფასი 50 თეთრი

„რუსთავი-2“-მა საქართველოს წინაშე პასუხი უნდა აგოს თუ მის მიერ აგორებულ პროვოკაციას ქვეყანაში დესტაბილიზაცია და სისხლისღვრა მოჰყვება

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #35

* * *

„მართალი გაზეთი“ №4 (26) თებერვალი. 2001 წ

ანა არმიდა ლენორმანი (ფრაგმენტი ინტერვიუდან): — „პრეზიდენტის (შევარდნაძეზეა საუბარი) გადადგომა კარგს არაფერს მოუტანს საქართველოს, რადგან მისი შემცვლელი ანტიქრისტე იქნება.

— კონკრეტულად, ვინ შეცვლის შევარდნაძეს?

— ჟვანიას ამ სავარძელთან არ მიუშვებენ, ამიტომაც ელის საფრთხე. არა მხოლოდ მას, „მოქალაქეთა კავშირსაც“ დაწიხვლას მოუნდომებენ. მოსალოდნელია მძაფრი ბრძოლები. მმართველი პარტიიდან საუკეთესო ძალების გადაბირება დაიწყება. ამ ტალღაში ახალგაზრდულ მოძრაობასაც ჩაითრევენ. 2000 წლიდან 2003 წლამდე დაძაბულობა გაღრმავდება — ეს პრეზიდენტის მოღვაწეობის ბოლო 5 წლიანი პერიოდია, ხალხი კი, არ ითმენს მის დასრულებამდე. პრეზიდენტს უნდა, რომ ბოლომდე გაუძლოს, მაგრამ თუ ამას ვერ შეძლებს, 2003 წელს ტახტს ანტიქრისტე დაეუფლება. რაც უნდა უკმაყოფილო ვიყოთ, შევარდნაძე ანტიქრისტე არ არის...

— რაიმეს შეცვლა თუ შეგვიძლია, რომ კატასტროფა ავიცილოთ თავიდან.

— ამისთვის გონიერი მოქმედებაა საჭირო და არა ქუჩაში გამოსვლა, გზების გადაკეტვა და ყვირილი, პენსიები მოგვეცით, შუქი მოგვეცით, თუმცა, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ადამიანები წონასწორობიდან არ გამოიყვანოს. ეს დემონური ძალების ზემოქმედებაა და თუ ამას ავყვებით, ქვეყანას დავღუპავთ.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ჩვენს პრეზიდენტზე ფსიქოლოგიური თავდასხმა მზადდება!

ერთ-ერთი მათგანი კარგა ხნით დაგვამახსოვრებს თავს. ის თავდაყირა დააყენებს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას., წარუშლელ კვალს დატოვებს ხალხის მეხსიერებაში და სისხლის ასოებით შევა მისი სახელი ჩვენს ისტორიაში. მისი მოსვლით საქართველოში იწყება „ახალი ეპოქა“.

ბევრი ახლანდელი ცნობილი პოლიტიკოსის სახელი სულ მალე ისტორიას ჩაბარდება. მათი ეპოქა დასასრულს მიუახლოვდა. არ მინდა მოსახლეობას გული დავწყვიტო, მაგრამ ჯერჯერობით არანაირი დადებითი ძვრები არ არის მოსალოდნელი და გარკვეული პერიოდი უარესობისკენაც წავა საქმე. 2004-2005 წლებამდე შავი ღრუბელი აწევს საქართველოს. მოსალოდნელია კვლავ ქაოსი, არეულობა, ნოემბრის თვეში მომხდარი გამოსვლების მსგავსი აქციები...“

როგორ განვითარდა 2003 წლის 22 ნოემბრის ღამე, ახლა,



ამას, დიდი მიშვნელობა არ აქვს იმ მხრივ, რომ მოსახდენი უკვე მოხდა — ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების არა პირველი, არამედ მეოთხე მცდელობა, რომელიც ამჯერად წარმატებით დამთავრდა.

„მართალი გაზეთი“ №32 (152) ნოემბერი 2003 წელი.

„12 წლის წინათ კანონიერი ხელისუფლება და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი იარაღის ძალით დაამხეს. 12 წლის შემდეგ, მათ შორის „დიქტატორ“ გამსახურდიას დამამხობლებმაც აღიარეს, რომ ეს იყო საბედისწერო შეცდომა, რომელმაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა, ქვეყნის ნგრევა და პარტახი გამოიწვია.

2003 წელს საქართველომ იგივე, ოღონდ, მისი „ხავერდოვანი„ ვარიანტი, შეცდომა გაიმეორა და ამ შეცდომის აღიარებას კიდევ 12 წელი თუ დასჭირდება, გამოდის, რომ ქართული სახელმწიფო ნორმალურ ცხოვრებას მხოლოდ 2015 წლიდან დაიწყებს.

სააკაშვილი იმ დროისთვის უკვე 48 წლის დაღვინებული პოლიტიკოსი იქნება...

ჟვანია 55 წელს მიტანებული პოლიტიკოსი და შეიძლება, უკვე ბაბუაც იყოს...

ქალბატონი ნინო ბურჯანაძე 12 წლის შემდეგ უსათუოდ იქნება ბებია და სამივე მათგანი აუცილებლად, ხაზგასმით ვამბობთ, აუცილებლად იტყვის, რომ მათ 12 წლის წინათ მძიმე, ძალზე მძიმე შეცდომა დაუშვეს, რომელსაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის გარდა, კიდევ სხვა რეგიონების დაკარგვა და საბოლოო ჯამში ქართული სახელმწიფოს დაშლა მოჰყვა.

თუ დღეს გონებასა და კანონს არ მოვუხმობთ, 12 წლის შემდეგ პატარ-პატარა რესპუბლიკებად დაშლილ საქართველოში, ერთი კი არა, ბევრი „პრეზიდენტი“ იქნება — პრეზიდენტი ნინო, პრეზიდენტი მიშა, პრეზიდენტი ზურაბი, პრეზიდენტი ქემალი, პრეზიდენტი სურენი და ა.შ

დიახ, „პრეზიდენტი“ ბევრი იქნება, მაგრამ არ იქნება საქართველო, ერთიანი, ძლიერი საქართველო, რომელიც მავანთა და მავანთა დაუცხრომელ მადას გადაჰყვა...

დაიმახსოვრეთ ჩვენი სიტყვები ძვირფასო ქართველებო და 12 წლის შემდეგ „მართალი გაზეთის“ ეს ნომერი მოძებნეთ, თუმცა, ღმერთმა ქნას, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდეს.“

მივუბრუნდეთ 2001 წლის ოქტომბრის თბილისს, მოვლენებს, რომლის მონაწილე, ნებსით თუ უნებლიედ, ყველა ჩვენგანი იყო, რადგან ტელეკომპანია „რუსთავი-2“ მუშაობის სადღეღამისო რეჟიმზე იყო გადასული და უწყვეტად გადაიცემოდა პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე მიტინგის მსვლელობა.



გ. ლომაძე „ენითხუროები“

„2001 წლის ოქტომბერში თბილისში სტუდენტური მღელვარებისას ჟვანია-სააკაშვილი მოსკოვში აღმოჩდნენ. პარლამენტის თავმჯდომარემ სავიზიტოდ პარლამენტური საქმიანობა მოიმიზეზა, სააკაშვილმა კი, ალიბად, ანუ საზოგადოებისთვის თვალის ასახვევად, კიევში, „ალმა-მატერის“ — კიევის უნივერსიტეტის მონატრება მოიფიქრა. მაგრამ, სანამ მისი ვერსია ფეხს მოიკიდებდა საზოგადოებაში, ქართველი ჟურნალისტების ერთი ჯგუფისათვის, მის ვითომდა კიევში გამგზავრებამდე ცნობილი გახდა, რომ სინამდვილეში იგი მოსკოვს მიეშურებოდა. რა თქმა უნდა, იმავე ჟურნალისტებმა ბატონი მიხეილი მისთვის უხილავი ყურადღების ცენტრში მოაქციეს.

ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი მოსკოვში ზუსტად იმ დროს აღმოჩდნენ, როცა თბილისში სტუდენტთა მღელვარებამ პიკს მიაღწია და მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებით პერმანენტულად აჩვენებდნენ ამ მოვლენების ამსახველ ტელესიუჟეტებს. რაც შეეხება ქართულ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ს“, მისი კამერები სადღეღამისო რეჟიმზე გადავიდა და უწყვეტად გადასცემდნენ ეთერში მიტინგის მიმდინარეობას საქართველოს პარლამენტის წინ.

როგორც ამ საქმით დაინტერესებული ჟურნალისტები აღნიშნავენ, მოსკოვში ჟვანიაც და სააკაშვილიც რუსეთის მთავრობისა და სახელმწიფო სათათბიროს გარკვეულ წრეებს შეხვდნენ და აცნობეს საქართველოს პრეზიდენტის გადაყენების პროცესის დაწყება, რისი წარმატებით დასრულებისთვის მატერიალური და პოლიტიკური მხრადაჭერა მოითხოვეს. აი, რას წერს ამის შესახებ რუსეთის პროკრიზისული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი ვახტანგ ჭკუასელი:

— „ჟვანია-სააკაშვილი-პრიმაკოვის ურთიერთობა უფრო ჟვანიას იმედებზე იყო დამყარებული, რადგანაც, პრიმაკოვი, როგორც აღვნიშნე, შევარდნაძის



პირადი დაუძინებელი მტერია. „ახალგაზრდა რეფორმატორებმაც“ საქართველოს წინაალმდეგ დაწყებულ კამპანიაში ისევ გავლენიან პიროვნებებზე „ჩაბარება“ არჩიეს. სააკაშვილი თვითონ ჩამოვიდა მოსკოვში პრიმაკოვთან იმ ფულის მისაღებად, რომელსაც ჟვანიას შეპირდნენ რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტში, რომლის დირექტორს, ევგენი კოჟოკინს, ჟვანია, უბრალოდ, მიეყიდა.

ადრე, ჟვანია შეხვდა კოჟოკინს და გადაწყდა, რომ არკადი ვოლსკის სტრუქტურის ბიზნესმენებისგან ფულს მიიღებდა შევარდნაძის ჩამოსაგდებად და საქართველოში მორიგი დესტაბილიზაციის ასაგორებლად. დიახ, ამაში პრიმაკოვის ხელიც ერია.

კოჟოკინ-პრიმაკოვს შორის უბრალო დაქვემდებარების პრინციპი მოქმედებს. ეს ინსტიტუტი პრიმაკოვის შექმნილი სტრუქტურაა რუსეთის საგარეო დაზვერვის სფეროში მისი აქტიური მოღვაწეობის დროს.

მოსკოვში ვიზიტისას ჟვანიამ პოლიტიკური ბრძოლა თავის თავზე კი, აიღო, მაგრამ თბილისში დაბრუნებულმა თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პრიმაკოვს არ უყვარს ამერიკაზე გაგიჟებული ხალხი. ცნობილია, რომ მას არ უყვარს ჩუბაისი, ნემცოვი...

ჟვანია-სააკაშვილის ვიზიტების შემდეგ, პრიმაკოვთან მივიდა სათანადო ინფორმაცია ამ „ლიდერების“ პოლიტიკური უსუსურობის თაობაზე და ამ ვაჟბატონებს მოსკოვი, უბრალოდ, აღარ ენდო. პრიმაკოვს ნაკლებად აინტერესებდა მათი პერსონები, მისთვის მთავარი იყო შედეგი, ეს შედეგი კი, არ ჩანდა და დაპირებული თანხაც, მოსკოვში ვიზიტის დროს სააკაშვილმა ვერ მიიღო.“

**მაია ჭელიძე**

(გაგრძელება იქნება)

# Tu qveyanam Tavisi warsuli da tradiciebi ar gaixsena, mas momavali ar eqneba

*ვესაუბრებით კინორეჟისორს, ბატონ გიორგი შენგელაიას.*

**— ბატონო გიორგი, როგორც რეჟისორი და როგორც მოქალაქე, რას ურჩევდით, როგორ მიმართავდით ამომრჩევლებს?**

— მე ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიტყვი სათქმელს, ჩვენი, ყველას მთავარი მიზანი ახლა არის შევცვალოთ მიხეილ სააკაშვილი. ახლა გვაქვს ყველაზე მეტად ამის რეალური შანსი. ბატონი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ პოლიტიკურ ასპარეზზე ოპოზიციას რეალური ძალა შესძინა, რაც მას, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, აქამდე არ ჰქონია.

მინდა მივმართო საზოგადოებას, იმ ხალხს, ვინც კიდევ ეჭვებშია და ყოყმანობს, ხომ ყველა უყურებს მხატვრულ კინო და ტელეფილმებს ტელევიზიითა თუ კინოეკრანებზე, ხომ კარგად არჩევენ ერთმანეთისგან დადებით და უარყოფით გმირებს, არა მარტო მათი მოქმედების, საქციელის, მათი გარეგნობისა და იერიდან გამომდინარეც. შე კაი დედმამიშვილო, თუ ფილმის გმირს ატყობ ვინაა და რისი გამკეთებელი, რეალურად მოქმედ ადამიანებსაც დააკვირდი. მით უმეტეს პოლიტიკოსებს, ეგენი ხომ ეკრანებიდან არ ჩამოდიან. შეხედეთ ბიძინა ივანიშვილს. არაა ეს ადამიანი მატყუარა და თაღლითი. ეს კაცი გულწრფელია, მისი სახე ამაზე მეტყველებს. ასევე კარგად დააკვირდით მიხეილ სააკაშვილსაც. თავიდან ფეხებამდე ყალბია მისი გარეგნობა, ნიღაბი აქვს სახეზე. ასევე ყალბი და ფასადურია მისი პოლიტიკა. მარჯანიშვილი რომ ვითომ გაალამაზეს, თქვენ ახლოდან უნდა ნახოთ. კედლებს გარედან კარდონი აქვს აკრული, ერთი ხელის დაკვრით დაიშლება, ეს გახლავთ სააკაშვილის პოლიტიკის სიმბოლო: ყველაფერი ფასადური, ზედაპირული და მოჩვენებითი.

ბიძინა ივანიშვილის მიტინგებს თვალყურს ვადევნებ. ყველგან — თბილისსა თუ რეგიონებში მასთან მიდის უამრავი ხალხი, საზოგადოება, ვისაც არ აქვს ანგარება, დაინტერესება, ვისაც სჯერა, რომ არის ადამიანი, ვინც მათზე იფიქრებს. უბრალო ადამიანებს იმედი გაუჩნდათ, რომ ეს კაცი მათზე იზრუნებს. ამას შეადარეთ სააკაშვილის სირბილი დაქირავებულ ტაშის დამკვრელებთან ერთად, გულისამრევია. არ რცხვენია? ან იმ ხალხს არ რცხვენია თავს რომ იმასხარავებენ? საერთოდ, რითი ამაყობს, რა მიღწევებით? ასლარიანი პენსიით? როცა აქვე, მეზობელ აზერბაიჯანში, პენსია სამასი დოლარია, სომხეთში ორასი დოლარი, ან კიდევ საშინელ ქანდაკებებს რომ დგამს, უხარისხო გზებს რომ აგებს... ან სასამართლოს რა უყვეს. ამერიკა, ამერიკაო — რომ გაიძახის. ამერიკაში მოსამართლეს მეტი უფლება აქვს, ვიდრე პრეზიდენტს. კაცისმკვლელების სახეები აქვთ ჩვენს მოსამართლეებს. ესენი არიან თემიდას მსახურები? მე, როგორც რეჟისორი, ვიტყვი, რომ საშინელებათა ფილმებისთვის გამოდგებოდნენ. ფული უამრავი აქვს, იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ჩვენ გვგონია. გასცემს განკარგულებას, მომიტანეთ ამდენი — მიართმევენ. მერე გადაიხდის ისე, როგორც თვლის საჭიროდ, შემოიკრებს დაქირავებულ ხალხს და აწყობს უნიჭო შოუებს.



მიხეილ სააკაშვილი ოდესღაც დასჭირდათ ამერიკელებს. მათ, ასე ვთქვათ, მობეზრდათ შევარდნაძესთან თარჯიმნის მეშვეობით ლაპარაკი და არჩევანი გააკეთეს ინგლისური ენის მცოდნე ბიჭებზე მიშაზე, ჟვანიაზე და მათნაირებზე. ამერიკაში მიიღო განათლებაო, — რომ გაიძახიან, რაში ჩანს მაგის ნასწავლობა, რაიმეს ციტირებასაც ვერ ახდენს ნორმალურად. სხვებს რომ დასძახის, რუსეთის აგენტი ხარო, თვითონ რამდენნაირად იყო „დავერბოვკებული“, ვერ გაიგებ.

**— ბატონო გიორგი, „ჩარეცხილების“ თემაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა, რუსეთის აგენტებს გვერდით ეს ყბადაღებული ტერმინი ჯერჯერობით არ კარგავს აქტუალობას...**

— მოგეხსენებათ, მეც მათ რიგებს მივეკუთვნები. ეს, მგონი, ყველას ჩარეცხილებად თვლის, ვინც 2003 წლამდე არსებობდა. უკან მოხედვა არ გვინდაო, — გაიძახიან. ამათ საერთოდ არაფერი არ უნდათ ჩვენი წარსულიდან. თუ ქვეყანამ თავისი წარსული და ტრადიციები არ გაიხსენა, მას მომავალიც არ ექნება. ეს ძალიან კარგად იციან ევროპელებმა. ამათ რომ უსმინო, ჩვენ ყველაფერზე — ტრადიციაზე, ისტორიაზე, წარსულზე უარი უნდა ვთქვათ.

ახლა მინდა პასუხი გავცე თქვენს მთავარ შეკითხვას, რას ვეტყოდი ამომრჩეველს. მე რაღაც გამიკეთებია ჩემს ცხოვრებაში, ვარ ნიკოლოზ შენგელაიას და ნატო ვაჩნაძის შვილი, ამიტომ ჩემს თავს ვაძლევ უფლებას მივმართო გარშემომყოფებსაც და საზოგადოებასაც: მოდით არჩევნებზე, ასე იოლად ნუ ექცევით დემაგოგიის გავლენის ქვეშ. მოდით არჩევნებზე, ეს აუცილებელია!

**თამუნა ქადაგიძე**

# saiT mivdivarT?...

მას შემდეგ, რაც ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრი გახდა, შეიქმნა დასაქმების არა სამინისტრო, არამედ დასაქმების სახელმწიფო მინისტრის პოსტი. მანამდე გვქონდა სამინისტრო, რომლის ერთ-ერთი უფლება და მოვალეობა იყო დასაქმება. სახელმწიფო მინისტრად დაინიშნა პიროვნება, პროფესიით ექიმი, შემდგომში გზების, ესტაკადების მშენებლობის ერთ-ერთი მამა, ბატონი პაატა ტრაპაიძე, რომელსაც სახელმწიფოსაგან მისი, როგორც სახელმწიფო მინისტრის საქმიანობისა და აპარატის ხელფასებისა და სხვადასხვა ხარჯებისათვის 900 000 ლარი გამოყო ბიუჯეტიდან. დასაქმების მიზნით ეწყობა ასეულობით სოციალური მუშაკების გადამზადება (ტრენინგები). იქმნება სხვადასხვა, დაახლოებით 80-მდე გადამზადების ცენტრი. ხარჯი ხარჯს ემატება დღემდე, ადრე კვალიფიკაციაშეცვლილი ე.წ. დატრენინგებული ადამიანებიდან არავინ დასაქმებულა.

მე, ნამდვილად, არ მაქვს იმის იმედი რომ ეს ადამიანი ვინმეს დაასაქმებს, რადგან ეს არის წინასაარჩევნო პიარი და თანხების არამიზნობრივი ხარჯვა. რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრი შეხვდა მეცნიერთა ჯგუფს კერძოდ, ვეტერინარებს და დაიწყო პირუტყვის აცრა და დანომრვა. ეს არ არის ნოუ-ჰაუ. ამას დასაქმების სახელმწიფო მინისტრის პოსტის შემოღება რაში სჭირდებოდა?

დღესდღეობით, ფაქტიურად, არ არსებობს არც ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხებზე მუშაობდეს. არსებობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ეს ინსტიტუტები. ამის შემდეგ აკადემიას ჩამოაშორეს ეს ინსტიტუტები. ჩამოართვეს მიწები და აკადემია დარჩა მარტო, როგორც თევზი წყლის გარეშე.

**რევაზ ფახურიძე**
სამტრედია

# Temur xubuluri:
## Tu Cempionobas kacoba ar axlavs, arafrad varga arc is oqros medali da arc Tanamdeboba

გვესაუბრება ევროპის სამგზის ჩემპიონი ძიუდოში, პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი (ორგზის, 1979-1981 წლებში), ორჯერ სსრკ ჩემპიონი, ერთხელ საკავშირო სპარტაკიადის გამარჯვებული. 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი თემურ ხუბულური.

**— ბატონო თემურ, მოდით, ჩვენი საუბარი წლევანდელი ოლიმპიური თამაშებით დავიწყოთ, რომელიც დარჩება ისტორიაში არამხოლოდ ერთი ოქროს მედლით, არამედ იმით, რომ ბეთქილ შუკვანმა ასპარეზობა არალეგალურად და მიატოვა...**

— ყველაზე სამარცხვინო ის გახლავთ, რომ ადამიანს, რომელსაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება აქვს, ასე აბუჩად იგდებენ. მწყობრიდან გამოჰყავთ მეტად საპასუხისმგებლო მომენტის წინ. ფაქტობრივად, ბეთქილ შუკვანმა დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლა განიცადა იმ ასპარეზობის წინ. ალბათ, განწყობაც უკვე აღარ ჰქონდა. სპორტში, ყველას მოეხსენება, წაგება და მოგება ძმები არიან. მსაჯობის საკითხში კი, მართალია სპორტის მინისტრს ან სხვა ოფიციალურ პირს ჩარევის უფლება არასდროს არ ჰქონია, მაგრამ პროტესტის გამოხატვა მწვრთნელს შეეძლო. დაანებოთ თავი სპორტულ მხარეს. მთავარი საკითხი სპორტულ ასპარეზობამდეა, როგორ შეიძლება სპორტსმენი, რომელიც მიდის ოლიმპიურ თამაშებზე და იმას უშვერი სიტყვებით, ამკობდნენ? ჩემი აზრით, კაცები ასე არ იქცევიან.



**— საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას დღემდე არ გაუკეთებია შუკვანის ფაქტზე კომენტარი, არაფერს ვამბობ ვითარების განეიტრალებაზე.**

— როდესაც ადამიანი ბრალს სდებს ვინმეს — „ბიძინისტს“ მეძახდნენ ჯერ კიდევ თვითმფრინავშიო, ხომ უნდა თქვას, რომ ან იყო მსგავსი ფაქტი, ან უარყონ. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მსგავსი ფაქტები ნამდვილად ხდება, თუმცა ყველა მალავს ამას. საბოლოოდ ვიღებთ იმას, რაც ქართულ ანდაზაშია „კაცმა ჭირი მალაო, ჭირმა თავი არ დამალაო“. ასე არ შეიძლება. ეს ჩვენი, პირველ რიგში, სპორტსმენების სირცხვილია! არჩევნები ჩაივლის და ამ ქვეყანაში ჩვენ უნდა ვიცხოვროთ. ჩემი აზრით, მედალს ორი მხარე აქვს — ერთი ჩემპიონობის, მეორე — კაცობის. თუ ჩემპიონობას კაცობა და ადამიანობა არ ახლავს, არაფრად ვარგა ის ოქროს მედალი, არც თანამდებობა.

**— პირადად თქვენ თუ შეგხებიათ დღევანდელი ხელისუფლების „კლანჭები“?**

— სამწუხაროდ, ბევრი შეურაცხყოფა მიმიღია იმ ხელისუფლებისგან. სპორტის მინისტრი ლადო ვარძელაშვილი 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს მთელ დღეს „რუსთავი-2“-ის არხზე მაკრიტიკებდა, თითქოს მე ხალხს ვაგინებდი და შეურაცხყოფას ვაყენებდი, სინამდვილეში მაშინ მხოლოდ ჩემს სოფელში ჩაველი, მივედი საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად, მაგრამ ამომივარდა ვარძელაშვილი, რომელიც მაშინ შიდა ქართლის გუბერნატორი იყო და პოლიციის სამმართველოს უფროსი... ფაქტობრივად, გამომაგდეს არჩევნებიდან. სიმართლე გითხრათ, მაგათ არც ვიცნობდი წესიერად, როგორც გითხარით, ხმის მისაცემად ვიყავი მისული, თანასოფლელებს ველაპარაკებოდი. მეგობარმა დამირეკა — ხომ არ დაგიჭირესო. ჯერ ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა, მერე თქვა: ტელევიზიით ისეთ სიუჟეტებს გადმოსცემენ, ვიფიქრე დაგიჭირესო. მართლაც უნდოდათ ჩემი დაპატიმრება, პროვოკაციაზე მიდიოდნენ, რომ ვიღაცისთვის ხელი დამერტყა. რამდენი წელია მიცნობთ და ჩემი უზრდელობა გაგიგიათ? ისე დავითრგუნე, რომ ორი კვირა სახლიდან ველარ გამოვდიოდი. არ შეიძლება ადამიანებს ასე მოექცე.

**— რამდენადაც ვიცით, დღევანდელი ხელისუფლება თავიდან თქვენს მიმართ კეთილგანწყობით იყო. რა მოხდა შემდგომ?**

— 2003 წელს ჯერ კიდევ ოპოზიციაში მყოფი სააკაშვილი ტელევიზიით ამბობდა: „სადაც თემურ ხუბულური უმუშევარია, ის ქვეყანა არ არისო“. ქვეყნის სათავეში რომ მოვიდა, გორის „წისქვილკომბინატში“ ვმუშაობდი კომერციული დირექტორის მოადგილედ. რუსეთში, კერძოდ, სტავროპოლში ვიყავი ხორბლის ჩამოსატანად. დირექტორმა დამირეკა და მითხრა, ჩამოდი, კომბინატი უნდა ჩავაბაროთო. გამიკვირდა, ვკითხე — როგორ, რას ჰქვია ჩავაბაროთ-მეთქი. ასეა, შენ ხომ ნაციონალებს უჭერდა მხარს, ჩამოდი და გავარკვიოთო. ჩამოვედი და მაშინდელმა შიდა ქართლის გუბერნატორმა მიხეილ ქარელმა მითხრა: „ოთხჯერ დამირეკა სააკაშვილმა და მკითხა, რას შვრებიან, „წისქვილკომბინატს“ არ გვაბარებენო. წაიკითხავს და თუ ნამუსი აქვს ქარელს თავად დაადასტურებს ამ სიტყვების სიმართლეს.

**— რა მიზეზით ჩააბარონო, არ უთქვამთ?**

— მიზეზი არ უთქვამს. უბრალოდ, გვიხრა, უკანონოდ გქონიათ შეძენილი. თუმცა იმ საწარმოს აშენებაში დიდი წვლილი მეც მიმიძღვის, მაგრამ შემდგომ ვიღაცებმა შეიძინეს და იქ ახლა გორელი არავინ მუშაობს. დაისაკუთრეს მათ, ვინც ამ ხელისუფლებასთან დაახლოებულია. წეღან მკითხეთ, რა გახდა განხეთქილების მიზეზიო. ირაკლი ოქრუაშვილი გორელი იყო, ვიცნობდი. მერე აგორდა ხმები, მის მხარდამჭერ მიტინგზე იყოო. შემდგომკვირას შეურაცხყოფა დაიწყო „ძმები ხუბულოვებიო“, — ამბობდა. თვითონ აქვთ გვარები გადაკეთებული და სხვებზე ამბობენ. ამ არჩევნების დროს მითხრეს — თუ არ წახვალ სოფლიდან სასწრაფოდ, ძველ ახალ წელს ციხეში შეხვდებიო. გაგიგიათ ასეთი რამე? ასე მაშანტაჟებდნენ!

**— დღეს გორში ბევრ სიბინძურეს აკეთებს დღევანდელი ხელისუფლება. თუნდაც ის ფაქტი, როდესაც ერთი ქალი გამოიყვანეს „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, მაგრამ შემდგომ ის უკიდურესად გაჭირვებული ოჯახის წარმომადგენელი აღმოჩნდა. სინამდვილეში რა ვითარებაა გორში?**

— იქაური მაცხოვრებლები გვხვდებიან და გვეუბნებიან, ჩვენ ვიცით, ვინ უნდა შემოვხაზოთ არჩევნებზე, მათ შორის პრობაციონერებიც არიან. ამბობენ, მთავარია, თქვენ დაიცავით ხმებიო. ნაციონალებს არ აინტერესებთ, ვინ იყავი, რა გაგიკეთებია ქვეყნისთვის, მთავარია, ფული გამოსძალონ ხალხს ნებისმიერი საშუალებით. სააკაშვილი გვამადლის, ამდენი და ამდენი საქმე გავაკეთეო. დალოცვილო, იმიტომ აგირჩიეთ, საქმე გაგეკეთებინა. თუმცა რაც გაკეთდა საქართველოში, ბიძინა ივანიშვილის გაკეთებულია და ეს აბრალებს. აი, ესაა უბედურება.

**გია ბურდული**

# სისხლის გაწმენდა

ორგანიზმში საკვებით, წყლით და ჰაერიდან ათასობით უსარგებლო ნაწილაკი და მომწამლავი ნივთიერება ხვდება. ვიდრე ადამიანი ახალგაზრდაა და აქტიური, მისი იმუნური სისტემა ღირსეულად იგერიებს მათ შემოტევას, მაგრამ ასაკთან ერთად სხეულის მთავარ „დამლაგებლებს": თირკმელებს, ფილტვებსა და ღვიძლს – უძნელდებათ დაკისრებული ფუნქციების შესრულება, ორგანიზმის დამცავი ძალები სუსტდება და ორგანიზმში გროვდება მავნე ნაწილაკები. მათ ნეგატიურ ეფექტს აძლიერებს სტრესი, არასწორი კვება, გამოუძინებლობა და დაბინძურებული ეკოლოგიური გარემო.

სწორედ ასეთ დროს არის საჭირო სისხლის გაწმენდა, რომელიც, ფაქტობრივად, უსარგებლო ნაერთების მთავარ საწყობს წარმოადგენს.

სისხლის გაწმენდა საკმაოდ ფართო ცნებაა და სამკურნალო პროცედურათა მთელ კომპლექსს აერთიანებს.

ყოველივე ორი ძირითადი გზით მიიღწევა: სამედიცინო და ხალხური, ე.წ. შინაურული მეთოდებით.

სამედიცინო მანიპულაციებისას წარმოებს სისხლის, ერითროციტული მასის კომპლექსური დამუშავება ან პლაზმის უჯრედული მასისგან დამოუკიდებელი წმენდა.

### როდის არის საჭირო:

– ხშირი გაცივებისას;

– ჰაიმორიტისა და ცხვირის დანამატი ღრუების ანთებისას;

– ფურუნკულოზისა და კანზე გამონაყარის დროს;

– არაჯანსაღი სუნთქვისას;

– სხეულიდან უსიამოვნო სუნისას;

– მენსტრუალური ციკლის დარღვევისას;

– შარდ-სასქესო ინფექციებისას;

სისხლში ტოქსინების დაგროვება ხშირად ხდება დეპრესიის, გონებრივი და ნერვული მოშლილობების მიზეზი.

ზოგჯერ ბავშვებში აუტიზმი მძიმე ლითონთა მარილებით მოწავლის შედეგია.

### სისხლის გამწმენდი მცენარეები და პროდუქტები

იაპონიაში, გერმანიაში, საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში, სამკურნალო ბალახებით მკურნალობა გაცილებით მიღებულია და ეს განსაკუთრებით სისხლის გაწმენდა-განახლებას ეხება. ექიმები ყოველ 50 წელს გადაცილებულ ადამიანს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები არ აქვს, უნიშნავენ სისხლის გამწმენდ მცენარეთა ნაკრებს პროფილაქტიკური მიზნით ყოველწლიურად 2-3 კვირის განმავლობაში, რაც საგრძნობლად ამცირებს დაავადების განვითარების ალბათობას და ორგანიზმისთვისაც ძლიერ მარგებელია.

ყველაზე გავრცელებული სისხლის გამწმენდია ე.წ. „წითელი პროდუქტები: ჭარხალი, ყურძენი, მაყვალი, წითელი მოცვი.

* სულ მცირე რაოდენობით გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჭარხლის წვენის დალევა საგრძნობლად წმენდს და აუმჯობესებს სისხლის შედგენილობას.



გამოწურეთ ჭარხლის წვენი და მიღებამდე მაცივარში დადგით 2-3 საათი. დასაწყისში შეგიძლიათ მას ცოტა სტაფილოს წვენი შეურიოთ, შემდგომ კი თანდათან უნდა შეამციროთ მისი წილი.

ჭარხლის წვენის მიღება რეკომენდებულია თვის განმავლობაში დღეში ერთი ჭიქის ოდენობით.

* ჩვენი წინაპრები სისხლის პროფილაქტიკური გაწმენდისთვის ოდითგანვე იყენებდნენ ჩაისა და არაპასტერიზებული რძის ნაზავს.

ახალდაყენებულ ჩაის მაგარ ნაყენს დაუმატეთ 2 სადილის კოვზი რძე. 1დღის 3 საათამდე მისი დალევა შეიძლება უშაქროდ, მოგვიანებით კი შეგიძლიათ ცოტაოდენი ნატურალური თაფლი დაუმატოთ.

* სისხლისა და ლიმფის გასაწმენდად კარგია ნივრის წვენისა და ლიმონის ნაზავი.

400 გრამი ნიორი კარგად დანაყეთ და აურიეთ 800 გრამ წვრილად დაჭრილ ლიმონს. დადგით გრილ ადგილზე. 1 ჩაის კოვზი გახსენით 1 ჭიქა წყალში და კარგად აურიეთ.

უნდა მიიღოთ, ვიდრე არ დამთავრდება. კურსის გამეორება შეგიძლიათ 2-3-ჯერ.

* **ბაბუაწვერას ნაყენი** – გამომშრალი ბაბუაწვერას ფესვები უნდა დაფქვათ. აიღეთ 1 სადილის კოვზი ნედლეული და დაასხით 2 ჭიქა ადუღებული წყალი. გააჩერეთ რამდენიმე საათის განმავლობაში თერმოსში. შემდეგ გადაწურეთ. ნაყენი უნდა მიიღოთ დღეში 4-5-ჯერ. ეფექტი გაცილებით გაიზრდება, თუ მას დალევთ როგორც ჩაის ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, ან ჭამიდნ 2 საათის შემდგომ.

მკურნალობის კურსი ერთი კვირაა.

* **აბზინდა** – 1 სადილის კოვზ აბზინდას დაქუცმაცებულ ბალახს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ დაახლოებით 10-15 წმ, გაწურეთ და დალიეთ 3-4-ჯერ დღეში ჭამამდე.

* **ჭინჭარი** – 2 სადილის კოვზი ჭინჭარი ჩაყარეთ ქვაბში, რომელშიც 2 ლიტრი წყალი დუღს. 3-5 წუთი ადუღეთ და გადმოდგით.

ეს ნაყენი უნდა დალიოთ ყოველდღე დღის 3 საათიდან სარამოს 7 საათამდე. მკურნალობა გრძელდება 2 კვირა. შემდგომ – ორკვირიანი შესვენება და კურსს კვლავ იმეორებთ.

# მათთვის, ვინც ლინზას ატარებს

კონტაქტური ლინზები მხედველობის კორექციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მათ, სათვალესთან შედარებით, რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია: ჩვეულებრივ, სწორად შერჩეული ლინზა თვალის ბადურაზე გაცილებით დიდსა და ხარისხიან გამოსახულებას ქმნის. ამით ზრდის მხედველობის სიმახვილეს, აფართოებს მხედველობის ველსა და ამცირებს მხედველობითი გადაღლის მოვლენებს, ამაღლებს შრომის უნარს.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, დადებითად მოქმედებს ორგანიზმის საერთო მდგომარეობაზე, მაღლდება სასიცოცხლო ტონუსი, ფართოვდება ინტერესების სფერო და ადამიანის შესაძლებლობები; ანუ ლინზები მის მფლობელს არა მარტო უკეთესი ხარისხის მხედველობის უნარს სძენს, მათ ცხოვრების ხარისხსაც აუმჯობესებს.

სამწუხაროდ, ამდენ ღირსებასთან ერთად კონტაქტურ ლინზებს გააჩნია მთელი რიგი უარყოფითი თვისებებიც. ყველაზე სრულყოფილი ლინზებიც კი თვალის რქოვანისთვის მაინც უცხო სხეულად რჩება და ამასთან დაკავშირებით მოსალოდნელია გართულებათა საკმაოდ ფართო სპექტრი, მათ შორის – მეტად მძიმეც.

გართულებებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, ლინზების მეშვეობით, რქოვანაში აირთა ცვლის მოშლის შედეგად განვითარებული ალერგიული რეაქციები და თვალის რქოვანას ინფექციური ანთება.

არასწორად შერჩეული ან მისი არასწორი გამოყენებისას კონტაქტური ლინზა არცთუ იშვიათად თვალის ტრავმის მიზეზიც ხდება.



აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ბევრი მტკიცება აღარ უნდა იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კონტაქტური ლინზების სწორად შერჩევასა და მის სწორ გამოყენებას. ლინზებს სერიოზული მოვლა-პატრონობა სჭირდება.

### გაითვალისწინეთ!

*ლინზების შერჩევის შემდეგ, თითქმის ყოველთვის, თავს იჩენს მასთან შეგუების პრობლემები. ამიტომ სპეციალისტები გვირჩევენ, მათ თანდათანობით შევეჩვიოთ. თუ დისკომფორტის შეგრძნება ჩასმიდან 15 წუთის შემდეგაც არ გაქრა, ლინზები ნამდვილად გამოსაცვლელია.

* პირველ დღეებში შესაძლოა თვალისა და თავის მსუბუქმა ტკივილმა შეგაწუხოთ ან გულისრევის შეგრძნება გაგიჩნდეთ. ნუ შეშინდებით – თუ ლინზები სწორად არის შერჩეული, ეს სიმპტომები რამდენიმე დღის შემდეგ გაივლის;

* ლინზები ინახება მხოლოდ და მხოლოდ სპეციალურ სტერილურ ხსნარში, რომელიც ყოველდღე უნდა გამოცვალოთ. თუ რაიმე მიზეზით ლინზა ვერ მოათავსეთ ხსნარიან კონტეინერში და ის ძლიერ გამოშრა, მათ ხელახლა ვერასდიდებით ველარ დაასველებთ, ამიტომ ისინი უნდა გამოცვალოთ;

* ნურასოდეს მოისინჯავთ ან ატარებთ სხვის ლინზებს;

* მასალა, რომლისგანაც ლინზები მზადდება, ძალზედ ლაბილურია ქიმიური ნივთიერებებისა და ჰაერში არსებული მხამების მიმართ, ამიტომ სუნამოს, დეზოდორანტის ან ოდეკოლონის შესხურებისას არ დაგავიწყდეთ თვალების დახუჭვა.

გარდა ამისა, თუ ლინზებს იყენებთ, ეცადეთ, საათზე მეტხანს არ დარჩეთ ისეთ ოთახში სადაც თამბაქოს ეწევიან ან სხვა წარმოშობის კვამლია.

* ლინზები უნდა ჩაისვათ მაკიაჟის გაკეთებამდე, მოარიდეთ „პაწაწინა თვალის ჩინი" კოსმეტიკურ საშუალებებს, რადგან ცხიმოვანი მალამო და ლოსიონი საგრძნობლად აზიანებს მათ სტრუქტურას.

* რადგან ლინზიანი თვალი უარყოფითად რეაგირებს მტვერზე, ამიტომ ქარიან ამინდში უმჯობესია, კონტაქტური ლინზების ნაცვლად სათვალე გაიკეთოთ.

* ნუ ჩაისვამთ ლინზებს გრიპის ან სხვა რომელიმე რესპირატორული დავადებებისას, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მაღალი ტემპერატურა გაქვთ;

* ლინზების შესანახი ჭურჭელი ან კოლოფი სუფთად უნდა შეინახოთ, ხოლო 3-4 წელიწადში ერთხელ კი საერთოდ აჯობებს, რომ გამოცვალოთ;

* მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ლინზები, რომელთა გამოყენება ძილის დროსაც დაშვებულია, მაინც გირჩევთ, ისინი დაწოლამდე მოიხსნათ.

საქმე ის გახლავთ, რომ დაშვებული ქუთუთო აწვება ლინზას, ის, თავის მხრივ, კლერაზე ახდენს ზეწოლას და ირღვევა თვალის კვება და ინერვაცია. ასეთ დროს ადამიანს დილაობთ სახე ოდნავ შეშუპებული აქვს და სილურჯეც დაჰკრავს;

* თუ ლინზებს მუქ წერტილებს შეამჩნევთ, გვერწმუნეთ, მათ აღარაფერი უშველის, ისინი აუცილებლად უნდა შეცვალოთ;

* სასტიკად აკრძალულია ვადაგასული ლინზების ტარება, რადგან ისინი თვალის რქოვანა გარსის ანთებას – კერატიტს იწვევს.

* კონტაქტური ლინზები რაც შეიძლება მოკლევადიანი უნდა იყოს, არა უმეტეს სამთვიანისა. მართალია, ასეთები ცოტა ძვირია, მაგრამ რქოვანას ჯანმრთელობისთვის აუცილებელია.

* ნახევარ წელიწადში ერთხელ ადამიანი ქუთუთოების ჰიგიენური დამუშავებისთვის უნდა ეწვიოს ექიმს კონტაქტური ლინზების კაბინეტში. გარდა ამისა, ეს ვიზიტი კიდევ ერთხელ მოჰფენს ნათელს იმას, თუ რამდენად სწორადაა შერჩეული ლინზა, რადგან თუ ყველა პირობა დაცულია, ლინზები პრაქტიკულად უვნებელი ხდება.

* ბოლო დროს ასე მოდური ფერადი ლინზების საწინააღმდეგო ექიმებს არაფერი აქვთ, მაგრამ მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ არსებობს ყალბი ლინზებიც, რომლებიც არ შეესაბამება სამედიცინო სტანდარტებს. ამიტომ ერიდეთ ლინზების შეძენას კერძო პირებთან ან საეჭვო დაწესებულებებში.

გვერდი მოამზადა
**ზვიად დონდაძემ**

# მსოფლიო პრესის მიხედვით

## kanonis SerCeviToba _ sxvagvarad moazrovneebis dasadumeblad politikuri xelovneba _ avtoritarizmis winaaRmdeg



თუ გვინდა გავიგოთ, რატომ მიუსაჯეს ახალგაზრდა ქალებს ორი წელი პატიმრობა ,,ხულიგნობისთვის" მას შემდეგ, რაც მაცხოვრის ტაძარში პუტინის საწინააღმდეგო სიმღერა შეასრულეს, მათთვის გამოტანილი ვერდიქტის შესწავლაც კმარა", – წერს **The Guardian**.

რომ არ არსებობდეს ეს ფაქტი, რომელიც თავლაფს ასხამს რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტს, შეიძლებოდა, ეს განაჩენი ,,შავი იუმორის" კატეგორიას მიკუთვნებოდა.

მომხდარმა შესაძლოა, დიდად დააზარალოს ვლადიმერ პუტინი, რადგანაც მისი ავტორიტარული სახელმწიფო ზღვარგადასულ რეაქციას გამოხატავს; ამის ფონზე ,,პრეზიდენტი შეშინებული და გონებაშეზღუდული ჩანს", – ვკითხულობთ სარედაქციო წერილში.

,,პუტინს უმარტივესად შეუძლია ვითარების განმუხტვა – გამოიჩინოს ლმობიერება, გამოაცხადოს შეწყალება, როგორც ამას ითხოვს მართლმსაჯულება ბუნებითი სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით. როგორც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი მალკოლმ რიკფინდი აცხადებს, პუტინის უმოქმედობით რუსეთი რისკავს და შესაძლოა, იგი ,,ნეანდერტალური სახელმწიფო" გახდეს.

,,ძალიან უნდათ შექმნან შთაბეჭდილება, რომ რუსეთის სასამართლო დამოუკიდებელია, ხოლო პოლიტიკური აქტივისტების მიმართ კანონი იმაზე მკაცრი არ არის, ვიდრე დასავლეთის სახელმწიფოებშია; სინამდვილეში კი აშკარაა: კანონს იყენებენ შერჩევითობის პრინციპით და წინასწარგანზრახულად, რათა დაადუმონ სხვაგვარად მოაზროვნეები", წერს **Financial Times.** მომხდარმა უნდა დააფიქროს პუტინი – პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცის ცენტრალიზაციის სტრატეგია, რომელიც ნავთობისა და გაზის შემოსავლებს ეფუძნება, კონტრპროდუქტიულია.

**Pussy Riot**-ის პროვოკაციამ ბევრი მორწმუნე შეურაცხყო. ჯგუფის წევრებმა ბოდიში მოიხადეს. ახლა მათ სულ უფრო მეტი რუსეთელი უჭერს მხარს. **Pussy Riot**-ის გამოხდომამ პუტინის ძალაუფლების შესარყევად უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ოპოზიციამ. აი, რას შეიძლება მიაღწიოს პოლიტიკურმა ხელოვნებამ, რომლის გაგება შესაძლოა არც ისე იოლია", – წერს გამოცემა **The Guardian.**

**Financial Times**

## putinis baqiaoba da saxelmwifos `mtrebi~



,,გაამართლებს თუ არა პუტინის ტაქტიკა?" – ამ კითხვას სვამს გამოცემა და პასუხსაც ეძებს:

,,პუტინის ძალადობრივი ბაქიაობის მიუხედავად, მას აშინებს პოლიტიკურად სხვაგვარად მოაზროვნეობა და მართლაც თავისუფალი არჩევნები. აი, ასე ხდებიან ბლოგერები და როკმუსიკოსები სახელმწიფოს მტრები".

,,მმართველები, რომლებიც დარწმუნებული არიან თავიანთი ძალაუფლების მორალურ ლეგიტიმურობაში ან ხალხის მხარდაჭერაში, ჩვეულებრივ, არ დევნიან ბლოგერებს ან **Pussy Riot**-ის მსგავს ჯგუფებს. ვლადიმერ პუტინი ასეთ მმართველებს არ განეკუთვნება", – ვკითხულობთ **The Wall Street Journal**-ის სარედაქციო წერილში.

გამოცემის აზრით, სინამდვილეში **Pussy Riot**-ის დანაშაული მათივე პოპულარობა გახდა. ტაძარში გამოსვლა ჯგუფის ერთ-ერთი მოულოდნელი პერფომანსი იყო გასულ ზამთარს, როცა ათეულათასობით რუსეთის მცხოვრები დეკემბერში გამართული საპარლამენტო არჩევნების გაყალბებას აპროტესტებდა.

სახელმწიფო სახსრების დატაცებაში ბრალდებული ნავალნის საქმეც, რომლის გამოც მას ხუთიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, არანაკლებ შეთითხნილია. რედაქციის აზრით, საყოველთაო აღშფოთების მიზეზი გახდა ბლოგი, რომელიც პუტინის რეჟიმით უკმაყოფილოთა ცენტრად იქცა.

**The Wall Street Journal**

## ganaCeni religiuri fanatizmisa da SiSis gamo

გამოტანილი განაჩენის მიხედვით, **Pussy Riot**-ის სამ მონაწილეს რელიგიური მტრობისა და სიძულვილის მოტივები ამოძრავებდა. ,,გონივრული იქნებოდა, ამის საპასუხოდ ითქვას შემდეგი: ვინც ვლადიმერ პუტინის რუსეთში ეს ახალგაზრდა მომღერლები ღვთისგმობის გამო ციხეში გაუშვა, მათ გადაწყვეტილებას რელიგიური ფანატიზმი და შიში უძევს საფუძვლად", წერს **Independent** სარედაქციო წერილში.

კრემლის ზღვარგადასულმა რეაქციამ, მათ შორის ჯგუფის მონაწილეთა რამდენიმეთვიანმა პატიმრობამ ყოველმხრივ წამგებიანი ვითარება შექმნა. სრული ვადით – 7 წლით პატიმრობა საერთაშორისო მასშტაბის გაკიცხვას გამოიწვევდა, მათი გათავისუფლება კი სისუსტის გამოვლენად შეფასდებოდა. საბოლოო განაჩენი – თავისუფლების 2 წლით აღკვეთა უიმედო სისულელეა. გამოცემის ვარაუდით, იგი კარგს არაფერს უქადის რუსეთის საზოგადოებას, ეკონომიკას და იმის იმედს, რომ პოლიტიკური რეფორმები გატარდება.

**Independent**

## evrozonidan saberZneTis SesaZlo gasvlisTvis emzadebian



ევროზონის ქვეყნების მთავრობები ამზადებენ მოქმედების საგანგებო გეგმას, თუ საბერძნეთი საერთოევროპულ ვალუტაზე უარს იტყვის, განუცხადა **BBC**-ს ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერკი ტუომიოამ ინტერვიუში. მისი თქმით, განიხილება ყველა შესაძლო სცენარი, მათ შორის ერთიან ვალუტაზე უარიც კი. უქმეებზე საბერძნეთის ფინანსთა მინისტრმა იანის სტურნარასმა განაცხადა, რომ საერთაშორისო კრედიტორები ქვეყნის ხელისუფლებისგან საბიუჯეტო ეკონომიკის პროგრამის გამკაცრებას მოითხოვენ. მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში საფრთხე ექმნება საბერძნეთის ევროზონაში ყოფნას.

ამ კვირიდან იწყება მოლაპარაკებათა სერია ევროზონის სხვადასხვა სახელმწიფოს მეთაურებთან, სადაც განიხილავენ საბერძნეთის ვალდებულებებს სახელმწიფო ვალების მომსახურებასთან დაკავშირებით.

საბერძნეთის მაგალითი კარგი გაკვეთილია ევროკავშირის ქვეყნებისთვის – მათ სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ და მკაცრად იმსჯელონ, როცა ევროზონაში ახალი სახელმწიფოს მიღების საკითხზე მსჯელობა დაიწყება.

**bbc.co.uk**

## azerbaijanelebi ukrainaSi TavianTi enis regionulad gamocxadebas iTxoven



აზერბაიჯანის ელჩი უკრაინაში ეინულა იადულა ოგლი მადათლი ეწვია ყირიმს, სადაც, მისი თქმით, უკვე ათი ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობს. ამ ინფორმაციას ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ავრცელებს.

,,ყირიმში მცხოვრები ათი ათასი აზერბაიჯანელისთვის ეს ნახევარკუნძული უკვე მათი სახლია. ჩვენ მადლიერი ვართ ასეთი დამოკიდებულების გამო – აქ ხალხის კომფორტული ცხოვრებისა და სტაბილურობის ყველა პირობაა შექმნილი", – ამ სიტყვებით მიმართა ელჩმა ყირიმის მინისტრთა საბჭოს მეთაურს.

აზერბაიჯანული დიასპორის მონაცემებით, უკრაინაში 250 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობს. ახლახან მათ გამოხატეს გაკვირვება იმის გამო, რატომ მიენიჭა სომხურ ენას უკრაინაში რეგიონულის სტატუსი, აზერბაიჯანულს კი – არა.

**newsland.ru**

**მიმოხილვა მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

მოგზაურობა სამშობლოში



**ბარალეთი, სადაც წინა მოგზაურობისას შევჩერდით, ფაქტობრივად, ტყე-ჯავახეთის ცენტრი და გზაგასაყარია: დასავლეთის გზა აზავრეთისკენ მიდის, ჩრდილოეთისა — ტაბაწყურისკენ, აღმოსავლეთისა — ღრტილისა და სამსარისკენ, სამხრეთისა — ახალქალაქისკენ. სამხრეთის გზას ჩვენ გვიან დავადგებით, როცა ცენტრალურ ჯავახეთში, ანუ ახალქალაქის ვაკეში ვიმოგზაურებთ, თუმცა, რაკი ბარალეთში ვიმყოფებით, მასზე სამხრეთიდან მიკრულ ხიდიჯვარში მაინც უნდა შევიხედოთ.**

* * *

**ხიდიჯვარი** ნასოფლარი ალაგია. ადრე აქ ძალიან პატარა, სამკომლიანი ქართული დასახლება ყოფილა, რომელსაც 1739 წლამდე უარსებია. აწ გარდაცვლილი დევი ბერძენიშვილისგან ვიცოდი, რომ გზის პირას დანგრეული, აქა-იქ მხატვრობაშემონახული X საუკუნის ეკლესია იდგა და მისი ვიდეოდაფიქსირება გადავწყვიტე. სამწუხაროდ, ადგილზე მისულს, ბოჟანოსი არ იყოს, მძიმე სურათი მხვდება. მახლობლად მცხოვრებ სომხებს ცოტა ხნის წინათ ეკლესია ისე „აღუდგენიათ“, რომ ძველი ხიბლიდან არაფერი შერჩენია. მე და ჩემს თანამგზავრებს დანა პირს არ გვიხსნის და ბარალეთში ისე ვბრუნდებით, რომ ერთმანეთს მომდურავებივით ხმას არ ვცემთ.

ბარალეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მივემართებით, სადაც ზღვის დონიდან 1720 მეტრის სიმაღლეზეა შეფენილი სოფელი **იხტილა**. ეს სახელი სოფელს აქ მოსულმა და დამკვიდრებულმა სომხებმა შეარქვეს, თორემ მას, ქართული წყაროების თანახმად, **ღრტილა** ერქვა. იგი რამდენჯერმეა ნახსენები ბაგრატ IV-ის ზეობის ხანაში და იმაზე მიუთითებს, რომ ამ ხანებში სამეფო სახლის ერთ-ერთი საზაფხულო რეზიდენცია იყო. ბიზანტიისგან ზურგგამაგრებულ ლიპარიტ ბაღვაშთან ერთ-ერთი დაპირისპირების დროს, როგორც „მატიანე ქართლისაი“ გადმოგვცემს, **„მეფე იდგა ღრტილას, ხოლო ლიპარიტ შეკრიბნა კაცნი და მოადგა ფოკათა“.** მაწყვერელი, რომელიც მესხი მოლაშქრეებით მეფის მხარეს იდგა, მოულოდნელად, ლიპარიტს მოემხრო და ბაგრატ IV იძულებული გახდა, იქაურობა დაეტოვებინა. კარგა ხნის შემდეგ საპირისპირო სურათს ვხედავთ: ბაგრატ IV-ის და გურანდუხტი და ძე გიორგი **„დგეს ღრტილას და რა ცნეს შეპყრობა ლიპარიტისა** (იგი სულა კალმახელმა დაატყვევა — **გ.ქ.**) **შეიყვანეს ახალქალაქსა და მუნ მოილოდინეს ბაგრატ სულთა ზედა“.**

მაგრამ ღრტილა კიდევ ერთ საინტერესო ამბავთანაა დაკავშირებული. წინა წერილში ბოჟანოში მოსული ის სომეხი ელჩები ვახსენეთ, რომლებმაც დავით აღმაშენებელს ანისის განთავისუფლება და სომხეთის დიდი ნაწილის შემოერთება სთხოვეს. დავითმა ეს თხოვნა 60-ათასიანი ლაშქრით სიამოვნებით დააკმაყოფილა. იგივე მოსაზრებით, სომხებმა ანისი მანამდეც, 1045 წელსაც შეავედრეს საქართველოს — ბაგრატ IV-ს და დედამისს, რითაც ერთგვარი ფარული კავშირი შექმნეს ბიზანტიის წინააღმდეგ: **„და მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა, რამეთუ მამულად ეყვოდეს სომეხნი — სენექერიმ სომეხთა მეფისა ასული იყო**

# Camava l mziT naferi...



## ტყე-ჯავახეთი

**მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა“.** ეს ისტორიული ფაქტი იმიტომ გავიხსენეთ, რომ სწორედ მისი გამოძახილი იყო 1046 წელს ქართველი და სომეხი მღვდელმსახურების ღარტილაში გამართული კრება. ქართული წყაროს ცნობით, **„იქმნა კუალად კრება ღრტილას არა ვიდრემე სამღვდელო, არამედ უფროსღა სამხედრო“.**

ბუნებრივია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი დაბა საგულისხმო საყდრის ალაგიც იქნებოდა. და მართლაც, სოფლის ძველი უბნის შემაღლებული ადგილიდან „ჩავალი მზით ნაფერი“ მშვენიერი ტაძარი შემოგვცქერის. განსაკუთრებით საყურადღებო სამხრეთ ფასადია, სადაც ორი ასომთავრული წარწერაა. ერთი — მცირე და ნაკლებად



ინფორმაციული — სარკმლის თავზეა, მეორე ძალზე საინტერესო — ლავგარდანის გაყოლებაზე. იგი ასე იკითხება: **„ქრისტეო, გათავდა ქვეშელისა ლიპარიტის ცოლისა და თმოგუელთა ქალის რუსუდანისაგან. შეუნდვენ ღმერთმან. ქორონიკონი იყო 528** (ანუ 1308 წ— **გ.ქ.**). **ჭორვანიძეს იოანეს შეუნდვენ ღმერთმან“.**

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: საყდრის მაშენებელი მხოლოდ ქალია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ქვრივია. აქედან გამომდინარე ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: **ჯავახეთის ყველაზე დიდი ფეოდალის, თმოგველის ასული დბანისხევში (დღევანდელი ბოლნისის რაიონის ნაწილი) მდებარე ქვეშის პატრონ ლიპარიტზე გათხოვილა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი მშობლიურ კუთხეში ასულა და იქ საყდარი აუგია. მაგრამ იბადება შეკითხვა: რუსუდანი ამ საყდრის მშენებელ-მესაძირკვლეა თუ მეორედ მაშენებელი ანუ აღმდგენელი?** ვფიქრობ, მისი ხუროთმოძღვარი იოანე ჭორვანიძე აღმდგენელი უფროა. ძეგლის დავალიერებისას თვალში საცემია ის, რომ ამ, ერთი შეხედვით, დარბაზულ ეკლესიას სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ჩვეულებრივი მინაშენები კი არა აქვს, არამედ მინიატურული მკლავები, რითაც ის თხოთის „წმ.ნინოს“ წააგავს. ეს იმას გვეუბნება, რომ ძეგლი თავდაპირველად თავისუფალი ტიპის ჯვარ-გუმბათოვანი საყდარი უნდა ყოფილიყო. მის დათარიღებაში ცილინდრულ-ჯაჭვური ფორმის კედლის არშიაც გვეხმარება, რომელიც X-XI საუკუნეების შემდეგ არ გვხვდება. ტაძარი, 1308 წელს ხელმეორედ არის აშენებული (ანუ საფუძვლიანად აღდგენილია). ამას ის ისტორიული ფაქტიც უჭერს მხარს, რომ 1046 წელს ქართველი და სომეხი მღვდელმსახურები უეკლესიო პუნქტში არ შეიკრიბებოდნენ და არც სამეფო ოჯახი დაიდებდა საზაფხულო რეზიდენციას ყამირ ადგილზე.

ცნობისთვის: აქვეა ერთი ძველი საფლავის ქვა, რომლის ასომთავრულ წარწერას მკვლევარები XIV-XV საუკუნეებით ათარიღებენ: **„ქ. ბაღათურს და მის შვილს გიორგის შეუნდვენ ღმერთმან“.**

ღრტილას შემდეგ ყველაზე მეტად სამსარის ეკლესიები გვაინტერესებს. სამსარში ღრტილადანაც შეიძლება გადასვლა, მაგრამ რაკი ღამდება, ამ საქმეს მეორე დღისთვის ვდებთ, ბარალეთში ვბრუნდებით, იქიდან კი დილაადრიან გაცილებით უკეთეს მარშრუტს ვირჩევთ მეღვრეკის გავლით.





ღრტილას ტაძარი 1308 წლის წარწერით, ცილინდრული ფორმის არშიით და ორიგინალური ჯვრით

**მეღვრეკი** ნასოფლარია, რომელიც ნამონასტრალის კედლებმა შემოგვინახა. იგი ბარალეთ-სამსარის გზის შუა მონაკვეთზე, მის მარცხენა მხარეს, სოფელ მერენიის შემდეგ, **სამსარისწყლის ღრმა ხევშია. გალავანშემოვლებული ეკლესია, რომელიც X საუკუნის ძეგლს ჰგავს, ისეა დაშლილი, რომ მხოლოდ საკურთხევლის კედელია გადარჩენილი. აქვეა ტრაპეზის ქვა და ჯვრის ძალიან მაღალი პოსტამენტი, რომელზეც რამდენიმე ქართული ასომთავრული გრაფემაა შერჩენილი.** საძირკვლის მოხაზულობის თანახმად, ეკლესიას სამხრეთისა და ჩრდილოეთის მინაშენები ჰქონია და ნაგები ყოფილა სუფთად გათლილი ქვის თანაბარი კვადრებით. შთამბეჭდავია მონასტრის გალავნის ის მონაკვეთი, რომელშიც არქიტრავებით გადახურული ღრმა კარიბჭეა ჩართული. ამ ეკლესიის ზევით, სამანქანო გზასთან გაცილებით ახლოს, სომხებს სულ ახლახან პატარა სამლოცველო აუგიათ.



ვერანას სამსარი გარედან და შიგნიდან

მეღვრიკიდან **სამსარამდე** 3-4 კილომეტრიღაა, სადაც ორი სოფელი **(პატარა და დიდი სამსარი)** და ერთი ნასოფლარია **(ვერანა სამსარი)**. ბოლო ჟამს პატარა სამსარი უფრო მრავალკომლიანი გამხდარა. ორივე სოფელში 356 კომლი სომეხი ცხოვრობს (პატარა სამსარში — 182, დიდ სამსარში — 174). ორივე სოფელში XIX საუკუნეში აგებული საყდრები აქვთ. ჩვენ, ბუნებრივია, ძველი ძეგლები უფრო გვაინტერესებს და ამიტომ ვერანა სამსარისკენ მივიჩქარით. იგი პატარა სამსარიდან აღმოსავლეთით და დიდ სამსარიდან ჩრდილოეთითაა. მეღვრეკისა არ იყოს, ვერანა სამსარშიც საცხოვრებელთა კვალის მიგნება მიწის ზედაპირზე შეუძლებელია.

აქაც მხოლოდ ნაეკლესიარი და საფლავის ქვები მიგვანიშნებს ძველი სოფლის არსებობაზე. ამიტომაც შემორჩენია ამ ადგილს ასეთი სახელწოდება: ვერანა სამსარი, ანუ აოხრებული, გატიალებული სამსარი.

ვერანა სამსარის ნაეკლესიარი შემაღლებულ, თვალსაჩინო ადგილზეა. იგი, ჩვენი მეგზურების თქმით, წმინდა გიორგის სახელობისა ყოფილა. ნატაძრალი კარგა მოზრდილია და სამხრეთიდანაც გრძელი მინაშენის ნანგრევები აქვს. შესაძლოა, რომ მინაშენში ორთაღედით გახსნილი კარიბჭე იყო დატანებული. ნაეკლესიარის კედლები ლავგარდანის დონეს ვეღარ აღწევს და თლილი ქვის პერანგიდან კვადრების უმეტესობა დაკარგულია. ამ მხრივ, რამდენადმე უკეთესი მდგომარეობაა ინტერიერში.

ტაძრის გარშემო კედლებიდან ჩამოცვენილი ერთი-ორი სამკაულიანი ქვა და საფლავის ლოდებია. მათგან ყველაზე საინტერესო ისაა, რომელზეც ლორფინიანი ეკლესიის რელიეფი და ჯვრებია გამოკვეთილი. ტაძარი XIII-XIV საუკუნეებისა უნდა იყოს, საფლავის ლოდები კი რამდენადმე გვიანდელი.

ასეთია „ჩამავალი მზით ნაფერი“ აქაური სოფლები, ეკლესიები და ზოგადად, წარსული.

**ვერანა სამსარიდან დიდ სამსარში უნდა გადავიდეთ, იქიდან კი სხვა გზით უკან, პატარა სამსარისკენ გამოვბრუნდეთ, რომლის მისადგომებთან, მდინარის პირას, ჯავახეთის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლი გვეგულება. ამის თაობაზე მომდევნო წერილში გიამბობთ.**

**გელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები

მეღვრეკის ნამონასტრალის კარიბჭე გალავანში



ჯემალ დავლიანიძე

# mwaregakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

### შევარდნაძე ევროამერიკელთა ხელში — იარაღია!

შევარდნაძე თვით, თავისი არსებობით, გახლავთ სამხილი, გახლავთ ფაქტი, რომელიც პირდაპირ გვიჩვენებს, რომ იგი ევროამერიკული ე.წ. დემოკრატიის იარაღი და ფარულ გეგმათა განმახორციელებელია!

იარაღი და მერე რანაირი! იარაღი და მერე როგორი მნიშვნელოვანი! სანუკვარი! ნატვრისთვალი!

შევარდნაძე მანამდის საქართველოში გამოაგზავნა ევროამერიკამ, რუსეთში მსახურობდა. იგი გორბა-ჩოვმა წაიყვანა, გორბაჩოვმა შეარჩია, ოღონდ არა თავისი სურვილით, არამედ დასავლეთის კარნახით!

ძალიან საინტერესოა, როგორ აღწერს თვით შევარდნაძე თავის პერსონის გადაყვანას მოსკოვში. აგერ, მაგიდაზეა მისი წიგნი „ჩემი არჩევანი დემოკრატიის და თავისუფლების დასაცავად“ (გამოცდილ მკითხველს უკვე ეღიმება, შევარდნაძე რომ უკვე დასავლეთურ „დემოკრატიაზე და თავისუფლებაზე“ ჭიკჭიკებს!)

ჩავხედოთ ე.წ. „ჩემს არჩევანს“, გადავშალოთ მე-80 გვერდზე და წავიკითხოთ:

„ალბათ, 1985 წლის შუა ივნისის იმ დღის გახსენებაც მმართებს, როცა ჩემს კაბინეტში, თბილისში ტელეფონის ზარი გაისმა და ყურმილში გორბაჩოვის ხმა გავიგონე:

-მე შენთან დაკავშირებით სერიოზული განზრახვა მაქვს. ორი რამ მინდა შემოგთავაზო, ოღონდ კონკრეტული წინადადებისათვის ჯერ მზად არა ვარ. ორივე განზრახვა სამუშაოდ მოსკოვში გადმოსვლასთან არის დაკავშირებული (ხომ საინტერესოა, გორბაჩოვი წინადადებისათვის მზად ჯერ არ ყოფილა, მაგრამ მაინც მზადაა! მაინც სთავაზობს! თანაც ამხელა სახელმწიფოს ზემო ეშელონებისკენ მიჰყავს შევარდნაძე! აწინაურებს, ოღონდ მთლად მზად არ არის! რა შეიძლება ყოფილიყო „მოუმზადებლობა?“ ალბათ ევროამერიკასთან კანდიდატურის შეთანხმება. ანდა პირიქით — იქით უკვე მოჭახრაკებული ჰქონდათ საქმე, ახლა საბჭოთა კავშირის პოლიტბიურო უნდა „დაემუშავებინათ“, რომ შევარდნაძე მიეღოთ. ეს ვარაუდი რომ მართალია, შემდგომში ვნახავთ! — ჯ.დ.).

საკმაოდ დავიძაბე, ვუთხარი, რომ თბილისში ჩემს ამჟამინდელ მუშაობას მხარდაჭერა სჭირდებოდა და ამ მხარდაჭერის იმედი მქონდა. სხვა არაფერი მინდა-მეთქი.

-გადაწყვეტილების მიღებას ნუ იჩქარებ, - მითხრა გორბაჩოვმა. — ეს ძალიან მნიშვნელოვანი წინადადება იქნება“.

არადა, შევარდნაძეს საქმე უკვე „ჩაწყობილი“ აქვს თავის ევროამერიკელ დიდ მეგობრებთან. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ერთი წლით ადრე, გორბაჩოვის ამ წინადადებამდე, შევარდნაძეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გორბაჩოვისთვის ისეთი „სიმართლე“ მიუხლია პირში, სხვა დროს დახვრეტასაც კი დაიმსახურებდა.

თვითონვე წერს „ჩემს არჩევანში“ შევარდნაძე:

„ყველაფერი დალპა, ყველაფერი უნდა შეიცვალოს“,

-მე ეს ნამდვილად ვუთხარი გორბაჩოვს ბიჭვინთაში 1984 წლის ზამთრის ერთ საღამოს და ამ სიტყვებზე არც დღეს ვამბობ უარს“.

ოოო! ხედავთ? თურმე შევარდნაძე-გორბაჩოვი, საბჭოთა კავშირში ყველაფერი რომ დამპალა, ბიჭვინთის იმ აგარაკზე შეთანხმებულან, სადაც რამდენიმე ათეული წლის წინ ასევე დემოკრატიის მძებნელმა პოლიტბიურომ (იგივე შეთქმულებმა!) საბჭოთა კავშირის გენერალური მდივნის თანამდებობიდან ნიკიტა ხრუშჩოვი გადააყენა!

შევარდნაძემ, რადგან გენსეკს, რადგან გორბაჩოვს, დღისით-მზისით პირში მიახალა, საბჭოთა კავშირი „დალპა, ყველაფერი უნდა შეიცვალოს“-ო, მაშასადამე, გეგმაც გააჩნდა, დავალებაც და, რაც ყველაზე მთავარია — იდუმალი, ჯერაც უხილავი გარანტია, რომ გორბაჩოვი მას კი არ დააპატიმრებდა, არამედ დააწინაურებდა.

აბა, ბიჭებო, ვნახოთ, რას ჭიკჭიკებს ე.წ. თეთრი მელა თავის საკუთარ „არჩევანში“ დემოკრატიის და თავისუფლების დასაცავად:

„30 ივნისს ისევ დამირეკა (გორბაჩოვზეა საუბარი! — ჯ.დ.):

-მინდა განვაგრძოთ ჩვენი საუბარი. საბოლოო გადაწყვეტილება მივიღეთ: საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას გთავაზობთ. ხვალ დილით მოსკოვში გელით (სულ რაღაც ორ კვირაში გორბაჩოვმა, როგორც ჩანს, ევროამერიკაში საქმე ჩააწყო და შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად გაამწესა! — ჯ.დ.).

...ეს იყო ყველაზე მოულოდნელი



რამ ჩემს ცხოვრებაში... იმ დროისათვის სხვა ქვეყნებში ნამყოფი ვიყავი, ოღონდ ბევრგან არა, - ცხრა ქვეყანაში. ჩემთან, თბილისშიც, ბევრჯერ მიმიღია უცხოური დელეგაციები, ზოგჯერ საკმაოდ მაღალი დონისაც, მაგრამ ისინი მაინც მხოლოდ სტუმრები იყვნენ. დიპლომატობას რაც შეეხება, ის მხოლოდ ჩემს ენამოსწრებულ, გამჭრიახ თანამემამულეებთან, და კიდევ მოსკოველ იერარქებთან ურთიერთობისას თუ დამჭირვებია, როცა მათგან რა-ღაცას გამოველოდი. უცხო ენების არცოდნა, მხოლოდ მშობლიური ქართული და რუსული, თანაც უსაშველო აქცენტით, გამოცდილებებისა და სპეციალური ცოდნის უქონლობა... კარგი ერთი, ნეტა ხომ არ მომეყურა?

არა, არ მომყურებია!

-გრომიკო მხარს უჭერს შენს კანდიდატურას, ჩამოხვალ და ვილაპარაკოთ.

მოსკოვში დილაადრიან გავფრინდი. გორბაჩოვთან საუბარი ორმოც წუთს გაგრძელდა“.

ჰა? მეგობრებო, გიკვირთ არა? ბიჭოს, თქვენ კი არა, თვით შევარდნაძეც „გაოცებულია“, მან ვითომ არ იცის, რატომ დაუძახეს კრემლში და რატომ ნიშნავენ საგარეო საქმეთა მინისტრად. უფრო მეტიც, პოლიტბიუროს წევრობაც უმალვე ჩაუწყვეს.

შევარდნაძე მართლაც გაოცებულია! თვითონ ასე ამბობს და წერს, მაგრამ ჩვენ უფრო უნდა გავიკვირვოთ: რაო, ამხელა საბჭოეთში, შევარდნაძის მეტი ვერავინ იპოვნეს გაცილებით ნიჭიერი?

თურმე, შევარდნაძე უარობდა, გორბაჩოვი კი ჯიუტობდა:

„ — ეს უკვე გადაწყვეტილია, - თქვა გორბაჩოვმა. — შეთანხმებულია ცენტრალური კომიტეტის მდივნებთან და, როგორც გითხარი, შენს კანდიდატურას მხარს უჭერს გრომიკო (მართლაც საოცარია, რა ზეძალა უნდა ჩარეულიყო შევარდნაძის დასაწინაურებლად, რომ თვით გრომიკოც მხარს უჭერდა? — ჯ.დ.). ეროვნებას რაც შეეხება, კი, ქართველი ხარ, მაგრამ შენ ხომ საბჭოთა ადამიანი ხარ! გამოცდილება არა გაქვს? ეგებ, ჯობს კიდეც, რომ არა გაქვს. ჩვენს საგარეო პოლიტიკას აზრის სიცოცხლე (როგორც ჩანს, მანამ საბჭო-თა კავშირის საგარეო პოლიტიკა აზრის სიკვდილიანობით გამოირჩეოდა. — ჯ.დ.), გაბედულება, დინამიკურობა, ნოვატორული მიდგომები სჭირდება... მე ამ არჩევანის სისწორეში ეჭვი არ მეპარება“.

აი, ასე და ამრიგად, დამტკიცდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის კანდიდატურა და ამის გამო, რომ „აზრიანი“ გაეხადათ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეები, შევარდნაძე მოძებნეს! ანუ მოაძებნინეს! ანუ, თითქმის უბრძანეს! ვინ? ამას ბატონებო, თვითონ შევარდნაძეც კითხულობს, ნეტავ რატომ მეო, მაგრამ ეს უკვე ფარისევლობაა, რადგან ამხელა გადაწყვეტილება თვით გორბაჩოვის ზემდგომ ორგანოებში გახლდათ გადაწყვეტილი.

### შევარდნაძე და ჟან-ჟაკ რუსო

აბა, მივყვეთ შევარდნაძის მოგონებებს, სადაც მას უნებლიეთ წამოსცდება ხოლმე რაღაც-რაღაცეები:

„ვინც ყოფილა ამ კაბინეტში (უკვე საგარეო სამინისტროშია მომავალი „დიდი პოლიტიკოსი“! — ჯ.დ.), რომლის რიგითი ნომერია 706, შეუძლია დამიდასტუროს, რომ მის ინტერიერში არაფერი შეცვლილა. ყველაფერი ისევე დარჩა, როგორც წინა პატრონის დროს იყო, მაგრამ იმ დღიდან უნდა შეცვლილიყო საგარეო პოლიტიკა და, თუმცა ვიცოდი, როგორ უნდა შეცვლილიყო, არ ვიცოდი, რით დამეწყო (ნახეთ ბატონებო, შევარდნაძე ოდნავ ზემოთ, მიამიტურად გვიმტკიცებდა, რომ თითქოს ელდა ეცა, თითქოს გაოცდა და თავი ღირსადაც არ ჩათვალა ამხელა თანამდებობისათვის, მაგრამ სულ რამდენიმე წამში, კაბინეტში შესრიალდა თუ არა, ამაყად აცხადებს, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა უნდა შემეცვალა და აქამდეც უკვე ჩინებულად ვიცოდი, როგორც უნდა შემეცვალაო! — ჯ.დ.).

... ჯერჯერობით კი, თავს უფლებას მივცემ, ვიმსჯელო ძველ, საქვეყნოდ ცნობილ თემაზე, მოგეხსენებათ, ზოგი მარადიული ჭეშმარიტების განმეორება მხოლოდ გვარგებს. განსაკუთრებით კი იმ დროს, როცა ბევრს იგი ან დაავიწყდა, ან არ სურს, რომ ახსოვდეს. დიდ მოაზროვნეთა გონებაში შობილი დიადი იდეები დიდხანს ელიან თავიანთ დროს. ზოგჯერ ეს მოლოდინი ასწლეულების მანძილზე იწელება, მაგრამ, ადრე თუ გვიან, მათი ჟამი დგება... „პროექტი არ ვარგოდა ევროპისათვის, რადგან არც ევროპა ვარგოდა პროექტისათვის“, - თქვა ჟან-ჟაკ რუსომ ძველი სამყაროს ქვეყნების გაერთიანების მრავალი კონცეფციიდან ერთერთის შესახებ. ნათელი აზრია: იმ დროის ევროპაში იმ კონცეფციის რეალიზაციისათვის არ იყო შესაფერისი პირობები და გარემოება. იდეა მეტისმეტად ადრე მომწიფდა, მაგრამ იგი სრულიადაც არ არის დაგვიანებული იმ დიად მოაზროვნეთა მემკვიდრეთათვის, რომლებსაც ევროპის ქვეყნებისა და ხალხების ერთიანობა განჭვრიტეს (თურმე რისთვის აარჩიეს შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო მინისტრად! ევროპა რომ გაერთიანებულიყო ერთ სახელმწიფოდ ანუ, რომ გავშიფროთ — უნდა დაშლილიყო საბჭოთა კავშირი, რომელმაც მსოფლიო საიდუმლო ბელადების, მმართველთა იმედები ვერ გაამართლა და ამის მაგიერ შექმნილიყო ევროპის კავშირი, რაც კიდეც აღსრულდა სადღეისოდ! — ჯ.დ.).

მსოფლიოში უნდა გამოჩენილიყო ვინმე, ვინც დროის ახალ რეალობებს ახალ აზრს შეუფარდებდა.

1986 წლის 25 თებერვალს, მოსკოვში, კრემლის ყრილობათა დარბაზში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის სხვა დელეგატებთან ერთად ვისმენდი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებას, რომელსაც მ.ს. გორბაჩოვი კითხულობდა... მოხსენების პროექტი მრავალგზის გადამუშავდა. ყრილობის წინა დღით, როცა მოხსენების საბოლოო ვარიანტი მივიღე, აღმოვაჩინე, რომ მასში არ იყო ნახსენები ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა. რატომ გაქრა? და ვისი დაჟინებით?

დიდი ძალისხმევა დასჭირდა ყრილობის მოხსენებასა და გადაწყვეტილებებში მისი აღდგენისა და მყარად დამკვიდრებას.

... ვიტყვი, რომ ცივილიზებულმა სამყარომ სწორედ ავღანეთის პრობლემის მოგვარების, ამ ქვეყნიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის შემდეგ ირწმუნა ჩვენი (საბჭოთა ჯარები ალბათ იმიტომ გამოიყვანეს ავღანეთიდან, რომ შემდეგ იქ ამერიკის ჯარები შესულიყვნენ, რაც დღეს სახეზეა! — ჯ.დ.).

...იმ დროისათვის ახალი აზროვნების საწყისები უკვე განცხადებული იყო და პრაქტიკულ სფეროშიც შეჭრილი იყო. უკვე შედგა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის შეხვედრა უმაღლეს დონეზე პარიზში, სადაც მ.ს. გორბაჩოვმა ახსენა საერთო ევროპული სახლი (გენიშნათ მეგობრებო? საიდან და ვისგან მოდის საერთო ევროპული სახლი ანუ ევროკავშირი ანუ ერთი დიდი ქვაბი, სადაც სხვადასხვა ქვეყნები უნდა გადაიხარშონ? — ჯ.დ.).

... ვიდრე ერები არ აღიარებენ საერთო ადამიანურ ღირებულებებს და პიროვნების უფლებათა პატივისცემის ერთ საერთო სტანდარტს, მათ წინაშე მდგარი ვერცერთი პრობლემა წარმატებით ვერ გადაწყდება. მაშასადამე, შეუძლებელი იქნება საერთო უშიშროების საიმედო დაცვაც... ვშიშობ, რომ თვით პოლიტიკის არქიტექტორები თავს მყუდროდ ვერ გრძნობენ მათ მიერვე აგებულ შენობაში... გალერაზე მიჯაჭვულ მონასაც კი არ შეშურდებოდა ხვედრი ჯეიმს ბეიკერისა ან ჰანს-დიტრიხ გენშერისა — ისეთ დაძაბულ შრომას, ისეთი მძიმე ტვირთის ზიდვას მოითხოვს ეს ხვედრი, მაგრამ ასეთია ხვედრი ყველასი ვინც იკისრებს პასუხისმგებლობას. და მე იმისთვის ვეხები ამ თემას, რომ უფრო ახლოს მივიდე ადამიანებთან, ვისთანაც საქმე მქონდა, ვისთვისაც ვაკეთებდი ამ საქმეს (ხედავთ ბატონებო, საიდან ჰქრის ნიავი? ჯეიმს ბეიკერი და ჰანს-დიტრიხ გენშერი, მსოფლიოს ახალი წესრიგის ე.წ. არქიტექტორები ხომ პირდაპირი მასწავლებლები და მბრძანებლები იყვნენ „დემოკრატი“ შევარდნაძისა! — ჯ.დ.).

... უკვე მეორე შეხვედრისას, - ეს იყო ნიუ-იორკში, 1985 წლის სექტემბერში, მე ვუთხარი ჯორჯ შულცს:

-მსოფლიოში ბევრი რამ არის დამოკიდებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობებზე. ეს კი დიდად არის დამოკიდებული თქვენსა და ჩემს ურთიერთობაზე. მე განზრახული მაქვს, საქმე ისე წარვმარ-თო, რომ ვიყო თქვენი პატიოსანი და საიმედო პარტნიორი, თქვენ თუ ისურვებთ, - ვიყო მეგობარიც!

შულცი ფიცხლად წამოდგა და ხელი გამომიწოდა:

-აი, მე ხელს გიწვდით, მოიტათ ხელი!

მას აქეთ, მე მუდამ ვგრძნობდი მისი ხელის შეშველებას... შულცი — უშრეტი ფანტაზიის კაცი... მაოგნებდა სიურპრიზით იელის უნივერსიტეტის დიდებული ქოროთი, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტში ასრულებდა ქართულ ხალხურ სიმღერას — „მრავალჟამიერს“. შულცს გამოუჩნდა ყოველმხრივ ღირსეული მემკვიდრე ჯეიმს ბეიკერი!

...აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში ბევრი ბუხარია, მაგრამ სხვებზე უკეთ მე ის ბუხარი მახსოვს, რომელიც სახელმწიფო მდივნის პირად კაბინეტშია. ამ ბუხართან გავატარე მძიმე და ხანგრძლივი დრო...

პირველი, ვისთან ერთადაც მომიხდა ჩვენი საერთო საქმის მოგვარება (რა საერთო საქმეზეა საუბარი? — ჯ.დ.), ჯორჯ ბუში იყო. მას უყვარდა მოლაპარაკებების გამართვა მოგიზგიზე ბუხართან...

მე მგონია, რომ ამერიკელებისთვის, ასევე დასავლეთში სხვა ადამიანებისათვისაც, ფსიქოლოგიური გაცნობიერება იმ ფაქტისა, რომ მათი ქვეყნები შეიძლება ბირთვული ომის შედეგად დასაღუპად განწირულნი აღმოჩნდნენ, ფსიქოლოგიურად უფრო დიდი შოკი იყო, ვიდრე საბჭოთა მოქალაქეებისათვის“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14-35

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი







## თავსატეხი

ვერტიკალურად: ალალი, ყაყული, ყაინი, ზეარე, ალუნი, კოლხი, ლალანი, მანია, ოპალი, პაპია, სარია, ტახია, ფაცხა, ქანჩი, ჟელატი, შესხმა, ჯიხვა.

ჰორიზონტალურად: აბაჯა, ავანა, ალისა, ბრონქი, დოლარი, ეგრისა, ზეგნი, თაყვანი, იანვარი, კაკაო, ნაშთი, პლაჟი, სალოპა, ტროპიკი, ლოტოკი, ჩოგანი, წინდა, ჭერჭი, ჯამბა, ბადეა.

## სამიდან ერთი

ვერტიკალურად: 1. ბუნება, კასეტი, ჯოკერი. 2. მორალი, პანიკა, ხუმარა. 3. კალუგა, რამადა, სეთური. 4. მანტო, პალტო, კონგო. 5. კოშკი, ხაზი, ლაბირი. 6. ტორნეო, ტაქსი, ტაბანი. 11. ბანკალი, ტანტალი, კარავალი. 12. კარტერი, კასპია, ლეტწავა. 13. ხალათი, ყალიონი, მეფეზი. 14. რანდოლ, რესიბი, რიცხვი. 15. ფასონი, მონეტა, ფაეტონი. 16. ფაგოტი, ფოლადი, ფლეიტა.

ჰორიზონტალურად: 3. კაბინეტი, კოპენჰაგენი, კატაკანა. 7. ლოთიანი, ბუხარა, ხატიშა. 8. მარათონი კალიგულა, თამამარი. 9. მერიდი, ლეგენდა, სოხუმი. 10. ტრასეკა, ტრომბონი, ტროტუარი. 13. მარალი, ჯულიეტა, ვარაგი. 17. ნაგარდი, კანარგი, ბოქლომი. 18. ბალატი, ტონუსი, ლიანდაგი. 19. დანიშვნა, კრიმსა, ფლაკონი. 20. ხუტორი, პანამა, კაკერი. 21. პალატონი, კრიშაკა, სტატუსი.

## შიფრვორდი

| | |
|---|---|
| ა-9 | ხ-2 |
| ბ | ტ |
| გ | უ |
| დ- | ფ- |
| ე-4 | ქ |
| ვ | ღ- |
| ზ- | ყ |
| თ- | შ-6 |
| ი 7 | ჩ |
| კ | ც |
| ლ-27 | ძ |
| მ-1 | წ- |
| ნ- | ჭ- |
| ო- | ხ- |
| პ- | ჯ- |
| ჟ | ჰ |
| რ 20 | |

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***
***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ვინ უნდა აღიაროს ფსიქიკურად დაავადებული პირი ქმედუუნაროდ? რა ფორმით?**

— ფსიქიკურად დაავადებული პირის ქმედუუნაროდ აღიარების უფლება მხოლოდ სასამართლოს გააჩნია. ქმედუუნაროდ მიიჩნევა პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნება აღიარებული. ამ პირის უფლებებს, მისი კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე) ახორციელებს.

სასამართლოს მიმართავს ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია, თუკი ექიმ-ფსიქიატრთა კომისია მიიჩნევს, რომპაციენტს, ფსიქიკური აშლილობის გამო, არ შეუძლია გაათვითცნობიეროს თავისი მოქმედება და შეიგნოს მისი მნიშვნელობა. სასამართლოში მიმართვის ფაქტი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პაციენტის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში — ნათესავს.

ქმედუუნაროდ აღიარებული პირის განკურნების ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაში სასამართლო მას აღიარებს ქმედუნარიანად.

* * *

**— არის თუ არა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი მამის მემკვიდრე?**

— საქართველოს კანონმდებლობა არ ასხვავებს ქორწინებაში და ქორწინების გარეშე შობილი ბავშვების სამემკვიდრეო უფლებებს. ეს გულისხმობს იმას, რომ თქვენი შვილი, რომელიც ქორწინების გარეშე შეგეძინათ, ჩვეულებრივ ისევე მიიღებს მამამისის მემკვიდრეობას, როგორც ქორწინებაში შობილი ბავშვი.

თუმცა აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება — იმისათვის, რომ ბავშვი მამის სრულუფლებიანი მემკვიდრე იყოს, ბავშვის მამობა, აუცილებლად კანონით დადგენილი წესით უნდა იყოს აღიარებული. კერძოდ, მამობა აღიარებული უნდა იყოს ნებაყოფლობით ან დადგენილი უნდა იყოს სასამართლო წესით. სხვა შემთხვევაში, ბავშვი ვერ მიიღებს მამის მემკვიდრეობას.

* * *

**— რა ფორმით უნდა შედგეს ანდერძი?**

— ანდერძი უნდა შედგეს წერილობით. ამასთან, დასაშვებია წერილობითი ანდერძი — სანოტარო ფორმით ან მის გარეშე.

* * *

**— რა არის სავალდებულო წილი?**

— ანდერძის არსებობის შემთხვევაში, ქონებას იღებენ უშუალოდ ის პირები, რომლებიც მოხსენიებულნი არიან ანდერძში და მემკვიდრეთა კანონით დადგენილი რიგითობა მხედველობაში არ მიიღება. თუმცა აქ არის ერთი გამონაკლისი. თუნდაც არსებობდეს ანდერძი და თუნდაც მის თანახმად მამკვიდრებლის ქონება მთლიანად პირზე ან პირებზე იყოს განაწილებული, I რიგის მემკვიდრეები, ანუ მამკვიდრებლის მეუღლე, შვილი და მშობლები, მაინც მიიღებენ გარკვეულ წილს ქონებიდან, რასაც სავალდებულო წილი ეწოდება, სავალდებულო წილის ოდენობაა იმ წილის ნახევარი, რასაც მემკვიდრე მიიღებდა ანდერძი რომ არ ყოფილიყო.



* * *

**— უარი ვთქვი ნოტარიუსთან ჩემი წილი სამკვიდროს მიღების შესახებ. 6-თვიანი ვადა გასული არ არის. შემიძლია თუ არა ახლა მოვითხოვო წილის მიღება?**

— არა.

სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა შეუქცევადია!

თუ თქვენ უკვე განაცხადეთ უარი, შემდგომ კი გადაიფიქრეთ, უკვე ვეღარ შეძლებთ სამკვიდროს მიღებას.

* * *

**— შეიძლება თუ არა არასრულწლოვანს სასჯელის სახით დაენიშნოს ჯარიმა?**

— შეიძლება.

დაგიკონკრეტებთ:

საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 მუხლის მიხედვით, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.

* * *

**— შემიძლია თუ არა განქორწინების შემდეგ დავიტოვო ყოფილი მეუღლის გვარი?**

— შეგიძლიათ.

განქორწინებისას მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა არაქორწინების დროს, უფლება აქვს, განქორწინების შემდგომაც დაიტოვოს იგივე გვარი ან დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი.

* * *

**— რას ნიშნავს სასჯელის სახით ქონების ჩამორთმევა?**

— ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებითი სასჯელის სახით.

ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ანდა იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ანდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

* * *

**— რა შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი?**

— სასამართლოს შეუძლია დაინიშნოს სს კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება (სსკ-ის 55-ე მუხლი).

* * *

**— გამასამართლეს ყაჩაღობისთვის. სასჯელი უკვე მოვიხადე. ჩემი ნასამართლობა ბევრ რამეში ხელს მიშლის, შემიძლია თუ არა მოვითხოვო შეწყალების აქტით ნასამართლობის მოხსნა?**

— შეგიძლიათ. ასეთს ითვალისწინებს კანონი.

სასჯელმოხდილს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.





# xalxis azriT

ცისფერ და თეთრ მაისურებს როდის აკრძალავენ და წითლი მაისურებით სიარულს როდის გახდიან სავალდებულოს?

ეშხში შესული საქართველოს პრეზიდენტი აშკარად "აღმაშენებლობას" ჩემულობს. "ამდენი რამ მხოლოდ აღმაშენებელმა თუ შეძლოო", - ამბობს და ამ ნათქვამს დაუზარელად იმეორებენ "ნაცმოძრაობის" სახეები. ტრაგედიაა, როცა დიდი მეფის ტიტულატურა — აღმაშენებელი მშენებლობასთან გააიგივეთ. ბატონებო, დავით აღმაშენებელი თქვენ "პრარაბი" ხომ არ გგონიათ?! ქართველმა ხალხმა მას ეს ტიტული მიანიჭა, რადგან დავით აღმაშენებელი გახლდათ უშიშარი მხედართმთავარი, გამჭრიახი პოლიტიკოსი, ზნეკეთილი ქრისტიანი, მეფობა აფხაზეთის დაბრუნებით დაიწყო, ტერიტორიის მისხალიც არ დაუკარგავს, ქვეყანა განავრცო და ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს მონარქი გახდა.

ასე მგონია, სამეგრელოში მიუხედავად ჭრელი პოლიტიკური სპექტრისა და ტერორის მცდელობისა რომელსაც ახალაიების კასტა ახორციელებს,ხალხმა უკვე დაინახა,რომ ივანიშვილი,ზოგიერთებივით კამერის წინ არ პოზირებს და არც პოპულისტობს.

თითქოს მოგვარდა ეს საკითხი და ისევ უარზე არიან 7-ის მოცემაზე ? ამ დაუნებს არ ესმით, რომ 7 იქნება ქართული ოცნების ნომერი თუ 47 მაინც გაჟიმავს 5 ნომერს ! :)) არ წყდება პროვოკაციები ხელისუფლების მხრიდან, ამჯერად, ცეესკო ჩაერთო ამ უთანასწორო ბრძოლაში და უკანონობების და უზნეობების კასკადს ბოლო არ უჩანს...

ეს ყველაფერი ბიძინობა დღეს, პირველ ოქტომბერს უნდა დავასრულოთ!

მე დიდი ხანია ამას ვამბობ, რომ ბურჯანაძემ ძალიან ბევრი რამ იცის და რატომ დუმს ამდენი ხანი და რატომ არ უთხრის ძირს საბოლოოდ ამ ბანდიტებს, ვერ გავიგე....

რას ელოდება....
მე მაღალი ბიჭი ვარ,
გამოვდივარ სცენაზე,
აბდაუბდას ვყრანტალებ,
რაც მადგება ენაზე.
მერე რა, რომ პოემას,
მე ვუწოდე ლექსი,
ჩუ, ხმა არ ამოიღო,
თორემ დიდ ქვას გესვრი!.

დღეს ქალაქ სალონიკში ჩატარდა ემიგრანტების საინფორმაციო შეკრება. ძალიან საეჭვოდ მენიშნა ამ აქციაზე ბერძნული პოლიციის გამოჩენა. რაც, ვეჭვობ საკონსულოს დაკვეთის შედეგი იყოს!

ღმერთმა არ ჰქნას, მაგრამ ასე თუ გადანაწილდა, რას ვიცინებ;))) ალასანია პრეზიდენტი, ივანიშვილი — პრემიერი და ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარე:

ბურჯანაძის დროს აგარაკები იშოვებოდა "ბუხანკა" პურის ფასად. დარწმუნებული ვარ, ამას თვითონაც დაგიდასტურებთ. კიდევ რამდენი რამ დარჩა ლარად გასასაღებელი? ყველაფერს მოაბამს თავს. ქართულ ვალუტას უნიკალური კურსი აქვს. ხან ლარად მილიონი დოლარის ქონებას ყიდულობ, ხან კი 100 ლარი დენის და ნაგვის გადასახადში არ გყოფნის...

# patara lukas Tqveni Tanadgoma gadaarCens



7 წლის ლუკა წულეისკირს ორი თვის წინ, სრულიად მოულოდნელად დაუდგინდა დიაგნოზი – **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემია.**

ოჯახის, ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით მოვახერხეთ გარკვეული თანხის მოგროვება და ბავშვის უმოკლეს ვადაში გერმანიაში გაგზავნა. ამჟამად ლუკას უტარდება ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსი გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში.

სამწუხაროდ, როგორც მიმდინარე ანალიზებიდან გამოჩნდა, ინტენსიური ქიმიოთერაპიის სტანდარტულმა კურსმა ვერ გამოიღო სათანადო შედეგი. ამჟამად გამოიკვეთა აუცილებლობა, რომ ბავშვს ჩაუტარდეს ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია, რომლისთვისაც საჭიროა **250 000 ევრო.** ამხელა ოდენობის თანხის შეგროვება სამწუხაროდ აღემატება ჩვენს ყველა საშუალებას და ამიტომაც გადავწყვიტეთ, მოგვემართა თქვენთვის დახმარებისთვის.

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა "ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, ნებისმიერი ოდენობის (მცირეოდენი) შენატანებით, დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

**საბანკო რეკვიზიტები:**
**ბანკის კოდი: KSBGGE22**
**ბანკის დასახელება: კორ-სტანდარტ ბანკი**
**ანგარიში: GE19KS0000000360800511GE**
**მიმღები: ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

**ლუკას ოჯახი**

# სად და როგორ უნდა დაისვენოთ?

## რჩევები ზოდიაქოს ნიშნებისთვის

**ვერძი** – მათი სრულფასოვანი დასვენებისთვის კომფორტული სიტუაცია და გემრიელი საჭმელები აუცილებელია. უნდა მოდუნდნენ და გაზარმაცდნენ, მაშინ დასვენება მათთვის ნამდვილ



სიამოვნებად იქცევა. ვერძებს ურჩევენ შვეიცარიაში, კიპრზე, ფინეთში, ირლანდიაში, ან დანიაში გაემგზავრონ ძალების აღსადგენად და სრულყოფილი დასვენებისთვის. მათ სულთან ახლოა არაბეთის საემიროებიც, ბულგარეთიც, უნგრეთიც, ჩეხეთიც, ლატვია და ლიტვაც. ვერძის დასვენების ძირითადი მიზანია სიმშვიდე ცივილიზაციის ყველა მიღწევის გამოყენებით, რათა თავი „თეთრ ადამიანად“ იგრძნონ.

**ტყუპები** – მათ მხოლოდ „პურით ვერ გამოკვებავ“, მაშინ, როცა მოგზაურობის შანსები ჩნდება, რადგან ადამიანებთან ურთიერთობა მათთვის ხშირად პურზე უფრო ძვირფასია. მას გამომსახველობითი უნარი აქვს და შესანიშნავად გამოხატავს თავის შთაბეჭდილებებს. მათი სულის მთავარი გამოძახილი კი ამერიკაა, რადგან ხიბლავს სხვადასხვა ერის ხალხთან ურთიერთობები და სხვადასხვა ფენის ადამიანებთან კონტაქტები. მისთვის სულ ერთია რამდენვარსკვლავიან სასტუმროში ან ელიტარულ საზოგადოებაში მოხვდება. მთავარია, „მოლაპარაკე“ ჰყავდეს და საერთოდ არ აბრკოლებს, მოსაუბრის ენა იცის თუ არა.

ტყუპებისთვის უმჯობესია თუ რუმინეთს, ბელგიას, კანადას, სომხეთს, ქალაქ ლონდონს, მელბურნს, ნიურნბერგს, სან-ფრანცისკოს თუ მოინახულებს და იქ დაისვენებს.

**კირჩხიბი** – მათ ძალიან უყვართ წყალი და საზღვაო კურორტები. იზიდავთ თავგადასავლები, ხიბლავთ კამერული, ოჯახური სიტუაცია და ისეთი ქვეყნები, რომლებსაც უძველესი ისტორიული წარსული აქვთ. მათი ოცნებაა ინდოეთსა და ტიბეტში მოგზაურობა და დასვენება.

კირჩხიბი ემოციებით ცხოვრობს და სავსეა შინაგანი შთაბეჭდილებებით, ამიტომაც არის ხშირად მედიტაციური, თავისებურად მშვიდი და გულგრილი.

ვურჩევთ იმოგზაურონ ალჟირში, ამსტერდამში, ბაჰრეინში, ვენეციაში, გენუაში, ჰოლანდიაში, კონსტანტინოპოლში, მილანში, სტოკჰოლმში ან ტუნისში და რა თქმა უნდა, ყველა კირჩხიბმა საკუთარ ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა მოისმინოს ოკეანის „ხმა“ და გაიაზროს, რომ უფრო იდუმალი სიღრმე მის შიგნითაა.

**ლომი** – ლომი ვერ აცხრობს საკუთარ გულში დღესასწაულის, გართობის, კმაყოფილების შეგრძნებებს. ამიტომ შვებულება მისთვის საოცარ შთაბეჭდილებებთან ასოცირდება. მისი ტემპერამენტისთვის პირდაპირ შესაფერისია იტალია და ესპანეთი. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც, საბოლოო ჯამში, მაინც აზარტთან, შემოქმედებასთან, გართობასთან იგივდება. ამ ქვეყნების მაცხოვრებელთა მხიარული ხასიათი და სტუმართმოყვარეობა პირდაპირ მოქმედებს ლომზე. გულგრილს არ დატოვებს ზოდიაქის ამ ნიშანს რომი, პერუ, ბრაზილია, საფრანგეთის პოდიუმები, ფილადელფიის სიცოცხლისმოყვარე ხალხი, ჩიკაგო... არ ინანებენ თუ იერუსალიმში, დამასკოში, სუდანში ან ბომბეიში წავლენ, მაგრამ ლას-ვეგასი ლომებისთვის ზედგამოჭრილია, რადგან იღბლიანი მოთამაშეები ყველაზე ხშირად ლომები არიან.

**ქალწული** – ქალწულებს დასვენება ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის სურთ. ამიტომ კარლოვი ვარი, მინერალური წყლები, ტრუსკავეცი, კისლოვოდსკი და მკვდარი ზღვის სანაპიროები მათთვის პირდაპირი საგზურებია.

ითვლება, რომ ქალწულების ქვეყანა იაპონიაა, რადგან შრომისმოყვარეობა და მოწესრგებულობა მათი სტიქიაა. თუ წელი ფინანსურად წარმატებული იყო, ქალწულებს ვურჩევთ შვეიცარიაში დაისვენონ, რადგან იქ კომფორტის მაქსიმალური შესაძლებლობებით დატკბებიან.

**სასწორი** – სასწორი ყველაზე მეტად აფასებს სილამაზეს და მშვენიერებას. დაბადებიდან აქვთ ესთეტიკური შეგრძნებები და ჯანსაღად აღიქვამენ ლანდშაფტის მომხიბვლელობას, არქი-



ტექტურულ ფორმებს, ქცევის მანერებს, ჩაცმას. ამიტომ მათ გულგრილს არ დატოვებს ჰოლანდია, არისტოკრატულობით გამორჩეული ინგლისი, ვენეციის ღამის რომანტიკა, ვენის საბანკეტო დარბაზების ფუფუნება და ბრწყინვალება, არგენტინული ტანგო. განსაკუთრებულ სიამოვნებას და კმაყოფილებას სასწორები პარიზში მოდების ჩვენებაზე მიიღებენ – ეს ქალაქი ნამდვილი დღესასწაულია მათი განსხვავებული გემოვნებისთვის.

**მორიელი** – მორიელს აქვს ემოციური აურა და აინტერესებს საიდუმლოებების გახსნა, „განძის“ ძებნა. ამიტომ მათ იზიდავთ ექსტრემალური ტურიზმი, რათა მიიღონ კაშკაშა შთაბეჭდილებები, ვულკანები, უდაბნოები, გამოქვაბულები, ტაიგა, მათი ოცნების წყაროა. მორიელმა კოლორიტულ ქვეყნებში უნდა იმოგზაურონ, მაგალითად, არაბეთის საემიროები, ირანი, ავღანეთში, ინდოჩინეთში, მექსიკასა და კუბში. თავის სტიქიაში გრძნობს თავს მორიელი, როცა ესპანეთში კორიდას ესწრება. არ აწყენდათ ტაიტზე თუ ვულკანს მოინახულებდნენ. მოკლედ, თუ ხელში „საგანძური“ ჩაგივარდათ, არ დაფიქრდეთ, მორიელებო, გაემგზავრეთ ექსტრემალური განწყობების საძებნელად.

**თხის რქა** – ძნელად პოულობს დროს დასვენებისთვის. მეტად კონსერვატიულია დასასვენებელი ადგილების შერჩევაში. იზიდავთ მთიანი კურორტები, მკაცრი პეიზაჟი – მთის კანიონები, ჩანჩქერები, გაუვალი ტყეები, ესაა მკაცრი და ასკეტი თხის რქის პირდაპირი სტიქია. სწორედ თხის რქა ოცნებობს იმოგზაუროს ტიბეტში, და მას, როგორც არავის, ისე ესაჭიროება კომფორტი და სიმშვიდე ნორვეგიის და ესტონეთის კურორტებზე. მის ხასიათთან ახლოს დგას პრაგმატული გერმანია და არისტოკრატული ინგლისი, ეს ის ქვეყნებია, რომლებიც სიამოვნებას მოჰგვრის ჭირვეულ და პრეტენზიულ თხის რქას.

**მშვილდოსანი** – მშვილდოსნისთვის მოგზაურობა სიცოცხლის მთავარი მიზანია. ამიტომ შვებულება მისთვის ნამდვილ სიამოვნებად მაშინ იქცევა ხოლმე, როცა კრუიზს დაგეგმავს და განახორციელებს. ან თუ ძალიან შორ, ეგზოტიკურ ადგილას გაემგზავრება, სადაც თვითმყოფადი კულტურა დახვდება. მშვილდოსანი ცეცხლის ნიშანია, ამიტომ შთაბეჭდილებები აღმაფრთოვანებელი უნდა იყოს, მხიარული და ზღაპრული. ძალიან ახალისებს ბრაზილიური კარნავალები, ეგზოტიკური ავსტრალია, სტუმართმოყვარე საქართველო და სომხეთი, ძველი ბაღდადი, სერბეთი და ჩერიგორია. ვურჩევთ, წავიდნენ არგენტინაში, რუმინეთში, მონღოლეთში, პორტუგალიაში და აუცილებლად მადაგასკარის ჯადოსნურ კუნძულზე.

**მერწყული** – მერწყულს ყველაზე მეტად მოსწონს ეგზოტიკა, ამიტომ არა მხოლოდ სხვა კონტინენტზე, არამედ სხვა გალაქტიკაში თუ გადაიყვანთ, მისთვის უკეთესი იქნება. მერწყულის ზოდიაქთან კანადას აკავშირებენ, სადაც მეგობრული, ტოლერანტული ხალხი ცხოვრობს. მერწყულებს მოსწონთ შვეცია, ფინეთი, არგენტინა, ლიბანი, ახალი ზელანდია, საუდის არაბეთი, ჩილე.

**თევზები** – მეტად მეოცნებე და რომანტიკული ხალხია. მათი დასვენებისთვის საუკეთესო ადგილი ის არის, სადაც შინაგან რელაქსაციას მოახერხებენ. ტრადიციულად ითვლება, რომ თევზებს უყვართ ზღვის ან მდინარის ახლოს დასვენება, რასთანაც ისინი სიმბოლურად არიან დაკავშირებულნი – ოკეანის ქვეყნებში, ფილიპინებზე, ცეილონის და მალტის ეგზოტიკურ კუნძულებზე. თევზებთან ენერგეტიკულად ახლოს ისრაელი, ტაილანდი, პორტუგალია და ირლანდიაა. არ დაგა-



ვიწყდეთ, თევზებს უყვართ ცხოვრების დანახვა არაჩვეულებრივი რაკურსით. ამიტომ გაახალისეთ თქვენი მეგობრები მისტიკური ფოტოებით, ლექსებით, რომელიც ერთი ამოსუნთქვით დაწერეთ მზის ამოსვლისას სადმე, თუნდაც შრი-ლანკაზე.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**

## ასტროლოგიური პროგნოზი



**ვერძი** –თქვენს ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებებია მოსალოდნელი. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია დაისადგურებს. გელით რომანტიკული თავგადასავლები.



**კურო** – თქვენთვის წარმატებული პერიოდი დადგა. პირად ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებებია მოსალოდნელი. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ. კარიერაში მნიშვნელოვანი წინსვლა გელით. ამ პერიოდში დაგეგმილი მივლინება წარმატებული იქნება.



**ტყუპები** – გამოიჩინეთ ინიციატივა რიგ შემთხვევაში აგრესიულობაც, რათა სასურველ შედეგს მიაღწიოთ. სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას. ფინანსური ოპერაციებიდან დიდ მოგებას მიიღებთ.



**კირჩხიბი** – გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა სასურველ შედეგს მიაღწიოთ. დრო გამონახეთ მეგობრებისთვის. მათგან მიღებული ენერგია მნიშვნელოვან სტიმულს მოგცემთ. ბიზნეს-ოპერაციებში წარმატება გელით, რასაც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. გელით სასიამოვნო ინფორმაციები.



**ლომი** – ხელმძღვანელობასთან და საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა კარიერაში მნიშვნელოვან წინსვლას განაპირობებს. იყავით მაქსიმალურად საქმიანი, რათა ცხოვრების ეს საუკეთესო პერიოდი ხელიდან არ გაუშვათ.



**ქალწული** – სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. ამ პერიოდში დაგეგმილი ხანგრძლივი მივლინება თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება.



**სასწორი** – პირად ცხოვრებაში მცირედი იმედგაცრუება გელით. თავი ხელში აიყვანეთ, რათა დეპრესიაში არ ჩავარდეთ. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს.



**მორიელი** – ეს პერიოდი საერთო ჯამში, პოზიტიური მოვლენებით ხასიათდება. გამოიჩინეთ ინიციატივა, რათა სასურველ შედეგს მიაღწიოთ. გელით სასიყვარულო ურთიერთობებში წარმატება. მეგობრების დახმარებით ბევრ პრობლემას მოაგვარებთ.



**მშვილდოსანი** – ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა თქვენს კარიერაზე დადებითად იმოქმედებს, რასაც შესაძლოა დაწინაურებაც მოჰყვეს. კარგი იქნება, თუ პროფილაქტიკურ მკურნალობას ჩაიტარებთ. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია შენარჩუნდება.



**თხის რქა** – ადვილად ნურავის ენდობით. სიფრთხილე გმართებთ მეგობრებთან ურთიერთობისას. ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. ეს პერიოდი პირადი ცხოვრების მოწესრიგებას დაუთმეთ.



**მერწყული** – თქვენს ცხოვრებაში წარმატებული პერიოდი დადგა. გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიოთ. გელით რომანტიკული თავგადასავლები და პერსპექტიული წინადადებები. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ.



**თევზები** – რთულ სიტუაციებში დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ, მათთან ურთიერთობა თქვენს ცხოვრებაზე კარგ ზეგავლენას მოახდენს. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებები გელით. შესაძლოა წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანის, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებშიც.

### ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები: სკანვორდი

1. ცეპელინი. 2. სეპტიმა. 3. სავარცხელა. 4. ტროცკისტი. 5. ტიუსო. 6. მაიოლიკა. 7. პირსი. 8. რაშკული. 9. შვაბრა. 10. ტურნიკეტი. 11. დოტაცია. 12. რულეტი. 13. ხენდრო. 14. კინეტიკა. 15. კოსა. 16. დრონტი. 17. მედუზა. 18. სემიონ. 19. სტელსი. 20. დიარა. 21. კენი. 22. ანატოლია. 23. შტანგა. 24. შანდაკი. 25. იორდანე. 26. ტიანშანი. 27. პოსეიდონი. 28. გოგიტა. 29. ეკოფუდი. 30. ბოტკინი. 31. კოპიტნარი. 32. რატუშა. 33. ტარაღანა. 34. დერბი. 35. ნავიგაცია. 36. კრახმალი. 37. ნოტაბენე. 38. ილლია. 39. უზანგი. 40. პოზიორი. 41. ბოქსი. 42. რევოლვერი. 43. კოლბა. 44. იპოლიტე. 45. იორი. 46. სტაპელი. 47. ედელვაისი. 48. ნესვი. 49. გერმანია. 50. ავა. 51. ლამპარდი. 52. ცრუ. 53. ფალცი. 54. დელფო. 55. ერე. 56. იჟი. 57. ზენიტი. 58. ადვილი. 59. სიუ. 60. პევზნერი. 61. პანამა. 62. მური. 63. ოპერა. 64. დოგი. 65. ოლღა. 66. დიოგენე. 67. არაგვი. 68. გვრიტი. 69. იდიია.



## იულია შვედის (Yulia shved) კონცერტი საქართველოში

ნოემბერში საქართველოში უკრაინელი პიანისტის იულია შვედ სანაიას (Yulia Shved Sanaia) კონცერტი გაიმართება.

კონცერტის ორგანიზატორების განცხადებით, უკრაინა და საქართველო მუდმივად აფართოებენ კავშირს სხვადასხვა სფეროებში.

მათივე თქმით, მრავალი საერთაშორისო კონკურსების პრიზიორის (ლაურეატის), პიანისტ იულია შვედ სანაიას (Yulia Shved Sanaia) გასტროლები საქართველოში უკვე ტრადიციად იქცა.

იულიამ მუსიკალური განათლება უკრაინასა და გერმანიაში მიიღო. იულია შვედი (Yulia Shved) გახლავთ ცნობილი პროფესორის იგორ რიაბოვისა და პროფესორ ფოკლერ ბენდფილდის მოწაფე.

მუსიკათმცოდნეების შეფასებით, იულიას პერფორმანსი, ვირტუოზულობის გარდა, მრავალფეროვანი ჟღერადობითაც გამოირჩევა, რაც მის უდიდეს წარმატებას განაპირობებს. იულიამ პირველი საერთაშორისო პრიზი ჯერ კიდევ 8 წლის ასაკში მოიპოვა.